ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

შაბათი-კვირა

10 — 11 სექტემბერი, 2011 №215 (5595) ფასი: 30 თეთრი

## რუსულ ბაზარზე, შესაძლოა, „ნაბეღლავიც“ დაბრუნდეს

გვ.2



გვ.12

ასტროპროგნოზი

TV პროგრამა

გვ.10



## ალეკო შალამბერიძე: „სააკაშვილმა მაჟორიტარებისგან ფული აიღო“

გვ.4

რატომ ვერ აიტანა საქართველომ მრავალპარტიული პარლამენტი



## გიორგი ახვლედიანი: „დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრობაზე ოცნებობს“




გვ.3





გვ.2

## ნესტან კირთაძე: „სასკოლო სახელმძღვანელოები 100-დან 260 ლარამდე ღირს“



## პაატა ზაქარეიშვილი: „ხელისუფლება ცდილობს აფხაზეთი და ცხინვალი დაგვავიწყოს“

ანქვაბთან დიალოგი აუცილებელია

გვ.5



ის საქართველოსთან დიალოგისთვის მზად არის



## ილჰამ ალიევი: „საქართველოში ოპოზიციის ლიდერები ციხეში სხედან, მაგრამ მათ მაინც დემოკრატებად მიიჩნევენ“

გვ.2

## შაშკინმა 12 ივლისის ბრძანების შესახებ განმარტება გააკეთა

გვ.2







## „ერისიონმა“ პატრიარქს ცეკვა „სნოური“ მიუძღვნა

გვ.6

ISSN 1987-9385


## 3090 sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## რუსულ ბაზარზე, შესაძლოა, „ნაბეღლავიც“ დაბრუნდეს

„ბორჯომთან“ ერთად, რუსულ ბაზარზე, შესაძლოა, „ნაბეღლავიც“ დაბრუნდეს, — წერს გაზე-




თი „იზვესტია“. წყაროს ცნობით, არ არის გამორიცხული, რომ მაღაზიების ვიტრინებზე „ბორჯომი“ და „ნაბეღლავი“ ერთდროულად გამოჩნდეს.

— „როსპატენტმა სავაჭრო ნიშან „ნაბეღლავის“ რეგისტრაციაზე განცხადება მიიღო. ეს განაცხადი მისმა მწარმოებელმა ქართულა კომპანია „რეალტჰყ ჭატერ- მა წარმოადგინა. კომპანია იმედოვნებს, რომ მოსკოვსა და თბილისს შორის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებასა და რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნებაზე მიმდინარე მოლაპარაკებებს ხელსაყრელი შედეგი მოჰყვება“, -- იუწყება „იზვესტია“. გამოცემას ექსპორტის საკითხებში აღნიშნული კომპანიის მენეჯერის, ლევან ჩიქოვანის სიტყვები მოჰყავს: „თუ ეს საკითხი მოგვარდება, რუსულ ბაზარზე ჩვენს დაბრუნებას ხელს არაფერი შეუშლის. ჩვენ ამ ბაზარზე ვმუშაობდით და რუსეთი ჩვენს პროდუქციას იცნობს. ჩვენთვის იქ დაბრუნება პრობლემა არ არის, — აღნიშნა ლევან ჩიქოვანმა.

როგორც რუსეთის მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშჩენკომ „იზვესტიასთან“ საუბრისას აღნიშნა, თუ კომპანიას მისი სამსახურისათვის მიმართვის სურვილი აქვს, „დაე, მიმართოს“.

— არსებობს განსაზღვრული ნორმატივები. დაე, შეასრულონ ისინი და ბაზარზე დაბრუნდნენ, — აღნიშნა გენადი ონიშჩენკომ.

გაზეთის ცნობით, ხსენებული ქართული კომპანია შვეიცარიაში არის რეგისტრირებული. საქართველოში მიიჩნევენ, რომ ის სოფლის მეურნეობის ყოფილ მინისტრ მიხეილ სვიმონიშვილს ეკუთვნის.

„ნაბეღლავი“ ადგილობრივი ბაზრის თითქმის 50 პროცენტს იკავებს და თავის მთავარ კონკურენტს „ბორჯომს“ უსწრებს, რომლის წილი მხოლოდ 40 პროცენტს შეადგენს.

— „ბორჯომისაგან“ განსხვავებით, რომელიც 2005 წელს რუსული ბაზრის 13-პროცენტიან წილს იკავებდა, „ნაბეღლავის“ წილი უმნიშვნელო იყო. რუსეთში ყოველწლიურად 50 მილიონი დოლარის „ბორჯომის“ რეალიზაცია ხდებოდა, „ნაბეღლავის“ რეალიზაციით მიღებული თანხა კი 1 მილიონ დოლარს ძლივს უტოლდებოდა, — იუწყება „იზვესტია“.

მედიანიუსი

# ნესტან კირთაძე: „სასკოლო სახელმძღვანელოები 100-დან 260 ლარამდე ღირს“

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტული პარტია სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე საკმაოდ მტკივნეულ პრობლემაზე — სახელმძღვანელოების კატასტროფილ ფასებზე ამახვილებს ყურადღებას და სააკაშვილის ხელისუფლებას მოსწავლეების და მათი მშობლების მოტყუებაში ადანაშაულებს.

შრომის პარტიაში აცხადებენ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებზე უკიდურესად მაღალი ფასები იმითაა განპირობებული, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები სახელისუფლო მაფიის შემადგენელი ნაწილია და ამით ნაციონალი ლიდერები დიდ ფულს შოულობენ.



ოპოზიციური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ნესტან კირთაძე პიარ-ფარსს უწოდებს დაპირებებს, რომელიც ხელისუფლების სახელით განათლების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა გააკეთა სკოლის სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით. პრობლემას კირთაძე ზოგადეროვნულს უწოდებს და მისი წაყრუება დანაშაულის ტოლფასად მიაჩნია.

— საქართველოს ლეიბორისტული პარტია დღეს კიდევ ერთხელ აპროტესტებს და სპეციალური განცხადებით მიმართავს ხელისუფლებას სკოლის სახელმძღვანელო წიგნებისა და სასწავლო ნივთების კატასტროფულ ფასებთან დაკავშირებით, რაც არ გახლავთ სოციალური პრობლემა. ეს არც მხოლოდ უფლებრივი საკითხი გახლავთ. ეს არის ზოგადეროვნული პოლიტიკის საკითხი, რომელიც საქართველოს მომავალთან არის დაკავშირებული, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივანმა ნესტან კირთაძემ. მისი თქმით, ხელისუფლებისა და განათლების სამინისტროსგან გაპიარებილი ფარსი — სკოლის სახელმძღვანელოების მინიმალერ ფასებთან დაკავშირებით გახლავთ სრული სიყალბე და სინამდვილეში ეს ფასები კატასტროფულია და მერყეობს 100-დან 260 ლარამდე, რასაც ემატება ასევე კატასტროფული ფასი სასწავლო ნივთებისა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, განათლების სამინისტროს რეფორმადწოდებული გაუთავებელი ექსპერიმენტების წყალობით ახალი წიგნების შეძენა ყოველწლიურად სავალდებულოა და მხოლოდ სახელისუფლო კლანების ბიზნეს-ინტერესებს ემსახურება. ეს კი, ნესტან კირთაძის თქმით, შეუძლებელს ხდის, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ თავიანთ შვილებს სრულყოფილი საშუალო განათლება მაინც მისცენ.

— ლეიბორისტული პარტია დღეს შემოდის ინიციატივით და მოითხოვს, რომ გაუქმდეს საბაჟო გადასახადები წიგნების საბეჭდ მასალებზე და სასწავლო ნივთებზე, რაც მინიმუმ გაანახევრებს მათ ღირებულებას. მივმართავთ ხელისუფლებას, კეთილი ინებეთ და უზრუნველყავით მოსახლეობისათვის და მით უმეტეს, სოციალურად დაუცველებისათვის, რომელიც ქვეყნის უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენს, უფასოდ გადასცეთ სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები, — განაცხადა ნესტან კირთაძემ და მმართველი გუნდის გასაგონად კიდევ ერთხელ დააკონკრეტა: დიახ, უფასოდ. რაც შეეხება იმას, თუ რა თანხებით უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან სკოლის მოსწავლეებისთვის წიგნების უფასოდ დარიგება, ამაზე ლეიბორისტებს თავიანთი პოზიცია აქვთ და იმ თანხებზე მიანიშნებენ, რომელსაც სააკაშვილი და მისი გუნდი პიარკონცერტებში და გართობაში ხარჯავს.

— შესაბამისი ხარჯის გაწევა მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კერძოდ პრეზიდენტისა და თბილისის მერის მრავალმილიონიანი სარეზერვო ფონდებიდან, რომელიც, როგორც წესი, დახურულია და იაფფასიან შოუებს, კონცერტებს და მათ გართობას ხმარდება, — აღნიშნა ნესტან კირთაძემ.

გუშინვე აღინიშნა ისიც, რომ ლეიბორისტული პარტია მიმართავს გაეროს ბავშვთა დაცვის კომიტეტს და თბილისის გაეროს ოფისს, რომ მუდმივი და თანმიმდევრული მონიტორინგი განახორციელონ საშუალო განათლების სოციალური დაცვის საკითხებზე.

— ეს არის ოფიციალური მიმართვა დღეს საქართველოს ხელისუფლებისადმი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ პრობლემა, რომელსაც დღეს შევეხეთ არ არის მხოლოდ სოციალური პრობლემა. პრობლემა, რომელზედაც დღეს ვლაპარაკობთ, დაკავშირებულია საქართველოს მომავალთან და არის მართლაც ზოგადეროვნული პრობლემა, რომელიც უნდა თუ არა ხელისუფლებას, უცილობლივ უნდა განახორციელოს ბავშვების, მოსწავლეების, მაშასადამე, განათლებული საქართველოს მომავლის სასარგებლოდ, — აღნიშნა კირთაძემ. რაც შეეხება იმას, რომ მხოლოდ სოციალურად დაუცველი ბავშვები უნდა იქნენ დაკმაყოფილებულები უფასო სახელმძღვანელოებით, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, პირველ რიგში, ისინი.



— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გაერო, ასევე თბილისში მოქმედი რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის მათ შორის აშშ-ის ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის და სხვების, ბოლო გამოკვლევების მიხედვით საქართველოში 2 მლნ-ზე მეტი ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, მაშასადამე ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა გახლავთ სწორედ სოციალურად დაუცველი. აქ ინიციატივა შემოდის სწორედ იმ მიმართულებით, რომ ყველა კატეგორიის მოსახლეობისათვის სახელმძღვანელო წიგნები და სასწავლო ნივთები იყოს უფასო, მაგრამ იგი იყოს ფასიანი სახელმწიფო ბიუჯეტისათვის. იმისათვის, რომ სახელწიფო ბიუჯეტისთვისაც ეს არ იყოს კატასტროფა, ჩვენ მეორე ინიციატივაც გავაჟღერეთ. კერძოდ, გაუქმდეს საბაჟო გადასახადები როგორც სასწავლო წიგნების საბეჭდ მასალებზე, ასევე სასწავლო ნივთებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მინიმუმ განახევრდება მათი ფასები, — აღნიშნა ნესტან კირთაძემ. მისი თქმით, ყველაფერი ეს ერთად თავმოყრილი კეთილი ნების, სახელმწიფოებრივი ნების, ეროვნული ნების შემთხვევაში შესაძლებელს ხდის, რომ მინიმუმ საშუალო განათლება მაინც ჩვენი ქვეყნის ბავშვებს ჰქონდეთ შესაძლებელი და ჰქონდეთ სრულყოფილად.

გუშინვე ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივანმა სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სტატისტიკაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ამ სტატისტიკას ხელისუფლება მხოლოდ მაშინ წამოწევს, როდესაც ახლოვდება არჩევნები; როდესაც შემოაქვთ სოციალური აგენტების ინსტიტუტები. კირთაძის თქმით, ეს ყველაფერი სჭირდებათ ერთადერთი მიზნისათვის: წინასაარჩევნო „საჩუქრები“ და მოსყიდვები განახორციელონ ასეთი ოჯახებისათვის.

— ჩვენ ამ საკითხს ვუდგებით სახელმწიფოებრივად არა როგორც შიშველ სტატისტიკას, არამედ ეროვნულ კატასტროფას, როდესაც ქვეყანაში 2 მლნ-ზე მეტი ადამიანი არის სიციალურად დაუცველი კი არა მხოლოდ, სიღატაკის ზღვარს მიღმა. მაშასადამე, მხოლოდ და მხოლოდ ბედის ანაბარა მიტოვებული, — განაცხადა პრესკონფერენციის ბოლოს ნესტან კირთაძემ და ხაზი გაუსვა იმას, რომ უამრავი პრობლემის ფონზე, რომელიც დღეს ქვეყანაშია, ეს პრობლემა ერთ-ერთი უმთავრესია, რადაგანაც ზოგადეროვნულია და მომავალი თაობების განათლებას ეხება.

## შაშკინმა 12 ივლისის ბრძანების შესახებ განმარტება გააკეთა

საქართველოს განათლების მინისტრმა, დიმიტრი შაშკინმა განმარტება გააკეთა 12 ივლისის ბრძანების შესახებ, რომელიც სპეციალური სერიის მქონე ატესტატების გაცემას ეხება.

— ბავშვებს, რომლებიც აპირებენ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებას, ვაძლევთ სპეციალურ სერიის ატესტატს, რომლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საზღვარგარეთ. ამ ატესტატის საქართველოში გამოყენება და მოგვიანებით აქ სწავლის გაგრძელება შეუძლებელია. ჩვენ ამ ბავშვებს განათლების მიღებაში ვეხმარებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანიაჩვენი სომეხი და აზერბაიჯანელი თანამოქალაქეებისთვის. საატესტატო გამოცდები ყველა ქვეყანაში არ არის და რამდენიმე ქვეყანა არ აღიარებს სკოლის მიერ გაცემულ სერთიფიკატს, — აღიშნა დიმიტრი შაშკინმა.

მისივე თქმით, ეს არის აბსოლუტურად ლოგიკური — „უკვე ექვსი წლის განმავლობაში სასწავლებლები, რომლებსაც ლიცენზია არ აქვთ, გასცემენ დიპლომებს. ამ დიპლომებს ჩვენ არ ვაღიარებთ, მაგრამ ამ დიპლომებით ისინი მიემგზავრებიან საზღვარგარეთ. ეს არის ჩვეულებრივი პრაქტიკა, რომელსაც ვიყენებთ“.

განათლების მინისტრის 12 ივლისის ₾453 ბრძანების მიხედვით, „პირი, რომელიც სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე არ დარეგისტრირდა ან ვერ მიიღო სრული ატესტატის მოპოვებისთვის საჭირო საგნებში დადებითი შეფასება და სურს სწავლა განაგრძოს უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებაში, ეძლევა სპეციალური სერიის მქონე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. სპეციალური სერიის მქონე ატესტატის მფლობელი ვერ ისარგებლებს საქართველოში მოქმედ უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და მობილობის უფლებით“.

ინტერპრესნიუსი

## ილჰამ ალიევი: „საქართველოში ოპოზიციის ლიდერები ციხეში სხედან, მაგრამ მათ მაინც დემოკრატებად მიიჩნევენ“



სკანდალურად ცნობილმა პორტალმა „ვიკილიქსმა“ გამოაქვეყნა აზერბაიჯანში აშშ-ს ყოფილი ელჩის, ენ დერსის ვაშინგტონში გაგზავნილი წერილი, სადაც იგი აზერბაიჯანის ლიდერ ილჰამ ალიევთან თავის საუბარს აღწერს.

საქმე ეხება 2007 ივლისის თვეში აზერბაიჯანში ატეხილ სკანდალს, რომლის შედეგადაც, სამართალდამცველებმა ჟურნალისტები დააკავეს. წერილის მიხედვით, ამერიკელ დიპლომატთან საუბარში ალიევი გაღიზიანებული ჩანდა და დასავლეთს ორმაგი სტანდარტების დანერგვაში ადანაშაულებდა.

— მე ჩემს თავს ვხედავ პრესის მტრებად დასახელებული ადამიანების ათეულში. საქართველოში არ არსებობს ოპოზიცია, ტელეკომპანიები ოლიგარქებს ეკუთვნით, ოპოზიციის ლიდერები ციხეში სხედან, მაგრამ მათ მაინც დემოკრატებად მიიჩნევენ. უკრაინაში იუშჩენკო კონსტიტუციას არღვევს ზუსტად სამოცჯერ, თუმცა ევროკავშირი, ევროსაბჭო და აშშ დუმან, — განაცხადა ალიევმა აშშ-ს ელჩთან საუბარში.

წერილის მიხედვით, ალიევს პრესის თავისუფლების შესახებ საუბარი არ სურდა და ამ საკითხთან დაკავშირებით ადვილად ღიზიანდებოდა.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი ახვლედიანი: „დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრობაზე ოცნებობს“

ნანა მიშელაშვილი

**საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ახვლედიანი მიიჩნევს, რომ როდესაც პოსტსააკაშვილისეული პერიოდი მოახლოვდება, ბრძოლა დაიწყება, ვინ გახდება მისი ჩამნაცვლებელი, ლოგიკურია, რომ ქვეყნის მეორე პირს ბაქრაძეს ასეთი ამბიცია გაუჩნდეს და ის ამ მიმართულებით მუშაობდეს.**





რა შანსები აქვს დავით ბაქრაძეს და როგორი იქნება პოსტსააკაშვილისეული პერიოდი?

„ახალი თაობა“ გიორგი ახვლედიანს ესაუბრა:

***— ვიკილიქსის მასალების მიხედვით, 2009 წელს ბაქრაძე პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატად განიხილებოდა. 2013 წელს, დავით ბაქრაძის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელება რამდენად არის მოსალოდნელი?***

— თავად იმ ინფორმაციაში, რომელიც ჭორიკანად გამოცხადებულ საიტზეა გავრცელებული, საუბარია იმაზე, რომ ეს მოარული ხმებია.

***— თუმცა, ვიკილიქსის მიხედვით, საქართველოში აშშ-ს ყოფილ ელჩს ამ ვერსიის შესახებ 2009 წელს დიმიტრი შაშკინი ესაუბრა.***

— დიმიტრი შაშკინი მაშინ მინისტრი არ იყო. 2009 წლის დასაწყისში შაშკინი არასამთავრობო ორგანიზაცია „აირაის“ თავმჯდომარე იყო. ის არ იყო სახელმწიფო სტრუქტურებში ჩართული, რომ რაიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინფორმაცია სცოდნოდა.

***— ახლა რამდენად აქვს დავით ბაქრაძეს იმის რესურსი, რომ ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატი გახდეს?***

— ასეთივე მოსაზრებებით შესაძლოა ისაუბრო არა მარტო ბაქრაძეზე, არამედ სხვა კანდიდატურებზე, რომელთაც ამის სურვილი აქვთ.

***— მაგალითად?***

— დაწყებული ქალაქის მერიდან, დამთავრებული რომელიმე გავლენიანი მინისტრით. ვის პრეზიდენტობა უნდა და ვის რა ესიზმრება, ეს მარჩიელობის თემაა. კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის თავმჯდომარე ქვეყნის მეორე პირია. როდესაც პოსტსააკაშვილისეული პერიოდი ახლოვდება და ბრძოლა უნდა დაიწყოს, ვინ გახდება მისი ჩამნაცვლებელი, ლოგიკურია, რომ ქვეყნის მეორე პირს ასეთი ამბიცია გაუჩნდეს და ის ამ მიმართულებით მუშაობდეს. ამაში გასაკვირი არაფერი არ არის.

***— ამის რეალური შანსი დავით ბაქრაძეს აქვს?***

— რამდენად აქვს ამის რეალური შანსი, მარჩიელობის საკითხია.

***— ნაციონალურ მოძრაობაში არსებული სხვადასხვა გუნდისთვის დავით ბაქრაძე მისაღები საპრეზიდენტო კანდიდატია?***

— გამოკვეთილად ბაქრაძის გუნდი განსაკუთრებულ სიძლიერეს ვერ წარმოაჩენს.

***— შეიძლება იმიტომ, რომ არჩევნებამდე ჯერ 2 წელია დარჩენილი?***

— დავით ბაქრაძის ძირითადი დასაყრდენი დღეს არის საგარეო საქმეებში ჩართული ადამიანები, საელჩოები. ის კადრები, რომლებიც ბაქრაძის მიერ იყო შერჩეული საელჩოებსა და საკონსულოებში.

***— რამდენად ძლიერია ეს დასაყრდენი?***

— ნამდვილად არ ვიცი, რამდენად ძლიერია დავით ბაქრაძის დაჯგუფება ან რომელიმე ძალოვანი უწყების. ეს ცოტა რთული გასარჩევია.

***— ასეთ ინფორმაციაზე ხელი არ მიგიწვდებათ?***

— არა, ეს ჩემი გასარჩევი არ არის.

***— პარლამენტში რამდენი ადამიანი შეიძლება მოვიაზროთ ბაქრაძის გუნდში?***

— გამოკვეთილად, ჯერჯერობით ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე დეპუტატი ან დეპუტატთა ჯგუფი ბაქრაძის გუნდის წევრია.

***— შენიღბულად?***

— შენიღბულად შეიძლება არსებობდეს სიმპათიები, კარგი ურთიერთობები, მაგრამ ღიად არც ერთი ასეთი ფრაზა არ გამოგონია, რომ ვინმეს ეთქვას: ბაქრაძის გუნდის წარმომადგენელია.

***— უმრავლესობის წევრები ამაზე ამბობენ, რომ ყველა ერთი გუნდის წარმომადგენელია და ამიტომ არავინ იტყვის, რომ ის რომელიმე დაჯგუფების წარმომადგენელია?***

— ასე უნდა თქვან, აბა სხვაგვარად როგორ წარმოგიდგენიათ? წარმოიდგინეთ, ახლა რომელიმე დეპუტატმა რომ თქვას, რომ ცალკე გუნდია ან ვინმესთან დაპირისპირებულია. ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც სააკაშვილთან დამშვიდობების დრო დადგება.

***— რაც შეეხება ბაქრაძის პერსპექტივას?***

— ნაციონალურ მოძრაობაში ფიქრობენ და ფსონს ისეთ პიროვნებაზე აკეთებენ, რომელსაც უფრო მეტი პოზიტივი აქვს, ვიდრე ნეგატივი. ხელისუფლების სამწუხაროდ, მათი ლიდერების აბსოლუტური უმრავლესობა საზოგადოებაში უფრო მეტ ნეგატივს ფლობს, ვიდრე პოზიტივს.

***— ბაქრაძის შემთხვევაში მდგომარეობა როგორ არის?***

— ბაქრაძე ხელისუფლების იმ მცირერიცხოვანთა სიაშია, რომელსაც უფრო მეტი პოზიტივი აქვს, ვიდრე ნეგატივი. რაც მას გარკვეულ სასტარტო წონას აძლევს. ნაციონალურ მოძრაობაში ისეთი ადამიანები არიან, რომელთა სახელის დასახელებაზე, საზოგადოებას უარყოფითი რეაქცია აქვს, მალალჩინოსნებზეა საუბარი, მაგრამ, ბაქრაძე იმ მცირერიცხოვანთა შორის არის, რომელსაც უფრო მეტი პოზიტივი აქვს.

***— მიხეილ სააკაშვილს რამდენად შეიძლება აწყობდეს ბაქრაძის საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელება?***

— პრეზიდენტ სააკაშვილს რა აწყობს, არ ვიცი, მის აზროვნებაში ღრმად შესვლა შეუძლებელია. მისი აზროვნება და ქმედებები სრულიად არაადეკვატურია. ამ სიტუაციაში ძნელია განსაზღვრო დილას რას იტყვის და საღამოს რას გააკეთებს. ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებს. ამის გაანალიზება უმადური საქმე იქნება. მე თავად ბაქრაძის პოზიტივზე ვსაუბრობ და მის პერსპექტივაზე, რადგან მას უფრო მეტი პოზიტივი აქვს, უფრო მეტი შანსი აქვს, რომ საპრეზიდენტო კანდიდატი იყოს. ბევრი მაგ გუნდში ამაზე პრეტენზიას ვერ განაცხადებს.

***—პრეზიდენტობის ამბიცია მმართველი პარტიის შიგნით ბევრს ექნ ება?***

***— კი, მაგრამ ბევრი ვერ განაცხადებს.***

— საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე რამდენიმე ხნით ადრე სააკაშვილი თუ დაასახელებს რომელიმე კანდიდატურას, ეს პარტიის შიგნით დაპირისპირებას არ გამოიწვევს?

—სავარაუდოდ, ასეც იქნება.

***— რამდენი ხნით ადრე შეიძლება დასახელდეს ვინ იქნება ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატი?***

— საპრეზიდენტო არჩევნებთან მაქსიმალურად მიახლოვებულ პერიოდში, ანუ 2013 წელს. ამას მიხეილ საკაშვილი წყვეტს. სააკაშვილმა იცის, რომ რაც უფრო გვიან გამოაცხადებს, რომ ის აღარ იქნება პრეზიდენტი, მით უფრო შეინარჩუნებს გუნდში იმ ერთობას, რომელსაც სახელისუფლებო ნაციონალური მოძრაობა ჰქვია. სააკაშვილმა ახლა რომ გამოაცხადოს, 2013 წელს გემშვიდობებით, არც პრეზიდენტი ვიქნები, არც პრემიერი, არც რაიმე თანამდებობა მეკავება და სხვადასხვა ქვეყანაში ლექციების წასაკითხად მივდივარ, დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილი 2013 წლამდე ვერ მიაღწევს. ზუსტად ის დაემართება, რაც შევარდნაძეს დაემართა. შევარდნაძეს 2001 მოქალაქეთა კავშირი გაეხლიჩა, შიდა დაპირისპირებამ მიაღწია იმ მასშტაბებს, რომ ბოლოს რევოლუციურ პროცესებში გადაიზარდა. ეს კარგად იცის სააკაშვილმა. თუ სააკაშვილი იტყვის, რომ 2013 წელს არც ერთ თანამდებობაზე აღარ იქნება, ჩათვალეთ, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ღია ომი დაიწყება ნაციონალურ მოძრაობაში არსებულ გუნდებს შორის. ამას ძალიან მარტივი ახსნა აქვს. სააკაშვილის გარეშე ნაციონალურ მოძრაობას იმის ნახევარი რეიტინგი არა აქვს, რაც სააკაშვილთან ერთად აქვს.

***— პრემიერ მინისტრობას სააკაშვილი ვინმეს დაუთმობს?***

— დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრობაზე ოცნებობს. არალოგიკური იქნებოდა, რომ არ ეოცნება ადამიანს, რომელიც დღეს პრეზიდენტი კი არა, არამედ, იმპერატორია. 2005 წლის კონსტიტუციაში ცვლილებებით რა უფლებებიც სააკაშვილს აქვს, ის პრეზიდენტი არ არის, ის ყოვლისშემძლე, ყველანაირი ძალაუფლების მქონე იმპერატორია, ძალაუფლება ყოველთვის ყვრნის ადამიანს, მაქსიმალური ძალაუფლება მაქსიმალურად ყვრნის. ის ძალაუფლება, რომელიც სააკაშვილს აქვს, მაქსიმალურზე მაქსიმალურია. შესაბამისად, ფსიქოლოგიურ-მორალური თვალსაზრისით, ძალიან რთული იქნება მისთვის უარი თქვას ამხელა ძალაუფლებაზე. სააკაშვილი ახლაგაზრდა კაცია, საპენსიო ასაკის არ არის, ის თვლის, რომ თუ ამ ქვეყნის ხელმძღვანელი არ იქნება, სახელმწიფო ჩამოიშლება. ასეთ ილუზიებში ვარდებიან ძალაუფლების მქონე ადამიანები, მინდა დავარწმუნო, რომ მის ხელისუფლებაში ყოფნის გარეშეც ძალიან კარგად იარსებებს ეს ქვეყანა, სერიოზული განვითარების პერსპექტივა ექნება. სააკაშვილის პრემიერ-მინისტრობა უნდა, მაგრამ ეს ნამდვილად არ არის საკმარისი, რომ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრი გახდეს.

***— რატომ არ არის საკმარისი?***

— მთელ მსოფლიოში არ არის პოლიტიკური ძალა, რომელიც მსოფლიო თამაშის წესებით თამაშობს, რომელიც სააკაშვილს პრემიერის პოსტზე მხარს დაუჭერს. საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენთან ყველა შეხვედრაზე, იქნება ეს აშშ-ში თუ ევროპაში, არც ერთი პოლიტიკური ლიდერი, არ უჭერს მხარს მიხეილ სააკაშვილის გაპრემიერმინისტრებას.

***— ამაზე პირდაპირ საუბრობენ ევროპელი და ამერიკელი მაღალჩინოსნები?***

— ამაზე ღიად საუბრობენ, ყველა შეხვედრაზე. ისინი სერიოზულად აფიქსირებენ, რომ თუ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრი გახდა, თუ ხელისუფლება მიითვისა და მოირგო, მისთვის საერთაშორისო მხარდაჭერა დამთავრდება. მიხეილ სააკაშვილისთვის საერთაშორისო მხარდაჭერის დამთავრება ნიშნავს არა მხოლოდ ფინანსური დახმარების შეწყვეტას, არამედ მისი პირისპირ დატოვებას ჩრდილოელ მეზობელთან. ეს მხოლოდ სააკაშვილისთვის კი არ შეიძლება დამთავდრდეს ცუდად, არამედ ქვეყნისთვის. ეს არის ყველაზე სერიოზული საფრთხე. დღეს მისი ხელისუფლებაში ყოფნის ლეგიტიმაციის და ხელშეუხებლობის გარანტი, არის საერთაშორისო მხარდაჭერა, რომელიც მას ექნება მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიული ვადის ამოწურვამდე.

***— სააკაშვილი პოლიტიკიდან წასვლას რომ არ აპირებს, ფაქტია?***

— ამერიკელებმა როდესაც ჰკითხეს, 2013 წლის შემდეგ რას იზამო, გამოაცხადა, რომ არქიტექტურით ვარ დაინტერესებული და მთელ მსოფლიოში მოგზაურობა მსურსო. სააკაშვილს რაც უნდა, ის ქნას, ოღონდ მთავარია მან თავის ამბიციებს ქვეყნის ინტერესი არ გადააყოლოს.

***— ნაციონალურ მოძრაობაში საკმაოდ ანგარიშგასაწევი ფიგურაა გიგი უგულავა, ის ხომ არ იქნება საპრეზიდენტო კანდიდატი?***

— გიგი უგულავას სიძლიერე არ არის გიგი უგულავაში. გიგი უგულავას როგორც პერსპექტიულ საპრეზიდენტო კანდიდატს, ჯერჯერობით არაფერი არ ეტყობა, რომ ის ძლიერ პოლიტიკურ ფიგურად შეიძლება ჩამოყალიბდეს. გიგი უგულავა არჩეული მერია, რომელსაც ვერ გადააყენებ. ის არის ადამიანი, რომელიც აკონტროლებს თბილისის ბიუჯეტის 800 მილიონ ლარს. რამდენად შეძლებს უგულავა, საზოგადოება დაარწმუნოს იმაში, რომ დამოუკიდებელი, ძლერი, პოლიტიკოსი შეიძლება გახდეს, ეს სხვა საქმეა. ბაქრაძესაც თუ პრეზიდენტობა უნდა და ამისთვის იბრძოლებს, მანაც უნდა დაარწმუნოს მოსახლეობა. მარტო მიხეილ სააკაშვილი ვისაც ხელს დაადებს, საკმარისი არ არის იმისთვის, რომ საზოგადოებამ ძლიერ ფიგურად აღიქვას და მხარი დაუჭიროს.

***— თქვენი აზრით, ბაქრაძეს მეტი შანსი აქვს, პრეზიდენტობის კანდიდატი გახდეს თუ უგულავას?***

— ვერ გამოვყოფდი, რომ რომელიმეს ამგვარი შანსი აქვს. არც ერთ მათგანს საზოგადოების წინაშე არ დაუფიქსირებია, რომ შეუძლია დამოუკიდებლად ისეთი ნაბიჯი გადადგას, რაც მხარდაჭერას მოუტანს. სააკაშვილის ნება-სურვილითა და ნაციონალური მოძრაობის რესურსით გიგი უგულავა თბილისის მერი გახდა, ბაქრაძე პარლამენტის თავმჯდომარედ დანიშნეს. ბაქრაძემ უცებ გაიღვიძა და სიის პირველი ნომერი გახდა, მას შემდეგ, რაც ბურჯანაძე წავიდა. შესაბამისად, ამ ადამიანებს თავად არ უჩვენებიათ, რომ ღირსნი არიან საპრეზიდენტო კანდიდატები იყვნენ.

***— ნაციონალურ მოძრაობაში შიდა დაპირისპირება მოსალოდნელია?***

— ასეთი დაპირისპირება ახლაც არის.

***— თუმცა, ეს ღიად არ ჩანს?***

— იმიტომ, რომ ამის ღიად დაფიქსირების შემთხვევაში იმ ტოტს გადახერხავენ, რომელზეც სხედან. მაგდენად სულელები არ არიან, რომ თავის თავს ამხელა ზიანი მიაყენონ. ეს დაპირისპირება არსებობს, რაც ბევრ ნიუანსში აშკარად გამოჩნდა, მაგრამ ძირითი ფორმატი მაინც კულუარულია. რაც უფრო მოახლოვდება პოსტსააკაშვილისეული პერიოდი, ეს დაპირისპირება და შეუთანხმებლობა სააშკარაოზე გამოვა. ეს წინასწარმეტყველება არ არის, ეს არის ჩვეულებრივი პროცესი. ბევრი რამ შეი ძლება მოხდეს 2012-2013 წლებში.

***— რას გულისხმობთ?***

— ბევრი პროცესი ემთხვევა ერთმანეთს, რა შეიძლება მოხდეს, ეს ღმერთმა იცის. შეიძლება მთლიანად დაიშალოს ეს პოლიტიკური მოძრაობა.

თეა მარხვაი ე

**მოსახლეობის დიდი ნაწილი და ოპოზიცია დღეს იმაზე ტირის, რომ ქვეყანაში ერთპარტიული მმართველობა დამყარდა. არადა, არც ოპოზიციას და მით უმეტეს, მოსახლეობას ბევრი არაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ ასე არ მომხდარიყო. 2993 წლის არჩევნებით მრავალპარტიული პარლამენტი მივიღეთ. თუმცა იმის გამო, რომ ნაციონალებს შევარდნა ემ რამდენიმე პროცენტი არ მისცა, რევოლუცია მოხდა და ერმა რიგგარეშე არჩევნებში ნაციონალები აირჩია.**



# ალეკო შალამბერიძე: „სააკაშვილმა მაჟორიტარებისგან ფული აიღო“

## რატომ ვერ აიტანა საქართველომ მრავალპარტიული პარლამენტი

რატომ ვერ შეეგუა საქართველო მრავალპარტიულ პარლამენტს, ვისი ბრალია ეს პოლიტიკოსების, მოსახლეობის თუ ჩვენი მენტალიტეტის ამის შესახებ „ახალ თაობას“ ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ალეკო შალამბერიძე ესაუბრება.

***— 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებით მრავალპარტიული პარლამენტი მივიღეთ. თუმცა ამ პარლამენტმა მხოლოდ ერთ საათს იმუშავა. მოხდა რევოლუცია და ქვეყანა ისევ ერთპარტიული მმართველობას დაუბრუნდა. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?***

— არ უნდა დაგვავიწყეს ის ფაქტი, რომ ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ვცხოვრობდით საბჭოთა კავშირში, სადაც ერთპარტიული მმართველობა იყო. ხალხი შეგუებული იყო ამას. ეს თითქმის უკვე ჩვენს ხასიათში იყო გამჯდარი. თუმცა ის, რაც 2003 წელს მოხდა, მოსახლეობის და განვლილი ცხოვრების ბრალი არ არის.

***— აბა, ვისი ბრალია? მოსახლეობის მხარდაჭერა რომ არა, ვერც იმ პარლამენტს გარეკავდნენ ნაციონალები და ვერც ნაციონალები და სააკაშვილი მოიპოვებდნენ ერთპიროვნულ მმართველობას.***

— ის, რაც მოხდა, მოსახლეობის კი არა, პოლიტიკოსების ბრალია. იმ პოლიტიკური პარტიების ბრალია, რომლებიც საქართველოში დღეს ასე უხვად არის წარმოდგენილი.

***— რატომ არის პოლიტიკოსების ბრალი?***

— საქმე ისაა, რომ პოლიტიკური პარტიების ლიდერები ჰგვანან ძალიან ერთმანეთს. ამ შემთხვევაში ცხადია, გარეგნობას არ ვგულისხმობ. სხვა მხრივ კი ქსეროქსივით გადაღებულებს ჰგვანან. ყველა პარტიის ლიდერს ერთი მიზანი ამოძრავებს. ეს მიზანი მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდებაა. 2003 წელს, გაყალბების მიუხედავად, მართლაც მრავალპარტიული პარლამენტი იქნა არჩეული. იმ პარლამენტს მართლა კარგი რამის გაკეთება შეეძლო. სამწუხაროდ, საზიზღარმა რევოლუციამ ყველაფერი შეცვალა.

***— იმ საზიზღარ რევოლუციაში თქვენც მონაწილეობდით და მაშინ მას სამართლიან ნაბიჯად მიიჩნევდით.***

— მაშინ სხვა პოლიტიკოსების მსგავსად მეც ვერ გავუძელი ცდუნებას და ამ რევოლუციაში მივიღე მონაწილეობა. ეს იყო შეცდომა. მე შეცდომების ალიარების არ მეშინია. ის რევოლუცია, რომ არა დღეს ქვეყანაში ტირანია არ იქნებოდა. 2003 წელს არჩეულ პარლამენტს მუშაობა რომ დასცლოდა ქვეყანა ნორმალურ რელსებზე გადავიდოდა. და დემოკრატიულობის კუთხით ჩვენ ბევრად წინ ვიქნებოდით. სამწუხაროდ, პოლიტიკოსებმა არ მოისურვეს, რომ ასე ყოფილიყო.

***— რადგან ამას მაინც პოლიტიკოსებს აბრალებთ აგვიხსენით, რატომ არ მოისურვეს მათ ეს? თუმცა იმ ფაქტს ვერ გავექცევით, რომ რევოლუციას მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი უჭერდა მხარს.***

— კარგით, მაშინ გავიხსენოთ, რა მდგომარეობა იყო მაშინ ქვეყანაში. არ იყო დენი, პენსია იყო სასაცილო, ხალხს სციოდა და შიოდა. მათი გაჭირვების მიზეზი იყო ხელისუფლება. პოპულისტებმა ისინი დაარწმუნეს, რომ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში მათი მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა.

***— მოსახლეობამ რატომ დაიჯერა ამისი? რატომ დაავიწყდათ, რომ ხალხი ვინც რევოლუციას აწყობდა ცოტა ხნის წინ შევარდნაძის მარჯვენა და მარცხენა ხელები იყვნენ.***

— გაჭირვებული ადამიანების მართვა შეუძლებელია. როცა ადამიანს უჭირს, ის ცდილობს სასწრაფოდ იპოვოს ხსნა. აი, ამით ისარგებლეს პოლიტიკოსებმა, რომლებსაც არ აწყობდათ მრავალპარტიული პარლამენტი. არ აწყობდათ იმიტომ, რომ ზოგი სპიკერი ვერ გახდებოდა, ზოგიერთის პარტიამ კი პირველი ადგილი ვერ დაიკავა. აი, ამის გამო არიეს სიტუაცია. ასაკის გამო შევარდნაძეც დასუსტებული იყო და რევოლუციაც მოხდა.

***— კარგით, ვთქვათ ადვილი იყო გაჭირვებული ამომრჩევლის აყოლიება. რამდენიმე თვეში ჩატარებულ არჩევნებში მოსახლეობამ ნაციონალები დიდი უპირატესობით აირჩია. ესეც პოლიტიკოსების ბრალია?***

— გიმეორებთ, რომ ეს არ არის მოსახლეობის ბრალი. ის, რაც მოხდა შექმნილი ვითარების და პოლიტიკოსების ბრალია. რომლებმაც კარგად მოახერხეს ხალხის გაბრუება. გაბრუებული მოსახლეობა კი 87 და მეტი პროცენტით ირჩევს პრეზიდენტს. ასე იყო გამსახურდიას შემთხვევაში, ასე იყო შევარდნაძის და ასე არის სააკაშვილის შემთხვევაშიც. ამ შემთხვევაში მე მისი პირველი საპრეზიდენტო არჩევნები მაქვს. მეორე არჩევნების დროს ხალხი უკვე გამოფხიზლებული იყო და მანაც გაყალბებით ძლივს მოახერხა გაპრეზიდენტება.

***— თქვენ თქვით, რომ პოლიტიკოსები მოსახლეობას აბრუებენო. ერთხელ გაბრუება გასაგებია, ორჯერაც, მაგრამ მესამედაც?***

— სამწუხაროდ, ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი დღეს ისევ გასაჭირშია. ამიტომაც პოპულისტი და ქარიზმატული ლიდერების დაპირებები მისაღებია. ადამიანებისთვის. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი ისინი არაფერს არ აკეთებენ მათი კეთილდღეობისთვის.

***— ეს ასეა და საინტერესოა, რატომ არ სწავლობს ხალხი საკუთარ შეცდომებზე?***

— სწავლობს, როგორ არ სწავლობს. მოსახლეობა დემოკრატიულობისკენ დამოუკიდებლად ნაბიჯებს ვერ გადადგამს. როცა ხალხზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ახლახან გამოვედით კომუნისტური წყობიდან.

***— უკვე მეორედ ამბობთ, რომ კომუნისტური წყობიდან გამოვედითო, არადა რჩება ისეთი შთაბეჭდილება რომ ისევ იქა ვართ.***

— სამწუხაროდ, ისევ იქ ვართ. ჩვენი მენტალობა ამ მხრივ დიდად არ შეცვლილა. ამიტომ ვამბობ, რომ ამის შეცვლა პოლიტიკოსებმა უნდა მოახერხონ. მათ უნდა გააკეთონ, რომ ადამიანები იყვნენ მესაკუთრეები, დასაქმებულები... ისინი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყვნენ მთავრობაზე დამოკიდებული. ყველა ლიდერი ამის პირობას დებს, თუმცა ხელისუფლებაში მოსვლის წემდეგ ყველა თავის წინამორბედზე უარესად იქცევა. დემოკრატიული მმართველობის ნაცვლად ტირანია მყარდება. თუ არაფერი შევცვალეთ მომავალშიც ასე იქნება.

***— როგორ უნდა შეიცვალოს ეს?***

— ადამიანებს უნდა ავუხსნათ, რომ მათ თავიანთი უფლებებისთვის ბრძოლა მართებთ. ისინი ქუჩაში რომელიმე ლიდერი მხარდასაჭერად არ უნდა გამოვიდნენ. არც ვინმეს ჩამოსაგდებად არის საჭირო ქუჩაში გამოსვლები. პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ტირანის ჩამოგდების შემთხვევაში ქვეყანა კიდევ უფრო უარეს ტირანს ღებულობს. ამის ნათელი მაგალითია სააკაშვილი. ადამიანებმა თავიანთი უფლებები უნდა დაიცვან. ასე უნდა აიძულონ ხელისუფლება, იზრუნოს მათ კეთილდღეობაზე. უნდა შეიგნოს ხელისუფლებამ, რომ მთავარი მოსახლეობის პრობლემების მოგვარებაა და არა გზების, სასტუმროების ხიდების და შადრევნების აშენება.

***— სასტუმროს, შადრევანის, მით უმეტეს, გზისა და ხიდების აშენებაც საჭიროა.***

— შუშის ხიდის აშენება საჭირო იყო? არ უარვყოფ, რომ გზები უნდა გაკეთდეს. ოლონდ მას შემდეგ, რაც მოსახლეობის პრობლემებს მოაგვარებ. თანაც გზებს მუნიციპალიტეტები უნდა აკეთებდნენ და არა ცენტრალური ხელისუფლება. ცენტრალურ ხელისუფლებას გზებთან არაფერი ესაქმება.

***— რატომ არ ესაქმება?***

— იმიტომ, რომ ცენტრალური ხელისუფლებას სხვა მისია აკისრია. მან ადამიანებს ნორმალური ცხოვრების საშუალება უნდა მისცეს. როცა ხალხი კარგად იცხოვრებს, ის გზასაც ააშენებს და შადრევანსაც. მაგრამ ეს ასლანიზმით შეპყრობილ სააკაშვილს არ ესმის.

***— რას ნიშნავს ასლანიზმით შეპყრობილი სააკაშვილი?***

— ასლან აბაშიძე გამუდმებით იმის ძახილში იყო ვაშენებ, ვაშენებო. რაღაცებს მართლაც აშენებდა, მაგრამ ამით მოსახლეობის მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა. ასეა ახლაც. რა ჯანდაბად გვინდა გზა თუ მოსახლეობამ არ გაიარა, რად გვინდა სასტუმრო თუ იქ ვერავინ შევა. ასლანიზმი კარგად მოირგო სააკაშვილმა და ასე აპირებს ფონს გასვლას. ამ ხელისუფლებისთვის მთავარი ადამიანი არ არის.რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლებისთვის ადამიანი მთავარი არასდროს იქნება. ამიტომ უნდა ვერიდოთ რევოლუციებს. ვთქვი და კიდევ ვიტყვი, რომ არც ერთ რევოლუციას ჩვენთვის სიკეთე არ მოუტანია.

***— ამის მიუხედავად მოსახლეობის ერთი ნაწილი მაინც უჭერს რევოლუციას მხარს.***

— ეს ძალიან დიდი შეცდომაა. ჩვენი, პოლიტიკოსების ვალია, მოსახლეობას გავაგებინოთ, რომ რევოლუცია ახალ ტირანიას შობს.

***— ჯერჯერობით ხალხი სხვანაირად ფიქრობს. მათ სჯერათ, რომ რევოლუცია მოხდება და მოვა მესია.***

— მე კატეგორიულად ვეწინააღმდეგები ასეთ რამეს. მე ვიწყებ ბრძოლას ასეთი მოლოდინის წინააღმდეგ. მოსახლეობას ვეუბნები, რომ ისინი ტყუილად ელოდებიან თეთრ ცხენზე ამხედრებულ რაინდს. მათ თავი უნდა დაანებონ გმირების ძებნას. გაიგეთ, ხალხო, რომ ყველა გმირი მკვდარია. დაიმახსოვრეთ, რომ ყველა თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდი მოკვდა. კი, ბატონო, გქონდეთ იმედი, მაგრამ ნუ საეჭვოა ვინმემ თქვენი პრობლემები მოაგვაროს. ყველა თავად არის თავისი ბედის მჭედელი. უკეთესი ცხოვრება თუ გვინდა მაშინ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ აქ ნორმალური არჩევნები ჩატარდეს. ეს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების გარეშე არ მოხდება. ამისთვის პოლიტიკოსებმა და მოსახლეობამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ. ნორმალური არჩევნების ჩატარების შემთხვევაში ქვეყანას ეყოლება მრავალპარტიული პარლამენტი. და ვერც ერთი ძალა და ადამიანი ვერ შეძლებს აბსოლუტური ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.

***— საინტერესოა, პოლიტიკოსები თუ ხართ მზად მრავალპარტიული პარლამენტისთვის?***

— რა თქმა უნდა, მზადა ვართ. მიგვაჩნია, რომ ასე მოხდება ქვეყნის ნორმალურ რელსებზე გადაყვანა.

***— აიტანთ ვითომ ერთმანეთს?***

— უნდა ავიტანოთ. 2003 წელს ეს ვერ შევძელით და ერთპარტიული მმართველობა გვაქვს უკვე მერვე წელია. მაშინ ვერ მოხდა. ეს იყო დიდი შეცდომა. დიდი დანაშაული იყო, როცა პროპორციული შედეგები გააუქმეს და მაჟორიტარული დატოვეს. არადა ამტკიცებდნენ, რომ არჩევნები გაყალბდა.

***— მაჟორიტარების შედეგები რატომ არ გაუქმდა, თქვენ, თინა ხიდაშელი და ვახტანგ ხმალაძე ამ მოთხოვნით ხომ აგროვებდით ხელმოწერებს.***

— კი, ვაგროვებდით, შევაგროვეთ კიდევაც, მაგრამ რად გინდა.

***— მართალია, რომ ეს სია ერთ-ერთმა დეპუტატმა შეჭამა. სამი კაცი იყო ამაში ეჭვმიტანილი?***

— ეს სია შეჭამა სააკაშვილმა. ოლონდ არაპირდაპირი გაგებით. ხელმოწერები ჩვენ უკვე სასამართლოში გვქონდა შეტანილი. ბოლო მომენტში, ვალერი გელბახიანის თაოსნობით რამდენიმე ადამიანმა უკან გაიწვია ხელმოწერა. ამით მაჟორიტარული არჩევნების შედეგების გაუქმება ჩაიშალა.

***— რა შუაშია აქ სააკაშვილი?***

— შუაშია? შუაშიც არის, თავშიც და ბოლოშიც. მაშინ ის ხელისუფლების მოსვლის მიზნით ყველაფერზე წავიდა. ის გაურიგდა მაჟორიტარებს.

***— რას გულისხმობთ?***

— მათგან აიღო ფული.

***— რაში აიღო ფული?***

— იმაში, რომ მაჟორიტარული არჩევნები არ გაუქმდებოდა.

***— მაშინ ისიც გვითხარით, რა თანხა აიღო?***

— დიდ თანხებზეა საუბარი.

***— უფრო კონკრეტულად ვერ გვეტყვით, ვისგან ან რამდენი აიღო? ასე ყველას ყველაფერი შეიძლება დააბრალო.***

— ამის დამტკიცება ძნელია, მაგრამ ფული რომ მიიტანეს, ეს ცხადია. ამის შესახებ ძალიან ბევრმა იცის. რამდენიმე ფულის მიმტანი დღემდე ზის პარლამენტში. ქვეყანაში რა უბედურებაც ტრიალებს სააკაშვილის ბრალია. არანაკლები დანაშაული მიუძღვით მაჟორიტარებს. ისინი ხალხისთვის არაფერს აკეთებენ. მაჟორიტარული არჩევნები საერთოდ უნდა გაუქმდეს.

# პაატა ზაქარეიშვილი: „ხელისუფლება ცდილობს აფხაზეთი და ცხინვალი დაგვავიწყოს“



ანქვაბთან დიალოგი აუცილებელია

ნათია ხურცილავა

**რამდენად არის ანქვაბი საქართველოს მიმართ ლოიალურად განწყობილი და რა შანსები აქვს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს, ამ საკითხზე „ახალი თაობა" კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილს ესაუბრა.**

***— ოპოზიციის ნაწილმა ანქვაბს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. თქვენ ამას როგორ აფასებთ?***

— ოპოზიციური პარტიებიდან ზოგიერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აფხაზეთში ჩატარდა არჩევნები, რომლის შედეგებიც გასათვალისწინებელია და მზად არიან, რომ ანქვაბს ელაპარაკონ. ევროკავშირმაც დაგმო, უარყო შედეგები, მაგრამ მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ ანქვაბს დაელაპარაკებიან. ამ შედეგებს ჰქონდა პოლიტიკური მნიშვნელობა და არავითარი სამართლებრივი. ეს არჩევნები იყო უკანონო, ის არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, არ შეესაბამება საერთაშორისო სამართალს, მაგრამ ეს არის რეალობა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ.

***— ეს რეალობა უნდა მივიღოთ?***

— ეს არის რეალობა, თუ ამ რეალობას არ მივიღებთ, ის უჩვენოდ წავა. თუ სადღაც, აფრიკაში, კამბოჯაში არჩევნები ჩატარდა და მას არ ვაღიარებთ, ეს ჩვენ პრობლემას არ შეგვიქმნის, მაგრამ როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთში რაღაც პროცესები მიმდინარეობს და არ გინდა, რომ მიიღო როგორც რეალობა, მაშინ ეს დაგვაზარალებს. კეთილი უნდა ინებო და მიიღო, როგორც რეალობა და დაიწყო ამ რეალობასთან მუშაობა.

***— რა ტიპის მუშაობა?***

— იმ ტიპის, რაც იმ კონტექსტიდან გამომდინარე სჭირდება ქვეყანას. გვჭირდება თუ არა ჩვენ აფხაზებთან საერთო ენის გამონახვა თუ ყველაფერი მოგვარდება საქართველო-რუსეთის დონეზე? საქართველო-რუსეთის დონეზე არაფერი არ გვარდება. რუსები არ გველაპარაკებიან. ამ მიმართულებით ყველაფერი გაჩერებულია. ამიტომ, თუ საქართველოს ინტესრეშია პროცესების მართვა, პირველ რიგში პროცესების არსებობა და შემდეგ მისი მართვა, მაშინ მან გამოსავალი უნდა იპოვოს. სააკაშვილი მარტში პარლამენტის წინაშე სიტყვით გამოვიდა და ერთი სიტყვა არ უხსენებია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე.

***— რატომ, როგორ ფიქრობთ?***

— ამ ხელისუფლებას აღებული აქვს სტრატეგია: დაივიწყოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. მერე შეიძლება თქვას, ხალხნო, ვის გახსოვთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი? არავის, ხომ? მაშინ რად გვინდა ეს მხარეები და მოდით ვაღიაროთ, შეიძლება ამ მიმართულებით წავიდეს ყველაფერი. ეს სტრატეგია აქვს აღებული ხელისუფლებას. მეკითხებით, როგორ უნდა იქცეოდეს სახელმწიფო? ისეთი სერიოზული გამოწვევაა, რომ აუცილებლად უნდა დაელაპარაკოს აფხაზეთს და უნდა აღადგინოს ქართულ-აფხაზური ურთიერთობები. უნდა აღიაროს, რომ შეცდომა დაუშვა, როდესაც მთელი ყურადღება საქართველო-რუსეთის ურთიეროობებზე გადაიტანა. კიდევ უფრო გააძლიერა რუსეთის პოზიციები. ახლა საჭირო არის უკან დახევა და უნდა აღვადგინოთ 2006 წელს არსებული მდგომარეობა. 2006 წელი სააკაშვილის პერიოდია, მაშინ სიტუაცია იდეალურად არ იყო, მაგრამ კარგად იყო. კეთილი უნდა ინებოს სააკაშვილმა, მის მიერ დაშვებული შეცდომები უნდა გამოასწოროს და ვითარება 2006 წელს დაუბრუნოს. რა თქმა უნდა, უკან დაბრუნება შეუძლებელია, მაგრამ რაღაც ფორმით უნდა აღადგინოს ქართულ-აფხაზური ურთიერთობები. ასევე, ამ დროს გასათვალისწინებელია საქართველოს ავანტიურისტულმა და ვოლინტარისტულმა პოლიტიკამ, ამ შეცდომების მთელმა სერიამ გამოიწვია ის, რომ რუსეთმა დაიპყრო საქართველოს მნიშვნელოვანი ტერიტორიები, აღიარა ისინი დამოუკიდებლად. შესაბამისად მივიღეთ ის რეალობა, რომელსაც ვერ გავექცევით. კეთილი უნდა ვინებოთ და ამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. ახალი მდგომარეობიდან უნდა აღვადგინოთ ქართულ-აფხაზური ურთიერთობები. სანატრელად დაგვრჩება 2006 წელი. ნებისმიერ შემთხვევაში, რაც არ უნდა რთული და მძიმე იყოს, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენას ალტერნატივა არ გააჩნია. რაც უფრო გვიან მოხდება ეს, მით უფრო მძიმედ და რთულად გამოსასწორებელი იქნება ის შეცდომები, რომელსაც სააკაშვილი უშვებს.



ის საქართველოსთან დიალოგისთვის მზად არის

***— როგორი ტიპის ლიდერია ანქვაბი, შეიძლება მასთან საუბარი?***

— ანქვაბთან საუბარი შეიძლება. მან არ უარყო ქართველებთან საუბარი. მეტიც, მან თქვა, პირობების გარეშე მზად ვარ დაველაპარაკო ქართულ მხარეს. ეს იყო მშვენიერი განცხადება. ჩვენმა ხელისუფლებამ ეს განცხადება ერთ ყურში შეუშვა და მეორედან გამოუშვა. ვინაიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყვა ქართული მხრიდან, მერე იძულებული იყო უკან წაელო ეს სიტყვები და ეთქვა: ასე კი არა, ისე ვიგულისხმეო, მაგრამ პირველ განცხადებასა და მეორე განცხადებას შორის სულ ცოტა სამი კვირა მაინც გავიდა.

***— ანქვაბი პასუხს ელოდებოდა?***

— ბუნებრივია. როდესაც ურთიერთობები არ არსებობს პირად დონეზე, სხვა დონეზე მაინც გადადის. როდესაც ცოლ-ქმარი ერთმანეთს არ ესაუბრებიან, ნათესავების დონეზე მაინც ელაპარაკებიან. სხვა ფორმით ხდება შეტყობინებები, გაზეთების, ტელევიზიის, დიპლომატების მეშვეობით. სამწუხაროა, რომ პირდაპირი კონტაქტები არ არის და არ არის ქართული მხარის გამო. ჩვენ ვთქვით უარი, ჩვენ ვუთხარით, ჩამოდით თბილისში თუ გაინტერესებთ ჩვენთან ურთიერთობა, ჩვენ თქვენთან ურთიერთობა არ გვაინტერესებს, ეს ცნობილი ფრაზა არის, 2004 წლის აპრილში სააკაშვილმა თქვა: აგერ ჩემი სახლის ტელეფონის ნომერი და თუ უნდათ ურთიერთობები, დამირეკონო. ასეთი დამოკიდებულების გამოა, რომ დღეს საკუთარ ტლაპოში რომ ვცხოვრობთ.

***— რუსეთის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე ქართულ-აფხაზური ურთიერთობა შედგება?***

— გეთანხმებით, ფაქტორი გასათვალისწინებელია, მაგრამ ფაქტორი არ არის ყოვლისმომცველი. ფაქტორი არის მნიშვნელოვანი, მაგრამ გადალახვადი და არა გადაულახავი. კეთილი უნდა ვინებოთ და ვიპოვოთ ეს გამოსავალი. იყო ეს გამოსავალი 2006 წლამდე. რუსეთს ძალიან შეეშინდა საქართველოში რევოლუციის. შეეშინდა იმის, რაც ხდება საქართველოში, აფხაზებს და ოსებს ძალიან მოსწონთ. 2004 წლის შემდეგ გარკვეულწილად მოიხიბლნენ საქართველოთი. ამის რუსეთს შეეშინდა და ისეთი პროცესები დაიწყო, რომელსაც კოჭი გაუგორა საქართველოს ხელისუფლებამ. რუსეთის ინტერესებში იყო, რომ კოდორში შევსულიყავით და ამით აფხაზებს ყოველგვარი კონტაქტი გაეწყვიტათ. რუსეთის ინტერესებში იყო შეგვექმნა დიმიტრი სანაკოევი. მერე მისმა მარჯვენა ხელმა ქარქუსოვმა თუ სხვა სანაკოევმა თქვა: რუსეთისგან იყო გამოგზავნილი, უშიშროების სამსახურიდანო. რუსეთმა მშვენივრად მოახერხა, ჩამოეგდო განხეთქილება ქართველებსა და ოსებს შორის, ქართველებსა და აფხაზებს შორის ქართველებისვე ხელით. ჩვენვე შევქმენით კოდორის მოვლენები, რომელსაც დავარქვით ზემო აფხაზეთი. ვის ახსოვს ეს ტერმინი, ვინმე ხმარობს? ჩვენ შევქმენით სანაკოევის პროექტი, სად არის სანაკოევი და მისი ხალი? ყველა გაიქცა რუსეთში.

***— სად არის სანაკოევი?***

— იკითხეთ, მე არ ვიცი. ხელფასს რომ იღებს, ვიცი. სად არის და რას აკეთებს, არ ვიცი. ბრიუსელში რომ დადიოდა და ოსურად რომ საუბრობდა, დღეს რატომ არ საუბრობს ოსურად ბრიუსელში.

***— ანქვაბს რომ დავუბრუნდეთ, რა განსხვავებაა ბაღაფშსა და ანქვაბს შორის?***

— ბაღაფში ყველაფერს აბალანსებდა. ყველასთან უნდოდა საერთო ენის გამონახვა. არავის წყენა არ უნდოდა, მშვიდობიანი ადამიანი იყო. ამიტომ მან ყველა მხარესთან იპოვა საერთო, შეარიგა ყველა. მათ შორის მშვიდობა იპოვა კორუფციასა და კრიმინალთანაც. მართალია ვერ მოსპო, მაგრამ მართა. ამ დროს კრიმინალმა და კორუფციამ გაიჯეჯილა. ანქვაბის სტილი იქნება კორუფციას და კრიმინალს მოერიოს. კი არ შეურიგდეს, როგორც ბაღაფში, არამედ გაანადგუროს. რამდენად გამოუვა, ვინ ვის მოერევა, ეს სხვა საკითხია. ანქვაბი ჯერ კიდევ პრეზიდენტი არ იყო და მის წინაალმდეგ ოთხი ტერაქტი მოეწყო. ის ხალხი, ვინც ეს განახორციელა, არავინ არ დაუპატიმრებიათ. მე მგონი, იციან აფხაზებმა, ვინ გააკეთა ეს, მაგრამ ხელი ვერ ახლეს. შეიძლება ახლა ახლოს ხელი, როდესაც უკვე პრეზიდენტია. ალბათ ბრძოლა დაუნდობელი იქნება. ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში, რთული საკითხავია.

***— ბატონო პაატა, როგორ უყურებს ამ არჩევანს რუსეთი?***

— რუსეთი დადუმდა. არჩევნებამდე ყველა შამბაზე საუბრობდა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს არ ჰყავდა ამ არჩევნებზე მკაფიოდ გამოკვეთილი თავისი კანდიდატი, როგორც 2004 წელს ხაჯიმბას სახით, ფარულად აშკარად იგრძნობოდა, რომ შამბას უკან იდგა. იმ სამი კანდიდატიდან ალბათ ყველაზე მიუღებელი რუსეთისთვის ანქვაბი იყო. ამიტომაც ხალხმა ხმა მისცა ანქვაბს და არა შამბას. შამბამ კატასტროფულად დაბალი შედეგები მიიღო. შესაბამისად მნიშვნელოვანია, ვის არ მისცა ხმა აფხაზებმა. ხმა არ მისცეს პირველ რიგში რუსებს. ხმა მისცეს რუსეთისგან ყველაზე მეტად დისტანცირებულ კანდიდატ ანქვაბს.

***— აფხაზური არჩევანი იყო?***

— ცალსახად. არჩევნების შედეგები აბსოლუტურად შეესაბამება საზოგადოებაში არსებულ განწყობებს.

***— დემოკრატიული არჩევნები ჩაატარეს აფხაზებმა?***

— დიახ. უკანონოდ ჩატარდა, საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ, მაგრამ პროცესუალურად მაღალი სტანდარტი აჩვენა. საქართველოში ასეთი არჩევნები არ ჩატარებულა არასდროს.

***— რუსეთმა ვერ გააყალბა?***

— რუსეთს არ სჭირდებოდა გაყალბება, რადგან ძალიან გამომწვევი იქნებოდა, სამივე კანდიდატი მეტნაკლებად პრორუსული იყო. არც ერთი არ უარყოფდა რუსეთს. რუსებისთვის მნიშვნელოვანია, საბოლოოდ რა ხდება აფხაზეთში. იცოდეს, საითკენ მიდის აფხაზეთი. რუსეთს სჭირდებოდა არსებული რეალობის ცოდნა და გაიგო ეს. ჩვენ არ გვინდა ამის გაგება.

***— დღეს საქართველოს ხელისუფლებას ყველა დონეზე აქვს ურთიერთობა გაწყვეტილი თუ არსებობს რაღაც სეგმენტი?***

— რაღაც სეგმენტი შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ძალიან უსუსურია, არაეფექტურია. შედეგამდე ვერ მიდის. რაღაც კონტაქტები არის, მაგრამ არაფერს არ იძლევა. გინდ ყოფილა, გინდ არა, რადგან შედეგი არ არის.

***— ხელისუფლების მხრიდან ანქვაბთან ფარულ კონტაქტს ელოდებით?***

— რატომ არა. თუ სააკაშვილმა თავისი კომპლექსები გადალახა და ჩათვალა, რომ საჭირო არის ანქვაბთან ურთიერთობები, ვფიქრობ, პირველ რიგში ფარული კონტაქტი მოხდეს. ეს არ არის პრობლემა.

***— პრობლემა არ არის?***

— არ უნდა იყოს, იმ სიტუაციიდან გამომდინარე, რაც მე ვიცი, მაგრამ სააკაშვილმა ეს რომ გააკეთოს, მერე ამას აუცილებლად გააპიარებს, სადღაც იტყვის და ყველაფერს გააფუჭებს. სააკაშვილის პოლიტიკა, კონკრეტული ნაბიჯები სამ-ორ თვეს არ სცილდება. მერე აუცილებლად ვარდება, ინგრევა. უკვე კარგად შეისწავლეს სააკაშვილი აფხაზებმა. თუ მოლაპარაკებები იქნება, მდგრად პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული. ვგულისხმობ რეგულარულობაზე, კონფიდენციალურობაზე, პირობების შესრულებაზე, წინასწარი შეტყობინების მექანიზმები უნდა იყოს, რატომ არ სრულდება პირობები. მათთვის მიუღებელი განცხადების გახმოვანებამდე წინასწარი შეტყობინება, რომ მოულოდნელი არ იყოს. მე ეჭვი მეპარება, რომ სააკაშვილი ამის გამკეთებელი იყოს.

***— თუმცა, შანსი არის?***

— შანსი არის. სააკაშვილია ასეთი, თორემ. აფხაზებს სხვა გამოსავალი არა აქვთ, საქართველო ან რუსეთი.

***— დღეს შეიცვალა ეს არჩევანი ჩვენს სასარგებლოდ?***

— არა. პირიქით, მყარდება რუსეთის სასარგებლოდ. რუსები აშკარად მიხვდნენ, საითკენ მიდის პროცესები, ჩვენგან განსხვავებით და მიესალმნენ ამ პროცესებს.

***— თუმცა, რუსები მოედნენ აფხაზეთს, რაც არ უნდა მოსწონდეთ?***

— დიახ და ამიტომ აირჩიეს ანქვაბი, რომელიც კი არ გააგდებს რუსებს, დისტანცირებას მოახდენს. პირველი განცხადება ანქვაბის იყო, რომ აფხაზეთის მიწები არ გაიყიდება.

***— რაც რუსეთისთვის გზავნილი იყო...***

— ეს იყო რუსეთისთვის პირდაპირი გზავნილი. ეს არ იყო საქართველოს მისამართით გზავნილი.

# „ერისიონმა“ პატრიარქს ცეკვა „სნოური“ მიუძღვნა

ეკა ირემაშვილი

**ანსამბლი „ერისიონი" საქართველოში გასტროლებისთვის ემზადება. ქუთაისისა და თელავის შემდეგ ანსამბლი უკვე ბათუმსა და ფოთში ჩავა, სადაც განახლებული რეპერტუარით წარდგება მაყურებლის წინაშე.**



კონცერტებამდე ცნობილი გახდა, რომ „ერისიონმა“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს ცეკვა მიუძღვნა და მას „სნოური“ უწოდა. „ერისიონი“ კონცერტებს ბათუმის ოპერის ახალ თეატრში 23 და 24 სექტემბერს გამართავს. მისი უწმინდესობისადმი მიძღვნილი ცეკვა პირველად სწორედ ბათუმში შესრულდება.

ბათუმის შემდეგ „ერისიონი“ ფოთში ჩავა და 25 სექეტმბერს ფოთელი საზოგადოებისთვის საკუთარ შემოქმედებას წარმოადგენს. 9 ოქტომბერს ანსამბლი თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ერთდღიან კონცერტს გამართავს, ოქტომბრის ბოლოს კი გასტროლებზე უკრაინასა და ბალტიისპირეთში წავა.

**ჯემალ ჭკუასელი:**

— საქართველოში გასტროლებისთვის აქტიურად ვემზადებით. დავდგით ახალი ცეკვა, რომელიც საქართველოს პატრიარქს მივუძღვენით. პატრიარქს უკვე ვაჩვენეთ ცეკვა „სნოური“, ძალიან მოეწონა და ამ ცეკვას პირველად შევასრულებთ ბათუმის თეატრის სცენაზე. კონცერტზე მეც გამოვალ და სიმღერების გადახალისებულ რამდენიმე ვარიანტს შევასრულებ. ვფიქრობ, ძალიან ლამაზი და საინტერესო საღამო უნდა გამოვიდეს. საკვირველიც არის, რომ ჩვენ არსად არ ვყოფილვართ ამ პროექტით საქართველოს რეგიონებში. ამის მიზეზი ის კი არ იყო, რომ არ გვინდოდა, ამის მიზეზი იყო ის, რომ არავითარი ტექნიკა არ იყო საქართველოში. ახლა ნელ-ნელა გაჩნდა ტექნიკა და ყველგან ჩავალთ აუცილებლად. მართალია, ის მოედნები არ არის, რაც ჩვენ გვინდა, მაგრამ კონცერტის ჩატარება ნამდვილად შესაძლებელია. ბათუმში გაიხსნა განახლებული ოპერის თეატრი, კარგი სცენით, კარგი გახმოვანებით, კარგი განათებით. ეს უკვე დიდი ბედნიერებაა, სადაც ჩვენ კონცერტებს ჩავატარებთ.

***— საქართველოში კონცერტებს ბათუმიდან იწყებთ?***

— დიახ. ბათუმით ვიწყებთ, ჩამოვალთ ოზურგეთში და 9 ოქტომბერს უკვე დიდ საკონცერტო დარბაზში თბილისში გვექნება ერთდღიანი კონცერტი. ამის შემდეგ, გასტროლი გველოდება უკრაინასა და ბალტიისპირეთში. ამ გასტროლებიდან დაბრუნებისთანავე ისევ დავიწყებთ მზადებას მომავალი წლის გასტროლებისა და კონცერტებისთვის.

***— რატომ არ მართავთ საქართველოში ხშირად კონცერტებს?***

— ჩვენი შოუ არის ძალიან ძვირი. პირველად გახლდით ქუთაისში, გახლდით თელავში, მაგრამ არც ერთი თეთრი ჰონორარი ჩვენებს არ მიუღიათ. ჩვენ უნდა ვიშოვოთ პარტნიორები, სპონსორები, რომ გაგვიწიონ დახმარება და გადავიხადლოთ ტექნიკის ფული. ვითხოვთ, მოგვაშველონ ტრანსპორტი... მოკლედ, ძალიან გვიჭირს, რასაც ვაკეთებთ. რეკვიზიტი ფუჭდება, აზიურები, ხმლები, ტანსაცმელი ზიანდება, მაშინ იქვე უნდა გქონდეს ფული, რომ დაიზანების შემთხვევაში ყველაფერი განაახლო. ძალიან ცუდ დღეში ვართ, ჩვენი მწირი დაფინანსება, ამ ყველაფერს ვერ უმკლავდება. მომავალ წელს რა იქნება რა ვიცი, მაგრამ რადგან წელს ავიღეთ პასუხისმგებლობა და ვალდებულება, კონცერტები უნდა ჩავატაროთ, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. მსახიობები იღლებიან, შრომობენ, ბოლომდე იხარჯებიან და როგორ შეიძლება ფული არ მისცე? ვერ იგებს ეს ხალხი. ზოგს მაგალითად ადვილად აქვს საქმე აწყობილი, არც სპეციალური განათება და არც გახმოვანება არ სჭირდება. ჩვენ შოუ გვაქვს გაკეთებული, რომლის დანგრევა არ შეიძლება. ერთი კონცერტიც რომ სხვანაირად ვითამაშოთ, მერე იმას თვეები სჭირდება, რომ გადაეწყო რაღაც სხვაზე, რომელიც ჩვენთვის მიუღებელია. დღეს სანახაობაზეა საუბარი, შოუა მთავარი, თორემ ფოლკლორის გაგონებაც არ უნდათ.

***— რა გაგებით არ უნდათ ფოლკლორის გაგონება?***

— რა ჯანდაბად გვინდა ფოლკლორიო, ამბობენ. ჩვენ გვაქვს იდეალური ფოლკლორი და რომ ნახულობენ, მერე აქეთ იხვეწებიან, არა გენაცვალე, ეს კლასიკაა და კიდევ მოგვასმენინეთო. ისე არ გამიგოთ, რომ მარტო ჩვენ და სხვა არავინ, მაგრამ თუ არ არის შოუპროგრამა, მასზე მოთხოვნაც აღარ არის. ევროპაზე მაქვს, რა თქმა უნდა, ლაპარაკი. ერთჯერადად ნახავენ, ერთხელ შეხედავენ და თუ შოუ არ არის, მეორედ კონცერტზე აღარ მოვლენ. ამ თვალსაზრისით მსოფლიო საოცრად აჩქარდა, სულ სიახლე უნდა, სხვანაირი გახდა მსოფლიო. სხვა თუ არაფერი, კამერტონი ამაღლდა. ბედნიერი ვარ იმით, რომ ამას ფეხი კი არ აუწყო, არამედ გაასწრო ჩვენმა ფოლკლორმა, უფრო სწორად, ქართულმა ხალხურმა სიმღერამ. არ მიყვარს ფოლკლორზე ლაპარაკი, ეს არის ნამდვილი ქართული ხალხური სიმღერა. აქ მეორე ამბავიც არის. ნამდვილი ხალხური შესრულებით, იმ ჩოხებით, იმ ფესხაცმელებით და აღჭურვილობით, რასაც გლეხები ახერხებენ, თუმცა სადღაა ესეც, არავის აღარ უნდა. ეს ყველაფერი სჭირდებათ მხოლოდ სპეციალისტებს და მკვლევრებს, რომლებმაც იციან ამის გემო და ფასი.

***— ფოლკლორის მიმართ ინტერესი აღარ არის?***

— დამიჯერეთ, მასას 4-5 ათას კაციან დარბაზს, ათას კაციან დარბაზსაც ვერ გაავსებ სუფთა ხალხური შესრულების დროს. იმიტომ, რომ ეს ჩვენს მეტი არავის აქვს და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენი ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა მასობრივად გავაცნოთ მსოფლიოს. პარიზში რომ ჩავედით ახალი პროგრამით, გაოცებულებმა გვკითხეს, საიდან ხართ თქვენ, სადაა საქართველოო?! ამას ემატება ისიც, რომ უცხოეთში მყოფი ჩვენი ხალხი ძალიან გვიტეხავს სახელს. რომ ვიტყვით, ქართველები ვართო, ვაიმე, ქართველები არ დაგვანახოთო, ამბობენ. ამითი ისინიც კი სპეკულანტობენ. კარგად იციან, რომ ჩვენი ანსამბლი არაფერს ცუდს არ გააკეთებს. მაგრამ იცით, როგორი საუბარი მიდის? თქვენ ასეთი სახელი გაქვთ, თქვენ მშიერი კვდებით, ჩვენ გაძლევთ ხუთ კაპიკს, თქვენ ერთი კაპიკიც არ გაქვთო. მოვიდნენ ჩემთან გერმანელი და ფრანგები, გაიხადეთ ტანზეო და გავყარე გარეთ. წარმოგიდგენიათ, იმღერეთ და იცეკვეთ შიშვლებმაო. ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ მისი რაღაც შემოიტანოს და მერე წაგართვას. ყოველთვის ვსვამ კითხვას, რომელი ნომერი არ მოგეწონათ, ან რომელი კონცერტი ჩავარდა, ან რომელმა მაყურებელმა არ მიიღო-მეთქი, ჩუმდებიან, დგებიან და მიდიან.

***— იუთუბიზე გავრცელდა ვიდეო, სადაც ცეკვა მთიულურზე აზერბაიჯანელები აცხადებდნენ ჩვენი ცეკვააო. როგორ უნდა დავიცვათ ჩვენი საგანძური?***

— მსოფლიომ აღიარა ქართული ხალხური სიმღერა მსოფლიო მუსიკალური აზროვნების შედევრად და თქვა, რომ ანალოგი ამას არ გააჩნია პლანეტაზე. უანალოგოს უანალოგი კანონები სჭირდება. აქ არც ამერიკული, არც იტალიური და არც ფრანგული კანონები არ გამომადგება. ყველაფერი რომ ჩვენშია, იცით? რა უბედურებაც ხდება თუ ხვალ კარგად ვიქნებით, ყველაფერი ჩვენი ბრალია. კარგია, ჩვენ ვართ, ცუდია, ჩვენ ვართ. შენ რომ გადმოიღე აზერბაიჯანული და ცეკვავ, ის რას გეტყვის? პირველად შენ მპარავ მე.

***— გამოდის, ჯერ ჩვენ ვართ ქურდები?***

— რა თქმა უნდა, ამაშია საქმე. რომ მიდიხარ ქართველო კაცო ყარაბახში და აჭარულს ასწავლი, თანაც კარგად გინდა გადასცე, მერე მუხლს და ცერს რომ იგლიჯავ და ამას ეძახი ცეკვას, ეს სწორია? ეს არ არის ცეკვა, ეს არის ე.წ. ტრიუკი. იმისთანა ტრიუკებს აკეთებენ უკრაინელები, რომ ქართველებს არც დაესიზმრებათ. ქართველი კაცი ორ მუხლზე დავარდნილი არ უნახავს არავის. რაღა ახლა ვარდებით XXI საუკუნეში ორ მუხლზე? ეს არ არის ჩვენი.

***— ე.ი. დამკვიდრდა ჩვენში სხვა ქვეყნის ელემენტები?***

— დიახ. მერე ქართველი დალევს ორ ჭიქას და დაიწყებს ყოყოჩობას, რას იზამენო. რას იზამენ? სულს გართმევენ, გულს გართმევენ, სულში გაფურთხებენ, თვალებში გაფურთხებენ, მეტი რა უნდა გიყონ? ამქვეყნად მარტო საჭმელი ხომ არ არის მთავარი? საჭმელი, რა, ღორი ვარ? როცა ჯეირანი გადმოგაქვს და ცეკვავ საქართველოში, ის გეტყვის, ჯეირანი შენია? მაშინ ცეკვა ქართული ჩემიაო. ჩემთან მოვიდნენ, მოიყვანეს ვიღაც ჩინელი, სახე რომ დაუმალო, ვერ გაარჩევ ქართველი ცეკვავს თუ ჩინელი. იცით, რა კარგად ცეკვავდა?! მხოლოდ მაპატიეთ და არიფებისთვის. ეს იყო ჩემთვის დიდი უბედურება, რასაც ვუყურებდი, არაფერი იმაში ქართული არ იყო.

***— თუნდაც ის ფაქტი, რომ ინტერესი დიდია ქართული ფოლკლორისადმი, არ არის თქვენთვის სასიამოვნო?***

— ეს ერთადერთი ბედნიერებაა. იაპონელებმა, რომელიც შაურს არ გადააგდებს ტყუილად, ინსტიტუტები შექმნეს, სიმღერის გუნდები ჩამოაყალიბეს. იგივეა ამერიკაში, ჰოლანდიაში და მთელ მსოფლიოში. მაგრამ იცით რა არის? თუ გავაჩინეთ ქართული ხალხური სიმღერა, მაშინ უნდა გადავარჩინოთ კიდეც.

***— როგორ?***

— მე რეცეპტს ვერ გამოგიწერთ, მაგრამ მქონდა სტატია 20-25 წლის წინ გაზეთ „კომუნისტში“ — დავუბრუნოთ სიმღერა სოფელს. ხალხური სიმღერა მხოლოდ ასე გადარჩება.

***— ყველაზე კარგად სოფელში მღერიან?***

— აბა, რა. ხომ დაწერა იმ ოჯახაშენებულმა „გვაქვს უთვალავი ფერითაო?“ ჰოდა იმას გამოყენება უნდა. ხომ ამბობენ, ზღვა კოვზით დაილევაო, ე.ი. ჩვენც შეგვიძლია ყველაფრის ნორმალურად მოვლა. 8 ათასი სიმღერა გვაქვს ჩაწერილი აუდიოსისტემაზე და ფონდში ინახება, მაგრამ ისიც კი ვერაფერს შველის. ერთადერთი, იმას შველის, რომ ეს არის მკვდავრი ისტორია, რომელიც დევს თაროზე. თუკი ის არავინ იმღერა, არავინ მოისმინა, მისი ფასი ნულია. უბრალოდ სიამაყეა და მორჩა. ქართული ხალხური ფოლკლორი ჩვენი სულიერების უდიდესი ნაწილია. ერთი ამბავი მიკვირს, რომ ამბობენ, მშივრები ვართ რა გვემღერებაო. „ჩაკრულოს“ რომ მღეროდნენ ჩვენი წინაპირები, მაშინ მაძღრები იყვნენ? დაანებეთ სისულელეების და კრეტინიზმის ყურებას ტელევიზიით თავი და ყველაფერი კარგად იქნება. ვინც ამ სერიალებს უყურებს, ცოცხალი როგორ არის? მართლა მიკვირს. 2-3 წლის ბავშვები კომპიუტერში დასრიალებენ, არადა, გეუბნებიან თვალებს აფსობსო. რატომ არაფერი არ გვესმის და არ გვეყურება? რა გვჭირს ქართველებს?

***— ხშირად ტელევიზიით სხვადასხვა შოუებში გამოყენებული ფოლკლორის მოსმენის შემდეგ, ახალგაზრდები ფოლკლორით ინტერესდებიან. ეს ცუდია?***

— ტელევიზია პოპულარიზაციისთვის უნიკალური საშუალებაა. კარგია, როცა ახალგაზრდობა ფოლკლორს უსმენს, მაგრამ ეს ის არ არის, რასაც ჭეშმარიტი ქართული ხალხური სიმღერა ჰქვია. მაგალითისთვის ერთ ამბავს გეტყვით — ჯანსულ ჩარკვიანს ძალიან უყვარს ლუდი. გერმანიაში რომ ჩავიდა და გაიგეს, ლუდი უყვარსო, ყველა სახის გაასინჯეს. მერე ჩამოვიდნენ საქართველოში. გოგი თოფაძეს შავი ლუდი ჰქონდა და ჯანსულმა იქ მიიყვანა. გერმანელებს ძალიან მოეწონათ. წასვლა რომ დააპირეს, ჯანსულმა უთხრა, თქვენ შესანიშნავი ლუდი გაქვთ, მაგრამ ჩვენი ცუდიაო? მათ გაიკვირვეს. ეს კაი რამეა, მაგრამ ლუდიაო? ასევეა ფოლკლორში. საქართველოში, ძალიან ბევრი კარგი ანსამბლი, მომღერალი და კომპოზიტორია, მაგრამ ისინი მომავალს ვერ პასუხობენ. რატომ? 100-200 გუნდი რომ შეიქმნას და თქვან კარგად იმღერესო, არც ერთი არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ამაზე უარესი რა გინდათ? ყველაფერი ერთნაირი აქვთ, მანერა, წყობა, მხრები მხრებზე მიდებული. რაღა დროს ეს არის? სიახლე ქართველებს აშინებთ და რატომ აშინებთ, ვერ გავიგე.

***— ალბათ, იმიტომ, რომ ამბობენ, ფოლკლორი ხელშეუხებელიაო...***

— დიახ, ამაში გეთანხმებით და ვინც ამას ამბობს, ისიც მართალია. თუმცა ვინც ამას ამბობს, თვითონ არღვევს ამ წესს. ეს არის უბედურება. ჩვენ ფოლკლორული ანსამბლი არ ვართ, ჩვენ ვართ ქართული ხალხურ ცეკვასა და სიმღერაზე აღმოცენებული პროფესიული გუნდი, ანსამბლი. ჩვენ ფოოლკლორს ვერ გადავარჩენთ, ჩვენ გვაქვს ჩვენი მიმართულება, საიდანაც გადავარჩენთ ქართულ ფოლკლორს. სიახლე ჩვენ გვაქვს, ჩვენი განათებით, ახალი მუსიკალური ინსტრუმენტებით, კოსტიუმებით. სიახლე გვაქვს, მაგრამ ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა არის ხელშეუხებელი, თანაც ნამდვილი შესრულებით და არა ისე, ჩვენ რომ ვმღერით. ჩვენ ავიტანეთ სცენაზე ქართული ცეკვა და სიმღერა, რაფინირებული გავხადეთ, დავუმორჩილეთ მსოფლიოს ესტრადის მოთხოვნებს და გადაიქცა ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის პროფესიულ ანსამბლად, ეს უკვე ფოლკლორი აღარ არის. რომ გააკვირვებ რაღაცით უცხოელებს, ეს ხომ კარგია?! რა დონის უნდა იყოს ფოლკლორი, რომ გაუძლოს XXI საუკუნეს და ოქროს დისკი მიენიჭოს.

***— კულტურის სამინისტრომ ანსამბლების სერტიფიცირება დაიწყო. ეს რას მოგვცემს?***

— ეს ძალიან კარგია, მაგრამ იცით რისთვის არის საჭირო? იმითვის, რომ მოხდეს აღრიცხვა ანსამბლების. კახელები ვერ მღერიან მეგრულ სიმღერას, მეგრელები კახურ სიმღერას და ეს არც არის გასაკვირი. გამიგია, ის იაპონელები რა მაგრად მღერიან ქართულ სიმღერასო. ჩემს მტერს, ეგენი რომ მღერიან ქართულ სიმღერას. ეს იგივეა, მე რომ ბალეტი ვიცეკვო და ნინო ანანიაშვილს შევეჯიბრო. ხმამაღლა არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ უნდა ვთქვა — საქართველოში დამკვიდრდა უდიდესი პროვინციალიზმი. ამ ავადმყოფობას ვერავინ მოუვლის და ვერც განიკურნება. ამის წამალი არ არსებობს.

***— თქვენი და სამაიას მსგავსების პრობლემა გადაიჭრა?***

— არა. ყოველდღე მირეკავენ და სიტუაციაში გარკვევას მთხოვენ. ბაჰრეინიდან დამირეკა ელჩმა. რუსეთიდანაც კი მირეკავენ. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, მოსკოვი ერთ-ერთი კულტურული ცენტრია მსოფლიოში, სამეულში შედის.

***— „ერისიონს“ არ გირეკავენ ჩამოდითო?***

— ჩვენ ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული 2000 წელში და ჩვენ გვესმისთქვენიო. ისინი გაგებით ეკიდებიან იმ ფაქტს, თუ რატომ არ ჩავდივართ რუსეთში კონცერტების ჩასატარებლად, თორემ შეუძლიათ გაგვანადგურონ ხელშეკრულების დარღვევისთვის.

***— ბატონო ჯემალ, რატომ არ არის ფოლკლორი პოპულარული?***

— იმიტომ, რომ ხალხს არ უნდა. იაფფასიანმა უბედურებებმა წალეკა საქართველო. ამდენი ვარსკვლავი საქართველოში, რა უბედურებაა? ცოდო არ არიან ის ბავშვები? მერე გაიზრდება ეგოისტი და მავნე ადამიანი. იცით რა არის მთავარი? არასდროს არ უნდა აკადრო ადამიანს და სასფლაოზე ძეგლი არ უნდა დაუდგა.

***— როგორი კარგიც არ უნდა იყოს?***

— აბა რა! ეგ შემოქმედმა უნდა მოინდომოს და დადგას. ჩარლი ჩაპლინზე დიდი იყო ვინმე? ორჯერ ვარ მის საფლავზე ნამყოფი და გაოგნებული დავრჩი, უბრალოზე უბრალო საფლავი აქვს. კენედი თავისი შვილების შუაში წევს შავ ჯაჭვ შემოვლებულ საფლავში. ის იყო ადამიანი და წავიდა იქ, საიდანაც წარმოიშვა. როგორ შეიძლება აღარ მოვიშალოთ ფრაზა — რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ. ეს ძალიან პრეტენზიულია. ჩვენი პატარა ქვეყნის სენია, თუმცა ისიც არ უნდა დამკვიდრდეს, რომ ვართ ფინაჩები, ჩმორიკები, ეს მთლად უბედურებაა, მაგრამ არც ვარსკვლავთცვენაა კარგი.

***— რაც უფრო ღირებულია კულტურული მიმდინარეობა, მით ნაკლები გულშემატკივარი ჰყავს. ოდესმე გახდება მასიური ფოლკლორი?***

— აგაშენა ღმერთმა, ასე რომ ფიქრობ. ეს არის დიდი კლასიკა, რომელიც მასობრივი ვერასოდეს გახდება და მას ყველა ვერასოდეს გაიგებს. საცეკვაო მუსიკა დატვირთულია მოძრაობებით. ხომ არ ვარ მოცეკვავე, მაგრამ ამას ვგრძნობ და ვხედავ. მე კარგი მაყურებელი ვარ და მეტი არაფერი. ჩემს ნამუშევარზე არასოდეს მითქვამს, რომ შედევრია. მეუბნებიან, მსგავსი რამე არ გაკეთებულაო, კი მართალია, მაგრამ ეს დრომ მოიტანა და პატარა ნიჭიც წამეხმარა ამაში. ამის გულისთვის, გამარჯობა არ უნდა გითხრათ? რომ გამოდიან ესტრადაზე, ჯერ სად არის, ერთი-ორ კაცს თუ დაინახავ ნიჭიერს, დგას 30 კაცი და ერთი და იგივეს მღერის, ხომ გაგისკდება გული? ამიტომ არ ვუყურებ არავის. თელაველი კაცი რომ მღერის ჩაკრულოს, ის არის ნამდვილი ჩაკრულო და ფოლკლორი, თორემ თბილისში დაბადებულმა თელაველმა კაცმა რომ იმღეროს ჩაკრულო, ის ჩაკრულო არ იქნება. ჩვენ რომ ვმღერით, ცუდად არ ვმღერით, მაგრამ არ არის ის ჩაკრულო. ჩემს ანსამბლზე ვამბობ, სხვაზე კი არა. ის სხვა რამეა, ლუდის არ იყოს. ხასანბეგურას რომ მღერიან თბილისში, მეცინება, როცა იტყვიან, ნაკლებად ვმღერითო?! არა, გენაცვალე, არ მღერი კარგად, შენ მღერი მსგავს ხასანბეგურას. მერსედესიც მანქანაა და ლადაც? აი, ასეთი შედარება შეიძლება გავაკეთოთ. სისულელეა, სულიერების შედარება მანქანებთან, მაგრამ ასე უფრო მიხვდება მკითხველი. არ შეიძლება შენი შვილი იყოს ყველაზე უკეთესი, არ შეიძლება შენ იყო ყველაზე უკეთესი, არ შეიძლება შენი ცხვირის იქით არაფერი დაინახო, მაშინ, როცა თვითონ ცხვირი არ გივარგა და იმის იქით ვერ ხედავ კარგ ცხვირს. აი, ეს გვჭირს ქართველებს და ეს არის ჩვენი უბედურება. 10 წელი მიმიცია ფოლკლორისთვის, მაქსიმუმ და მერე ფოლკლორი აღარ იქნება.

***— ეს ყველაზე დიდი ვადაა?***

— კი. ეს არის ძალიან დიდი დრო. დღეს აღარ არის უკვე და 10 წელში რა იქნება? სამეგრელოშია ერთი კაცი, რომელიც მღერის ფოლკლორს, ოზურგეთში, გურიაში, საოცარი პოლიფონიის სამშობლოში ორი კაცია, რომელიც მღერის დიდებულად და დამთავრდა. არაფერს ვაჭარბებ. მე და ანზორ ერქომაიშვილი რომ ჩავდივართ, უხარიათ, ბანს გვეტყვითო. კი, იქაც მღერიან, მაგრამ ეს იმ ლუდის ვარიანტია. ეს ძალიან დამაფიქრებელია. ჩვენ ამაზე უკეთესი არაფერი გვაქვს, მტერიც და მოყვარეც ამის მოსპობას და გაჩანაგებას ქადაგებს. ამ დროს სტრავინსკი წერდა, ქართული ხალხური სიმღერა, კერძოდ გურული, მსოფლიო მუსიკალური აზროვნების შედევრიაო. ქართველებო, ნუ დაკარგავთ ამ დიდ განძს. კიდევ ერთხულ ვიმეორებ, დავუბრუნოთ სიმღერა სოფელს, არ არის ეს დიდი საქმე, გამგებლებო, გუბერნატორებო, 5-6 კაცის შენახვა ნუ გაგიჭირდებათ თქვენს რაიონში. დააფასეთ ის ადამიანები. იაპონიაში, ვინც მღერის და ფოლკლორით არის დაკავებული, ეროვნული საუნჯე მოდისო, ცოცხალ კაცზე ამბობენ. არადა, ერთი კაბუკის თეატრი აქვთ, რომლის ნახვაც მეორედ აღარ მინდა, მაგრამ ისეთი საინტერესოა, სულ მახსოვს და არ მავიწყდება.

# ბრიტნი სპირსის ქორწინებამ 55 საათს გასტანა

**ბრიტნი ჯინ სპირსი — ამერიკელი პოპ მომღერალი, კომპოზიტორი, მოცეკვავე, მსახიობი და სიმღერების ავტორი. ცნობილია თავისი სტუდიური ალბომებით, მუსიკალური კლიპებით და სიმღერებით. ჟურნალ „ტაიმსზე" დაყრდნობით, მას მთელს მსოფლიოში 76 მილიონზე მეტი ალბომი აქვს გაყიდული.**



### ბიოგრაფია

ბრიტნი ჯინ სპირსი დაიბადა 1981 წლის 2 დეკემბერს, კენტვუდში, ლუიზიანას შტატში. მას ყოველთვის სურდა, რომ წარმატებული მუსიკალური კარიერა დაეწყო. თავდაპირველად ის საეკლესიო გუნდში მღეროდა. შემდეგ ბრიტნიმ ბედი ნაციონალურ ტელევიზიაში სცადა — ჯერ როგორც „აღმოაჩინე ვარსკვლავის" კონკურსანტმა, შემდეგ კი 8 წლის ასაკში ბრიტნიმ „მიკი მაუსის კლუბის" კასტინგი წარმატებით გაიარა, მაგრამ პატარა ასაკის გამო არ მიიღეს. საბედნიეროდ, შოუს ერთ-ერთმა პროდიუსერმა შენიშნა ახალგაზრდა მომღერლის ტალანტი და ნიუ იორკში აგენტის მოძებნაში დაეხმარა.

### წარმატება

მომდევნო სამი თვე ბრიტნიმ ნიუ იორკში გაატარა, სადაც სწავლობდა ცეკვის ცენტრსა და პროფესიონალ მსახიობთა სკოლაში. ბრიტნის მსოფლიო გავარსკვლავება მომავალში უტყუარი რომ გაეხადათ, გოგონა რეკლამებში იღებდა მონაწილეობას.

3 წლის შემდეგ, უკვე 11 წლის, როგორც იქნა მიიღეს მიკი მაიუსის კლუბში. შეუერთდა რა ნიჭიერ თინეიჯერთა ჯგუფს შოუში, ბრიტნიმ გამოავლინა თავისი თამაშის, სიღერისა და ცეკვის უდიდესი ნიჭი და დაჩრდილა ახალგაზრდა ლამაზმანების, კელი რასელისა და კრისტინა აგილერას კარიერა.

ოჯახთან ერთად 2 წლის ორლანდოში ცხოვრების შემდეგ, ბრიტნი დაბადების ადგილს დაუბრუნდა და კენტვუდში გადავიდა საცხოვრებლად, რადგან შოუ შეწყდა და ისიც მშობლიურ სკოლაში დაბრუნდა.

14 წლის ბრიტნი ჩვეულებრივი სკოლის მოსწავლე იყო. შემდეგ კი ნორმალურ ცხოვრებას გამოეთხოვა. მან გადაწყვიტა აეხდინა ოცნება, დაეტოვებინა პატარა მშობლიური ქალაქი და წარმატებული კარიერა აეწყო. საამისოდ კი ბრიტნის ნიუ იორკში დაბრუნება მოუწია. ამჯერად მას გადაწყვეტილი ჰქონდა დიდ ხმის ჩამწერ სტუდიასთან დაედო კონტრაქტი.

საბოლოოდ, ბრიტნიმ ხელშეკრულება ჯაივ რეკორდსთან გააფორმა. ეს კი მას შემდეგ მოხდა, როდესაც სტუდიის ადმინისტრატორი გაოცდა ტალანტით, რომელიც მან საცდელ ჩაწერაზე მოისმინა. პროდიუსერ ერიკ ფოსტერთან მუშაობით, რომელიც ადრე ისეთ ცნობილ ვარსკვლავებთან თანამშრომლობდა, როგორიცაა ბიზონი და უიტნი ჰიუსტონი, ბრიტნის სადებიუტო ალბომი მზად იყო, რომლის გამოშვების თარიღი კი 1999 წლის 12 იანვარია.

პირველმა ალბომმა რამდენიმე წარმატებული ჰიტი შვა და, რა თქმა უნდა, ალბომმა ბილბორდ ჩარტებში პირველ ადგილს მიაღწია, ამასთან, 12-ჯერ გახდა პლატინის დისკი (ანუ 20 მილიონზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა) და ბრიტნის მოაგებინა ისეთი ჯილდოები, როგორიცაა 1999 წელს მტვ-ს ნომინაციაში საუკეთესო მომღერალი ქალი, საუკეთესო პოპ მომღერალი და საუკეთესო ახალბედა მომღერალი. მისი საოცრად წარმატებული დებიუტის შემდეგ, სანამ მეორე ალბოზე მუშაობას შეუდგებოდა, ბრიტნიმ დედამის ლინი სპირსთან ერთად დაწერა წიგნი „გული გულისთვის" და მსოფლიო ტურნეში გაემგზავრა.

მომღერალი მერაია ქერის, მაიკლ ჯექსონის და მადონას ერთგული ფანი იყო. მედიამ თავად ბრიტნიც კარგად შეისწავლა. გაზეთებში ჩნდებოდა სტატიები, რომ ბრიტნიმ მკერდი გაიდიდა და თითქოს პრინც უილიამის შეყვარებული ყოფილიყოს...

16 წლის ასაკში ბრიტნი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა. თუმცა, ვითომც არაფერი მომხდარა — ბრიტნის მუშაობა არ შეუწყვეტია და სცენას 2000 წელს დაუბრუნდა. იქვე გამოუშვა მეორე ალბომი ჰიტ-სიმღერის სახელწოდებით — მე ის ისევ გავაკეთე. მისი ალბომის მხრადასაჭერად ბრიტნიმ მეორე მსოფლიო ტურნე მოაწყო და მილიონობით ფანი შეიძინა. ამით ბრიტნიმ 18 წლის ასაკში მიაღწია იმდენს, რამდენიც ერთეულებს თუ მიუღწევია.

2001 ბრიტნისთვის რეკორდული წელი იყო: გამოვიდა რიოს როკ ფესტივალზე, ჩაწერა სიმღერები აეროსმირთან და რამდენიმე სხვა ცნობილ მომღერალთან ერთად და რაც ყველაზე მთავარია, გააფორმა მულტიმილიონიანი კონტრაქტი პეპსისთან.

სანამ ბრიტნი ქარხნის მუშებთან ერთად ცეკვავდა და პეპსის უკეთებდა რეკლამას, კრისტინა აგილერა კოკა-კოლას რეკლამაში გამოჩნდა. ამან ცეცხლზე ნავთი დაასხა... ეს იყო მეტი, ვიდრე უბრალო პოპის ომი.

### ბრიტნი გზაჯვარედინზე

2001-ში შრომისმოყვარე ვარსკვლავმა, მესამე ალბომი გამოუშვა და საკუთარი სახელი დაარქვა — ბრიტნი.

როგორც ჩანს, დისკების გაყიდვა, კონცერტები, წიგნები (მისი და დედამისის მეორე წიგნი 2001 წლის აპრილში გამოიცა, სათაურით დედის საჩუქარი) და უდიდესი ჰონორარი რეკლამებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა და ბრიტნიმ კინოში სცადა ბედი. ბრიტნის პირველი ფილმი ჩავარდა — ეს იყო გზაჯვარედინი (2002 წელი), რომელმაც ბრიტნის ოქროს ჟოლო მოუტანა, როგორც წლის ყველაზე ცუდ მსახიობს.

ამასობაში მომღერლის პირადი ცხოვრება კვლავ არეული რჩებოდა. ბრიტნი ჯასტინ ტიმბერლეიკს სახალხოდ დაშორდა. ეს მოხდა ჯასტინის სიმღერისა და კლიპის „იტირე ჩემო მდინარე" შემდეგ. როგორც ამის შემდეგ გამოჩნდა, ბრიტნი ჯასტინს უსამართლოდ მოექცა. და მაინც, მომღერალმა გასართობ ცხოვრებას მიჰყო ხელი... სულ წვეულებები და გართობა — სპირსი ერთ-ერთი ფილმის პრემიერაზე ყველაზე „ცუდ ბიჭად" აღიარებულ კოლინ ფარელთან ერთადაც გამოჩნდა. მისმა მრავალმა ტატუმ და დასტურმა, რომ ჯასტინისაგან ქალწული აღარ იყო, მხოლოდ ნავთი დაასხა ცეცხლზე...

მას მოჰყვა ნახევრად შიშველი წარმოდგენა 2000 წლის მტვ-ს დაჯილდოებაზე, გალიაში ჩასმულ ცხოველებთან და გველთან ერთად სიმღერა, ძალზე ეროტიკული ვიდეო□კლიპების გადაღება.

მაგრამ ეს ყველაფერი გაგრძელდა მეოთხე ალბომის გამოშვებამდე რამდენიმე თვით ადრე. ბრიტნიმ საზოგადოება კიდევ ერთხელ დაშოკა — ამჯერად მადონას სიმღერების გარემიქსებულ ვარიანტში. მადონა რემიქსს ბრიტნისთან და კრისტინა აგილერასთან ერთად ასრულებდა. ბრიტნიმ და მადონამ ერთმანეთი გადაკოცნეს... ეს იყო წლის ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი. მას შემდეგ, რაც ბრიტნის პირველი სინგლი გამოვიდა, რომელსაც ბრიტნი სწორედ მადონასთან ერთად ასრულებს, პოპ დედოფალმა აღნიშნა, რომ ბრიტნის ფანია. მეოთხე ალბომი კი გამოვიდა 2003 წლის ნოემბერში და ერთ კვირაში პირველ ადგილზე იყო, რადგან ამ პირველივე კვირის განმავლობაში 609 000-ზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა. იმავე თვეს ბრიტნის ვარსკვლავი გაიხსნა ჰოლივუდში.

მაგრამ წლის ყველაზე ეფექტური გამოსვლა მაინც ბრიტნის უეცარი გათხოვება-გამოთხოვება იყო. პოპ პრინცესამ და მისი ბავშვობის მეგობარმა ჯეისონ ალექს ალექსანდერმა ხელი ლას ვეგასში მოაწერეს, მთელი ღამის ღრეობის შემდეგ. ქორწინება 55 საათში გაუქმდა. სხვათა შორის, ბრიტნი და ჯეისონი დღემდე მეგობრები არიან.

### ბრიტნის ოჯახური ცხოვრება

ზემოთ ნახსენები ისტორიების შემდეგ მომღერალმა პირადი ცხოვრებაც დაალაგა. ბრიტნი მისთხოვდა მის ყოფილ მოცეკვავე კევინ ფედერლაინს. ქორწილი ვიწრო წრეში 2004 წლის 18 სექტემბერს გაიმართა. აპრილში ბრიტნიმ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ორსულად იყო. 2005 წლის 14 სექტემბერს ფედერლაინებს პირველი ვაჟი შეეძინათ. პატარას შონ-პრესტონი დაარქვეს. 2006 წლის 12 სექტემბერს კი ოჯახს მეორე ვაჟი, სახელად სატონ-პირსი შეემატა.

# ბრიუს უილისი — კერკეტი მსახიობი

დასაწყისი მე-12 გვერდზე

როსი. თავად ბრიუსი გაიზარდა ნიუჯერსიში, კერძოდ კი, პენს-გროუვში გაიზარდა, სადაც „მონტკლერის" კოლეჯში სწავლობდა.

ბრიუს უილისი, მისი ენაბლუობის მიუხედავად, რვა წლის ასაკიდან სამოყვარულო დრამატულ სტუდიაში იწყებს მეცადინეობას. მოსინჯა სიმღერაც ბლუზის ანსამბლში „ლუსგუზი", სადაც თავის თავს ტუჩის გარმონით უკეთებდა აკომპანირებას, თამაშობდა სტუდენტურ თეატრალურ კოლექტივში, ხოლო შემდეგ ბროდვეის სცენაზე ნიუ იორკში, რის გამოც 1977 წელს მან დაანება თავი კოლეჯში სწავლას.

მისი მცდელობა მიეღო როლი კინოში, სცენაზე, ტელევიზიაში უშედეგოდ მთავრდებოდა. საღამოობით ბრიუს უილისი დარდს სპირტით იქარვებდა.

ბრიუს უილისმა, თავის მისწრაფებაში გამხდარიყო მსახიობი, სასწაული შეუპოვრობა გამოავლინა, თუმცა მისი ძალისხმევა ძალიან გვიან შეფასდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, უილისის ტალანტი შეაფასეს არა თეატრალურ სცენაზე, არამედ ნიუ იორკის პოპულარულ ბარში „კაფე სენტალი", სადაც დროს ატარებდა მსახიობთა ბოჰემა. ბარში მუშაობა ერწყმოდა მის შეუპოვარ მცდელობებს დაეახლოვებინა თეატრისა და კინოს ელიტა. რის შემდეგ ბრიუს უილისს მოუხდა შეესრულებინა არაფრისმთქმელი როლები მეორეხარისხოვან ფილმებსა და რეკლამებში. უილისმა პირველი როლი კამერის წინ ჯინსის რეკლამაში ითამაშა.

1984 წელს, სემ შეპარდის პიესის სცენურ ვერსიაში „შეყვარებული ბრიყვი" წარმატებულად შესრულებული მთავარი როლის შემდეგ, მასზე დაიწერა პირველი დადებითი შეფასებები და სინჯებზე ლოს-ანჯელესში მიიწვიეს. ბრიუსი კმაყოფილი იყო იმით, რომ მოხვდა ლოს-ანჯელესში და მიეცა ოლიმპიური თამაშების ნახვის შესაძლებლობა, რომელიც იმ დროს უფრო ძალიან აინტერესებდა, ვიდრე შეთავაზებული უმნიშვნელო და არაფრისმთქმელი როლი. სრულიად შემთხვევით, ნიუ იორკში დაბრუნებამდე ერთი დღით ადრე, ბრიუს უილისი შეიყვანეს სტუდიაში სერიალის „მთვარის შუქი" სინჯებზე... ამის შემდეგ იწყება ისტორია დიდებისა.

ყველასთვის უცხო ნიუიორკელი მსახიობი ისე მოეწონათ სერიალის პროდიუსერებს, რომ ეპიზოდური როლის მაგივრად ის თვით სიბილ შეპარდის პარტნიორად აიყვანეს. მუშაობის პირველი თვეებიდან სერიალში ბრიუს უილისი გახდა საოცრად პოპულარული, ხოლო ჟურნალისტები მალევე ჭორაობდნენ მის და სიბილას „ეკრანსმიღმა" რომანზე. პრესა გაძლიერებულ ინტერესს იჩენდა უილისის მიმართ. ბრიუსმა დაახლოებით ამ პერიოდში 1987 წელს გაიცნო დამწყები მსახიობი დემი მური, რომელსაც მაშინ იღებდნენ ისეთ ფილმებში, როგორებიცაა „პარაზიტი", „შეყვარებული ახალგაზრდა ექიმები", „გასული ღამის შესახებ" და „წმინდა ელმას ცეცხლი", რომელმაც ყველაზე მეტად მიიქცია კრიტიკოსების ყურადღება. უილისის ურთიერთობა დემი მურთან მღელვარედ და სწრაფად ვითარდებოდა. ორივეს ჰქონდა საერთო — ბრიუსს უყვარდა სმა, დემიც ალკოჰოლიკი იყო (შემდგომში კლინიკაშიც კი მკურნალობდა). მალე ისინი დაქორწინდნენ.

80-იანი წლების შუაში ბრიუს უილისს იღებენ სერიალში „მთვარის შუქი", რომელიც ამერიკის ტელეეკრანებზე 1985-1989 წლებში გადიოდა. უილისი გახდა არა მარტო პოპულარული შემსრულებელი, არამედ მამაკაცის იდეალი 80-იანი წლების მეორე ნახევრში. კრიტიკოსების აზრით, მაყურებლებს აინტერესებდათ, ბოლოს და ბოლოს გახდებოდნენ თუ არა სერიალის გმირები, დავიდი და მედი საყვარლები — სწორედ ეს იყო მთელი სიუჟეტის ძარღვი. „მთვარის შუქი" ემი-ის პრემიაზე 16 კატეგორიაში იქნა წარდგენილი, მათ შორის მამაკაცის როლი საუკეთესო შესრულებისათვის ბრიუს უილისს ეს პრესტიჟული პრემია მიენიჭა.

ამ პრემიით დაჯილდოვებული, შემოქმედებითი ძალებით სავსე და თავისთავში დარწმუნებული ბრიუსის სერიოზული კინოდებიუტი 1987 წელს შედგა რეჟისორ ბ. ედვარდსის კომედიაში „ბრმად პაემანი". დებიუტი აღიარეს წარმატებულად და მან მსახიობს ფართოდ გაუღო ჰოლივუდის კარი. ნიუ იორკის პოლიციელის ჯონ მაკლეინის როლმა ფილმში „კერკეტი კაკალი"□(1988) აჩვენა, თუ როგორ საუკეთესოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პოპულარული სახე.

გაუთვალისწინებელი სიტუაციის დროს (დამნაშავეები აღწევენ ცათამბჯენში, სადაც მაკლეინი უნდა შეხვდეს ცოლს) ბრიუს უილისის გმირი ახდენს სასწაულებს ბოროტმოქმედთა ბანდასთან ბრძოლაში. ფილმის „კერკეტი კაკალი" კომერციულმა მოგებამ საშუალება მისცა უილისს გაეგრძელებინა თავისი გმირის ეკრანული ბიოგრაფია კიდევ ორ სერიაში — „კერკეტი კაკალი-2"(1990) და „კერკეტი კაკალი-3", რომელიც 1995 წელს გადაიღეს. მისი ხარისხი და პოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ 12-წლიანი პაუზის შემდეგ, 2007 წელს გამოვიდა „კერკეტი კაკალი-4". იმ დროს, როცა მაყურებელი უილისს აღიქვამდა ამ ფილმის გმირად მაკლეინად, მსახიობმა ითამაშა სხვა როლებიც. ცნობილი რეჟისორის ნორმან ჯუისონის ფილმში „ქალაქგარეთ" (1989) ის შეეცადა წარმოეჩინა ვიეტნამის ომის ვეტერანის ღრმა ფსიქოლოგიური სახე, ხოლო ფილმში „ამბიციის კოცონში"□(1990) პოპულარული გაზეთის რეპორტიორად. მაგრამ უილისის ტალანტის თაყვანისმცემლებს მაინც სურთ, რომ ის უფრო ექსტრავაგანტულ სიტუაციებში ნახონ — მაგალითად, ფილმში „ჰადსონ ჰოუკი"(1991). მასვე ნათამაშები აქვს კომიკური როლები — მაგალითად, რეჟისორ რ. ზემეკისის ფანტასტიკურ კომედიაში „მას სიკვდილი უხდება" (1992), სადაც ბრიუსი ცნობილი მსახიობის, მერილ სტრიპის პარტნიორია.

პარალელურად მსახიობი არ ივიწყებს თავის გატაცებას მუსიკისადმი — ფილმში „უყურე კიდევ ვინ ლაპარაკობს" (1990), ბრიუსი თავის დაწერილ სიმღერას ასრულებს, ხოლო მისი ფირფიტა „ბრიუს უილისი: ბრუნოს დაბრუნება" 1987 წელს გამოვიდა.

თვით მსახიობის თქმით, ის არ თვლის თავის პირად ცხოვრებას ფართო განხილვის საგნად. ამიტომაც არის, რომ მის ფეშენებელურ სახლს ჰოლივუდში გარშემო არტყია ექვსფუტიანი სიმაღლის კედელი. თუმცა, პრესა ხელიდან არ უშვებს ყოველ ახალ მოვლენას მისი „ეკრანსმიღმა" ცხოვრებიდან.

ბრიუს იულისი თავის კერპებად და მისაბაძ მაგალითებად მიიჩნევს ისეთ ერთმანეთისაგან განსხვავებულ მსახიობებს, როგორებიც არიან რობერტ დე ნირო, რობერტ დიუვალი, ალ პაჩინო, კერი გრანტი, ბობ ჰოუპი, რობერტ მიტჩელი და სტივ მაკკუინი. უილისის ყველა სახელგანთქმულ კოლეგას მიღებული აქვთ მრავალი პრემია და ჯილდოები, ხოლო თავად არაფერი გააჩნია მაყურებლის სიყვარულის გარდა.

1994 წელს ის არ წარადგინეს ოსკარზე ფილმისათვის „მაკულატურა", მაშინ როცა ბრიუსის ყველა პარტნიორები ნომინანტებად იყვნენ დასახელებული. ასევე მოხდა 1995 წელსაც — აკადემიამ გვერდი აუარა მის ბრწყინვალე ნამუშევარს ფილმში „თორმეტი მაიმუნი", სამაგიეროდ დააჯილდოვა ახალი ვარსკვლავი ბრედ პიტი.

ბრიუს უილისი არის მხიარული ადამიანი და ამისაგან არ ქმნის ტრაგედიას. ეს არ ახდენს გავლენას არც მის მატერიალურ მდგომარეობაზე. ის არის ერთ-ერთი მაღალანაზღაურებადი ჰოლივუდის მსახიობი.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ირაკლი კლიმიაშვილი: „საქართველოს ნაკრების დამარცხება, იოლი არ იქნება“



ერთ დროს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ლიდერმა და ეროვნული გუნდის კანდიდატმა ირაკლი კლიმიაშვილმა უზბეკურ ტაშკენტის „ფახთაქორში“ გადასვლის შემდეგ, გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი მყარად დაიმკვიდრა და ერთ-ერთ წამყვან ფიგურად იქცა. უზბეკური პრესის თქმით, ქართველმა ნახევარმცველმა გუნდის ყოფილი ლიდერი ოდილ ახმედოვი სრულფასოვნად შეცვალა, რასაც მოედანზე ამტკიცებს.

გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც უზბეკურ მედიაში გამოჩნდა.

***— „ფახთაქორთან“ შეთანხმებას როგორ მიაღწიეთ? ამ გადაწყვეტილების მიღების დროს გადამწყვეტი ფაქტორი რა გახდა? რჩევა ვის ჰკითხეთ?***

— 24 თებერვალს მახაჩყალის „ანჟისთან“ 3,5 წლიანი კონტრაქტი გავაფორმე. თურქეთში შეკრებაზე ყოფნისას მწვრთნელის ნდობა გავამართლე, მაგრამ ეს ცოტა იყო, რომ ძირითად შემადგენლობაში მოვხვედრილიყავი. ამის მიზეზი გუნდში არსებული ძალიან დიდი კონკურენცია იყო. იმ ასაკში არ ვარ, რომ სათადარიგოთა სკამზე ვიჯდე. ამ დროს ფახთაქორმა მიმიწვია. სხვათა შორის, თურქეთში შეკრებაზე რომ ვიყავი, ტაშკენტელები მაშინაც მიწვევდნენ, მაგრამ მაშინ ანჟი ვარჩიე. მეორედ გადაწყვეტილება დაუფიქრებლად მივიღე. ჩემთვის მთავარია ვითამაშო და სათადარიგოთა სკამზე არ ვიჯდე. ფახთაქორში ამის შესაძლებლობას მაძლევენ. 29 ივლისს კლუბთან ოთხთვიანი კონტრაქტი გავაფორმე. მანამდე ჩემს მეგობრებს, კახა მახარაძეს და მიხეილ ალავიძეს ველაპარაკე, რომლებიც უზბეკეთის ჩემპიონატში თამაშობენ. მათ მითხრეს, რომ ფახთაქორის არჩევისას არ შევმცდარვარ.

***— ფახთაქორიდან ოდილ ახმედოვის წასვლის შემდეგ გაჩნდა კითხვა — მის მაგივრად გუნდის ლიდერის ადგილს ვინ დაიკავებდა? თქვენ ამის შანსი გაქვთ. ამასთანავე, ზუსტად იმ 25-ნომრიანი მაისურით თამაშობთ, რომლითაც ახმედოვი გამოდიოდა.***

— ოდილის შეცვლა ძალიან რთულია. მას გუნდში წამყვანი პოზიცია ეკავა. მე ვცდილობ ყველაფერი გავაკეთო, რომ მწვრთნელებისა და გულშემატკივრების იმედი გავამართლო. არჩეული ნომერი კი, ჩემზე დადებითად მოქმედებს.

***— გუნდში არსებული ატმოსფერო და შექმნილი პირობები გაკმაყოფილებთ?***

— რა თქმა უნდა. მე კარგად შემხვდნენ. თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ამ გუნდში დიდი ხანია ვთამაშობ.

***— „ანჟიში“ რა პოზიციაზე თამაშობდით?***

— ნახევარდაცვაში. უფრო მეტად თამაში თავდამსხმელების უკან მიწევდა. ამ პოზიციაზე თამაში თავად მომწონს.

***— „ფახთაქორში“ გადასვლის შემდეგ, ამ თემაზე გუნდის მთავარ მწვრთნელ რავშან ხაიდაროვთან საუბარი გქონდათ?***

— რა თქმა უნდა. რავშან აკმალოვიჩმა მითხრა, რომ ჩემთვის სასურველ პოზიციაზე მეთამაშა და თავდამსხმელებს დავხმარებოდი.

***— საქართველოსა და უზბეკეთის ჩემპიონატებს შორის რა განსხვავებაა?***

— შედარება ძნელია. ამჟამად, ამ ქვეყნების ჩემპიონატები განვითარების საკუთარ გზას გადიან. მართალია, უზბეკეთი აზიაშია, მაგრამ ევროპულზე ნაკლებ ფეხბურთს არ აჩვენებს. აქ ჩამოსვლის შემდეგ დავრწმუნდი, თუ რამდენად დიდ ყურადღებას აქცევენ სპორტის ამ სახეობას. ფეხბურთი ჩვენთანაც უყვართ, მაგრამ ისე ძლიერად არა, როგორც უზბეკეთში.

***— თქვენთან საბავშვო ფეხბურთი რა დონეზეა განვითარებული?***

— ახლა საქართველოში ძირითადი აქცენტი ხარისხიანი საფეხბურთო მოედნების რიცხვის გაზრდაზე კეთდება. ტალანტები მხოლოდ კარგ მოედნებზე იზრდებიან. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეს იდეა აიტაცა. გააქტიურდა კლუბებთან არსებული საფეხბურთო აკადემიების საქმიანობა. არ გამიკვირდება, რომ 20 წლის შემდეგ, საქართველოს ევროპის ჩემპიონატის ფინალში მოხვედრის პრეტენზია ჰქონდეს.

***— 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრის შემდეგ, საქართველოს ნაკრები ჯგუფში მსოფლიოსა და ევროპის მოქმედ ჩემპიონ ესპანეთთან, საფრანგეთთან, ბელარუსსა და ფინეთთან ერთად მოხვდა. ერთგვარი „სიკვდილის ჯგუფია“.***

— იმედი ბოლოს კვდება... გეთანხმებით, ჯგუფიდან საფრანგეთისა და ესპანეთის გასვლის შანსი ძალიან დიდია. არ უნდა დავივიწყოთ ბელარუსი. თუმცა, ჩვენი დამარცხებაც იოლი არ იქნება. ქართველი ფეხბურთელები ბევრ ცნობილ ევროპულ კლუბებში თამაშობენ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენს წინაშე მაღალი მიზნებია დასახული.

***— თქვენი ვარცხნილობა უზბეკეთის ეროვნული ნაკრებისა და „დნიპროს“ მცველის ვიტალი დენისოვისას ჰ გავს.***

— ამის შესახებ უკვე მითხრეს. ჩემი ვარცხნილობა მომწონს.

***— „ფახთაქორის“ ხელმძღვანელობა კონტრაქტის გახანგრძლივებას თუ შემოგთავაზებთ, დათანხმდებით?***

— რატომაც არა? ამის ალბათობა ძალიან დიდია.

***— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?***

— ამჟამად, სასტუმროში ვცხოვრობ. ამიტომ, უფრო მეტად ინტერნეტს ვუზივარ. ჯერ ქალაქს ცუდად ვიცნობ. ხანდახან მაღაზიებში დავდივარ საყიდლებზე. ტაშკენტი ძალიან მომწონს. თავს ისე ვგრძნობ, როგორც თბილისში. აღმოჩნდა, რომ უზბეკეთი და საქართველო ერთმანეთს ძალიან ჰგავს — ხალხი, კულტურა.

***— ვინ ან რამ გაგაოცათ?***

— უზბეკების აღწერას სიტყვები არ სჭირდება. მსოფლიოში უკეთეს ხალხს ვერ ნახავთ.

# ჟოზე მოურინიო: „არასოდეს შევიცვლები“

ის არასდროს დუმს. ყოველთვის ამბობს იმას, რასაც ფიქრობს, მიუხედავად იმისა, რომ ამის გამო ხშირად ექმნება პრობლემები. ჟოზე მოურინიო უკანასკნელ თვეებში თითქმის აღარ ჩნდება სახალხოდ, მაგრამ ელ მუნდომ ექსკლუზიურად მოახერხა მასთან მრავალ საინტერესო თემაზე საუბარი.

ცოტა ხნის წინ მან რამდენიმე კილოგრამი დაიკლო, თუმცა ეს არც ნერვიულობის და არც უსიამოვნებების შედეგი არ გახლავთ. პორტუგალიელი ძალიან ხშირად სტუმრობს სავარჯიშო დარბაზს და საკუთარ ფორმას აკონტროლებს, რადგან ეს ეხმარება არა მხოლოდ კარგად იგრძნოს თავი, არამედ შეინარჩუნოს გონების სიჯანსაღე. მას არათუ აშინებს დაკისრებული მისია, არამედ საოცრად იზიდავს კიდეც — ჩამოაგდოს ტახტიდან მოწინააღმდეგე.

9 წლის განმავლობაში პორტუგალიელმა ოთხი სხვადასხვა გუნდის თავკაცობით მოიგო 19 ნაციონალური და საერთაშორისო ტიტული. ეს განუმეორებელი შედეგია.

***— მაზოხისტი ხართ?***

— არა, ნამდვილად არა. მგონი, ნიცშემ ჯერ კიდევ 100 წლის წინ თქვა — რაც არ გკლავს, უფრო ძლიერს გხდის. მე სწორედ ეს მემართება.

***— ჩვენ ვიცნობთ ნამდვილ მოურინიოს?***

— რა თქმა უნდა. გამოდის, რომ არსებობს ერთი მოურინიო პროფესიისთვის და მეორე — ოჯახისა და პირადი ცხოვრებისთვის. ორივე ნამდვილია, მაგრამ ერთი საჯარო ადამიანი გახლავთ, ხოლო მეორე — ახლობელი.

***— რას ყვებიან თქვენ შესახებ უფრო ხშირად — სიცრუეს თუ სიმართლეს?***

— მეტ ტყუილს, ბევრ ტყუილს. მაგრამ ეს ცხოვრების ნაწილია. ცხოვრების, რომელიც ამ მიმართულებით მიდის. სხვა ჩემპიონატებისგან განსხვავებით, რომლებშიც მიმუშავია, აქ უფრო მეტად ვგრძნობ ჩემ წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას. ერთხელ ჩემმა მეგობარმა, რომელსაც ოდნავი შეხებაც კი არ აქვს ფეხბურთთან და რომელიც ძალიან შორს იმყოფება სპორტის ამ სახეობისგან, მითხრა, რომ უნდა ვიამაყო ამ კამპანიით. საუბარია უთანასწორო ბრძოლაზე და როდესაც მან საკუთარი თვალით იხილა ეს ყველაფერი, მითხრა, რომ თუკი შევაგროვებდი ჩემი მისამართით ნასროლ ყველა ქვას, დიდი ძეგლის აღმართვა იქნებოდა შესაძლებელი.

***— ეს ტკივილს უფრო გაყენებთ თუ ახალი გეგმებისკენ გიბიძგებთ?***

— თავს კარგად ვგრძნობ. ყოველ ჯერზე ჩემგან სულ უფრო შორსაა ახალი გეგმები, ბოლოს და ბოლოს, რატომ მოვედი „რეალში“, როდესაც „ინტერში“ასე კარგად ვგრძნობდი თავს ან რატომ არ წავედი ამ ზაფხულს, როდესაც უამრავი შემოთავაზება მქონდა? ამაზე არ ვფიქრობ, რადგან აქ ყველაფერი უნიკალურ გამოცდილებას იძლევა, მადრიდის „რეალი“ კი მსოფლიოს უდიდესი და უმნიშვნელოვანესი კლუბია. კმაყოფილი და უაღრესად მოტივირებული ვარ. ვგრძნობ, რომ იდეალურად შესაფერის ადგილას ვიმყოფები და ამას არაფრით შევცვლევი.

***— შეგიძლიათ უფრო დეტალურად ახსნათ თქვენ წინააღმდეგ მიმართული კამპანიის არსი?***

— ვფიქრობ, მსოფლიო ძალიან შეიცვალა, ხალხი, ფეხბურთი, რომელიც მიკროსამყაროს წარმოადგენს, ძალიან ცოტაა ადამიანი, რომელიც საკუთარ პრინციპად სიმართლეს მიიჩნევს და არა პირფერობას. ასე ცხოვრობდნენ ჩვენი ბაბუების, დიდი ბაბუების დროს. მდიდრები და ღარიბები, წარმატებულნი და ნაკლებ წარმატებულნი, ყველა იზიარებდა ამ პრინციპს. ახლა ასე აღარ არის — ახლა ყველაფერი პირიქითაა. მე ვიცნობ პირფერებს. ისინი არ ამბობენ, რასაც ფიქრობენ, არ არიან გულწრფელნი, პატიოსანნი, ფიქრობენ მხოლოდ იმაზე, რომ როგორმე გადარჩნენ. მე შეიძლება შევცდე, მაგრამ ყოველთვის ვიტყვი იმას, რასაც ვფიქრობ და შედეგების არ შემეშინდება. სწორედ ამას არ მპატიობს ბევრი. მე კი არასოდეს შევიცვლები. დიახ, სიამოვნებით ვიცხოვრებდი 100 წლის წინ.

***— კარგი ეპიზოდებიც გახსოვთ, მაგალითად, ის, რაც უეფაში შეგემთხვათ.***

— უეფასში თავის დასაცავად მივედი, იქ 5-6 საათი გავატარე და, როდესაც სიტყვა სრულად წარმოვთქვი, თავი 10 წლით ახალგაზრდა მეგონა. უფრო ძლიერი, უფრო ახალგაზრდა. მათ ყველაფერი ვუთხარი, აბსოლუტურად ყველაფერი, რისი თქმაც მსურდა. როდესაც ჩემი დისკვალიფიკაცია ერთი მატჩით შეამცირეს, ეს ბევრს ნიშნავდა ჩემთვის და საფეხბურთო სამყაროსთვის. მე მართალი ვიყავი და შედეგი ფანტასტიკური გამოდგა.

***— ფიქრობთ, რომ ისინი თქვენ უარესად გექცევიან, ვიდრე სხვებს?***

— არ ვიცი. მაგრამ მაშინ ვთქვი, რაც გულში მქონდა, იქ, სადაც უნდა მეთქვა და თავი ბედნიერად ვიგრძენი, უფრო ბედნიერად, ვიდრე მანამდე.

***— უეფამ არავითარი წინასწარი გაფრთხილება არ მოგცათ, თუმცა გასულ კვირას თქვენი კოლეგა, არსენ ვენგერი, სათადარიგოთა სკამზე სწორედ ამ წყალობის გამო იჯდა.***

— ამის შესახებ საუბარი არ მსურს, რადგან არ მინდა დამსაჯონ. მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემპიონთა ლიგის ამ სეზონში ევროპის მასშტაბით საკუთარ მეასე შეხვედრას „ლიონის“ წინააღმდეგ გავმართავ და რომ ამის შესაძლებლობა სათადარიგოთა სკამიდან მომეცემა და არა გასახდელიდან ან სტადიონიდან.



***— თქვენმა კიდევ ერთმა კოლეგამ და, ამასთან ერთად, თანამემამულემ, ვიტორ პერეირამ, მკაცრად გააკრიტიკა მსაჯობა, რომლისგანაც ძალიან დაზარალდა მისი „პორტუ“ ევროპის სუპერთასზე „ბარსელონას“ წინააღმდეგ გამართულ შეხვედრაში.***

— როგორც ბატონმა მიშელ პლატინიმ განაცხადა, არსებობენ განსაკუთრებული მოთამაშეები, ასევე არსებობენ განსაკუთრებული მწვრთნელებიც. ისინი, ვისაც შეუძლიათ ილაპარაკონ, რაც სურთ და ისინი, ვისაც — არა.

***— „ბარსელონა“, რომელიც, უდავოდ, საკუთარ ისტორიაში საუკეთესო წლებს ატარებს — ეს როგორი სპორტული გამოწვევაა, მიუღწევადი თუ შესრულებადი?***

— ჩემთვის „ბარსელონა“, უბრალოდ, გუნდია, რომელიც ჩვენ მხარდამხარ იბრძვის ტურნირებში. ჩემი მიზანია, გავაუმჯობესო საკუთარი კლუბი. ასეა თუ ისე, ამ თემაზე უკვე საკმარისად ვისაუბრე და ეს არ იცვლება: „ბარსელონა“ იმარჯვებს მაშინ, როდესაც კარგად თამაშობს და იმარჯვებს მაშინაც, როდესაც ცუდად თამაშობს და არ ვფიქრობ, რომ ეს იცვლება. გარდა ამისა, ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული. არ მინდა იმის შეცვლა, რომ „რეალი“ ლოგიკურად იგებს კარგად თამაშისას და ლოგიკურად აგებს ცუდად თამაშისას. მაგრამ „ბარსელონა“ — ეს კლუბია, როგორც სხვები, რასაკვირველია, დანარჩენებზე უკეთესი და ჩემი დავალებაა, გავაუმჯობესო საკუთარი გუნდის შედეგები, ვაქციო ის უფრო კონკურენტუნარიანად და შევქმნა ბაზა, რათა შესაძლებელი გახდეს მეტი ტიტულის მოგება. ამისთვის მნიშვნელოვანია თანაბარ პირობებში ბრძოლა.

***— რამდენიმე დღის შემდეგ გამოთქვით თქვენი აზრი „კამპ ნოუზე“ მომხდარი ინციდენტების შესახებ.***

— მირჩევნია, არ გიპასუხოთ, რადგან ამ წუთისთვის ეს შეუფერებლად მიმაჩნია.

***— რა მხრივ შეიცვალა მადრიდის რეალი ხორხე ვალდანოს წასვლის შემდეგ?***

— შეიცვალა მისი სტრუქტურა. ახლა სხვანაირად ვმუშაობთ. არ ვამბობ, რომ უკეთესად ან უარესად. გუნდში მნიშვნელოვანი რესტრუქტურიზაცია მოხდა. მაგალითად, კომუნიკაციის სფერო: ადრე ის გლობალური იყო, ახლა კი ორ მოდელად არის დაყოფილი, ერთი — კლუბის შესახებ ინფორმაციისთვის, ხოლო მეორე — დეპარტამენტისთვის. მე მხოლოდ კომუნიკაციის მაგალითი მოვიყვანე, მაგრამ ფეხბურთის განხრითაც უამრავი ცვლილება ხდება, რომლებიც, ვფიქრობ, წაადგება გუნდს.

***— იკერ კასილასთან პრობლემები გაქვთ?***

— თუ ერთხელ ანტონიო ადანის მატჩში ჩართვა მოუწევს და ეს ადრე არ ექნება გაკეთებული, ხალხი გამაკრიტიკებს და მართალიც იქნება. თუ ეს ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში მოხდება, დამადანაშაულებენ, რომ იგი უკეთ არ მოვამზადე. მაგრამ საქმე მხოლოდ ამაში არ არის. მსურს, ანტონიო ვარიანტი იყოს. არ მინდა ვინმე ხელშეუხებლები მყავდეს. ჩემთან ეს არ მოხდება.

***— კასილასი ძველებურად სარგებლობს თქვენი სრული ნდობით?***

— რა თქმა უნდა. იკერი სხვებზე წინ დგას. არ შევცდებით, თუკი ვიტყვით, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მადრიდის „რეალია“. თუ დადგება დღე, როდესაც კასილასი არ იქნება სათანადო სიმაღლეზე, არ მინდა მან იფიქროს, რომ ხელშეუხებელია და რომ ხალხმა ეს აღიქვას, როგორც ჩემი ვაჟისათვის ნაყიდი აბონიმენტი. ფულს იხდი და ის სულ შენია. კარი კი აბონიმენტი არ არის, მას ვერ შეიძენ. ვერც მეკარეს, ვერც თავდასხმას — ვერც ერთ ადგილს. ამიტომ არ მინდა, რომ ყველასთვის სიურპრიზი იყოს, თუ რომელიმე მატჩში ადანი ითამაშებს, ჩვენ ის ფორმაში მყოფი გვჭირდება.

***— რას გრძნობთ სეზონის დასაწყისში?***

— უკვე სავსე ვარ სურვილებით. ამხანაგური მატჩები მომბეზრდა. დიახ, ისინი საჭიროა, მაგრამ არა აუცილებელი. მოვემზადეთ, რათა დაუყოვნებლივ ჩავრთულიყავით ჩემპიონატში. მოწიფულობასა და ახალგაზრდობას შორის ვარ. 48 წლის ასაკში ისეთი სიმპტომი მაქვს, რომ თავს ახალგაზრდად უფრო ვგრძნობ, ვიდრე მოწიფულად. ვნახოთ, წამართმევენ ამ შეგრძნებას თუ არა.

***— როგორ ფიქრობთ, რით გაუმჯობესდა მადრიდის „რეალი“ გასულ სეზონთან შედარებით?***

— გარდა წლევანდელი გაძლიერებისა, მუშაობის, ყოველდღიური ცხოვრების გამოცდილება მივიღეთ. ნათელია, რომ გუნდი ისე აღარ თამაშობს, როგორც შარშან. ფორმაში უნდა ვიყოთ, რათა ჩვენს თამაშს შევმატოთ პრინციპები, რომლებიც გასულ წელს არ გვქონდა და მათ ვაჩვენებთ კიდეც.

***— და გაძლიერება?***

— ადრე უკვე ვთქვი, რომ წელს გუნდი უკეთესია. იმ მოთამაშეთაგან, რომლებიც მოვიდნენ, ალტინტოპსა და შაჰინს ჯერ კიდევ არაფერი გაუკეთებიათ. ვარანი ისეთ ასაკშია, რომ მესამე დივიზიონში უნდა თამაშობდეს, მაგრამ ამ ფანტასტიკური შესაძლებლობების მქონე ფეხბურთელს მე „რეალის“ აწმყოდ მივიჩნევ და არა მომავლად. გვყავს კოენტრაუ, რომელზეც ახალს ვერაფერს ვიტყვით და კალეხონი, რომელიც არ არის სიუპრიზი, რადგან ჩვენ გვჯეროდა მისი. ის ბევრს შემატებს გუნდის თამაშს. იმდენი არ დაგვიხარჯავს, რამდენიც სხვებს და ვფიქრობ, დაბალანსებულ, კარგად ჩამოყალიბებულ შემადგენლობას მოვუყარეთ თავი.

***— ვისზე მიანიშნებდით, როდესაც ახსენეთ „ფსევდომადრიდისტები“ ტიტო ვილანოვასთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ გამოქვეყნებულ წერილში?***

— ყოველთვის მიყვარს საგნებისთვის საკუთარი სახელების დარქმევა. არ მომწონს ადამიანები, რომლებიც ერთი პოზიციიდან მეორეზე გადადიან. „რეალს“ ჰყავს გულშემატკივრები, თაყვანისმცემლები, მისი ფეხბურთის მოყვარულები და მათი რიცხვი მთელ მსოფლიოში მილიონებს აღწევს. გარდა ამისა, მას ჰყავს საფეხბურთო მტრები, რომლებიც, ჩემი აზრით, არანაკლებ პატივისცემას იმსახურებენ. თუმცა არსებობს ხალხი, რომლებიც ისეთ იმიჯს იქმნიან, თითქოს ნამდვილი მადრიდისტები არიან და თითქოს პირველნი გულშემატკივრობენ კლუბს, მაგრამ მხოლოდ მაშინ ჩნდებიან, როდესაც ყველაფერი კარგადაა. არ მინდა მადრიდიზმის გაკვეთილები ჩავატარო, რადგან აქ ჯერჯერობით არაფერს წარმოვადგენ, თუმცა ფსევდომადრიდიზმის შესახებ საუბარი შემიძლია, რადგან მას მშვენივრად ვიცნობ. რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც აგრძელებენ ჩემი გუნდისადმი დახმარების შესახებ ლაპარაკს, მათ გარიგებას ვთავაზობ. მატჩი, რომელსაც მაჩუქებენ, თავიდან ჩატარდეს. არ მინდა რაიმე მაჩუქონ, მაგრამ არც ის მინდა, რომ რაიმე წამართვან.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## სასარგებლო რჩევები

### .dtkfathccf[ tptyelfblt,s



რას აღარ სჩადიან სუსტი სქესის წარმომადგენლები, მომხიბლავად რომ გამოიყურებოდნენ. ზოგი კოსმეტოლოგის კაბინეტს მიმართავს, ზოგიც წინაპრების რჩევებს ითვალისწინებს და სახეზე ყველაფერს იდებს და ისვამს, რაც კი ხელში მოხვდება.

თანამედროვე კოსმეტოლოგები კი გაფრთხილებენ, რომ სულაც არ არის კარგი თქვენი სახის კანისთვის ყველაფერის წასმა და შეზელვა. სამკურნალო, თუნდაც ბუნებრივი საშუალება ინდივიდუალურად, კანის ტიპის გათვალისწინებით უნდა შეირჩეს.

თვითნებურ კოსმეტიკურ პროცედურებს არაერთი ზიანი მოაქვს, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

1. თაფლი, მარწყვი და ციტრუსი — კანზე ალერგიულ გამონაყარს აჩენს.

2. დაჭყლეტილი ნივრის ნიღაბმა შესაძლოა კანი დაგწვათ.

3. კიტრის წვენისა და კვერცხის ცილის ნიღაბი კანს ჭიმავს და ქერცლავს.

4. სქელი წებოვანი თაფლი ტუჩებზე წასმისას არცთუ იშვიათად მიკროტრავმების მიზეზად იქცევა.

5. გახეხილი ჭარხლისა და სტაფილოს ნიღბები კანს სტაფილოსფერ ელფერს აძლევს, რომლის მოცილებაც ნამდვილად არ არის ადვილი.

### hjujhbfmfkb vfvfrfwbc sdfkbs0

უცხოელმა ფსიქოლოგებმა მამაკაცებზე ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ ჩამოაყალიბეს ის ძირითადი ტენდენციები, რომელიც მამაკაცს ქალში ყველაზე მეტად მოსწონს და პირიქით, ყველაზე მეტად არ მოსწონს. მაშ ასე:

რა არ მოსწონს მამაკაცს ქალში?

1. მამაკაცს აღიზიანებს ქალის მიერ წარმოთქმული ფრაზა — მამაჩემს მაგონებ!

2. სასტიკად აღიზიანებს ხელოვნურად ქერა ქალბატონები.

3. არ მოსწონს, როცა მისი მეგობრები საყვარელი ქალისთვის მიუღებელია.

4. არ მოსწონს, როცა მას ეთაყვანებიან.

5. არ მოსწონს ქალის მკაცრი სახე და უკარება ქალები.

6. არ მოსწონს უგემოვნოდ ჩაცმული ქალი და მასზე მორგებული უხეში წინდები.

7. ვერ იტანს, როცა ქალი ხელოვნურ აქტიურობას იჩენს.

8. აღიზიანებს, როცა ქალი მასთან გამუდმებით წუწუნებს, თუნდაც ყოფით პრობლემებზე, ან ძაღლის ავადმყოფობაზე.

9. არ მოსწონს ვეგეტარიანელი ქალები.

10. მამაკაცი ვერ იტანს, როდესაც საყვარელი ქალი მასთან სხვის საჩუქარს ახსენებს.

11. მამაკაცებს აღიზიანებთ სიგარეტთან და ალკოჰოლთან დამეგობრებული ქალები.

12. მამაკაცს თრგუნავს პესიმისტ ქალთან ურთიერთობა.

13. მამაკაცებს აღიზიანებთ არაქალური, მკაცრი მანერების მქონე ქალები.

14. მამაკაცს არ მოსწონს დაგეგმილი სექსი.

15. გაგიკვირდებათ, მაგრამ მამაკაცებს არ მოსწონთ პომადა ქალის ტუჩებზე.

16. აღიზიანებთ ქალის ირონიული დამოკიდებულება მის მიმართ.

17. მამაკაცს არ მოსწონს ისეთი ქალი, რომელსაც დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე.

18. მამაკაცებს აღიზიანებთ დაუდევარი და მიამიტი ქალები.

19. მამაკაცებს არ მოსწონთ, როცა მისი საყვარელი ქალი ვახშამს ნახევარფაბრიკატებისგან ამზადებს.

20. არც ერთ მამაკაცს არ მოსწონს ქალი, რომელსაც თვალი სხვა მამაკაცისკენ გაურბის.

რა მოსწონთ მამაკაცებს ქალებში:

1. ყველა მამაკაცს მოწონს, როცა მისი საყვარელი ქალი მის მეგობრებს დადებითად ახასიათებს.

2. მამაკაცს ქალში ნატურალური თმა იზიდავს.

3. თუკი მამაკაცის საჩუქარი მის საყვარელ ქალს განსაკუთრებით მოეწონა, მაშინ ის განსაკუთრებით ბედნიერია.

4. ნებისმიერ მამაკაცს მოსწონს, როცა ქალი მის მიმართ დიდ სიყვარულს გამოხატავს.

5. მამაკაცებს საშინლად მოსწონთ ქალის ლამაზი საცვლები, ფაქიზი წინდები და სუნამო.

6. რაც უფრო უშუალოა ქალი მამაკაცთან ურთიერთობაში, მით უფრო მოსაწონია ის მამაკაცისთვის.

7. მამაკაცების უმეტესობას მოსწონს ისეთი ქალი, ვინც სასიყვარულო ურთიერთობებში პირველ ნაბიჯებს დგამს.

8. თითქმის ყველა მამაკაცს მოსწონს ქალი მსახიობი.

9. მამაკაცებს ხიბლავთ ქალში მგრძნობიარე ტუჩები და სიცილი.

10. ყველა მამაკაცს მოსწონს, როცა ქალი ნაზი და ქალურია.

11. ყველა მამაკაცს მოსწონს სპონტანური სექსი.

12. მამაკაცებს ქალში მოსწონთ ფლირტის თამაშის უნარი.

13. ყოველთვის მოწონებით სარგებლობს ის ქალი, რომელიც მამაკაცს სრულიად ენდობა.



14. ნებისმიერი მამაკაცი გიჟდება, როცა მისი საყვარელი ქალი კარგად ამზადებს.

15. თანამედროვე მამაკაცების უმეტესობას დამოუკიდებელი ქალები მოსწონთ.

16. მამაკაცისთვის ქალში ერთგულება უმთავრესია.

17. ოპტიმისტი ქალები მამაკაცებს მაგნიტივით იზიდავენ.

18. ნებისმიერ მამაკაცს მოსწონს ვიზუალურად ლამაზი ქალები.

19. მამაკაცებს მოსწონთ საქმიანი ქალები.

20. დაბოლოს, მამაკაცებს ყველაზე მეტად ერთგული ქალები მოსწონთ.

**თიკო ნინიაშვილი**

# ჩემს მშობლებს სოფლელი სიძე არ უნდათ

**თამთა მ.-ს ოჯახში პრობლემები აქვს. ამის მიზეზი კი მისი რჩეულია, რომელიც არ არის თბილისელი და მისი ოჯახის წევრების გაღიზიანებაც სწორედ ამან გამოიწვია. თამთა ამბობს, რომ მას რეზიკო სერიოზულად უყვარს და არავის გულისთვის მასზე უარის თქმას არ აპირებს.**



თამთა მ.:

— შეყვარებული ვარ, მაგრამ ჩემ გარშემო ყველა ცდილობს,ჩემი რჩეული შემაძულოს. ამის მიზეზი ის არის, რომ რეზიკო სოფლელია და თბილისში არ ცხოვრობს. ჩემს მშობლებს ვერაფერი გავაგონე. არ ესმით, რომ მთავარი ქალაქელობა არ არის. ერთი პერიოდი მათთან ჩხუბით და კამათით ისე დავიღალე, გამოვუცხადე, თქვენსას მიაღწიეთ, მე და რეზიკომ ვიჩხუბეთ და ერთმანეთს აღარ ვხვდებით-მეთქი. ის პერიოდი ყველაზე მშვიდი იყო ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ახალი თავსატეხი გამიჩნდა. დედაჩემმა ვილაც ბიჭზე მითხრა, ძალიან კარგი ადამიანია და მინდა ერთმანეთი გაიცნოთო. მივხვდი, ვილაც ბიჭს მირიგებდნენ. ამან კიდევ უფრო გამაგიჟა და ჩემი მშობლების მიმართ პროტესტის გრძნობა გამიმძაფრა.

მე და რეზიკომ ერთმანეთი საერთო მეგობრის წრეში გავიცანით. თავიდან დავცინოდი, შე სოფლელო-მეთქი, მაგრამ მერე ისე დავახლოვდით და დავმეგობრდით, ერთი სული გვქონდა, კიდევ როდის შევხვდებოდით. ერთმანეთისთვის არ გვითქვამს, მიყვარხარო, ჩვენი ურთიერთობიდან ისედაც ყველაფერი ნათელი იყო. დედაჩემის ხასიათი რომ ვიცოდი, მისთვის პირდაპირ არ მითქვამს, შეყვარებული ვარ და ჩემი რჩეული სოფლელია-მეთქი, რადგან დედაჩემს ასეთ რაღაცებზე გართულება აქვს. ის კი არა, მამაჩემის შორეული ნათესავები რომ ჩამოდიან სოფლიდან, იმათაც ამრეზით უყურებს.

ორი წელი ისე ვიყავით მე და რეზიკო ერთად, დედაჩემმა არაფერი იცოდა. ჩემს დაქალს ვაბრალებდი ყველაფერს და რეზიკოსაც მის შეყვარებულად ვასაღებდი. არც ჩემს დაქალებს მოსწონდათ რეზიკო თავისი სოფლელობის გამო, მაგრამ დამიჯერეთ, ბევრ ქალაქელს ნამდვილად სჯობია თავისი გულწრფელობით, სიალალით და ადამიანობით. რეზიკოს არ აქვს სნობიზმზე გართულება, არც პროვინციალიზმი სტანჯავს. ის გულწრფელი ადამიანია და ამბობს იმას, რასაც ფიქრობს. ამიტომაც მომწონს და მიყვარს ასეთი ადამიანი და არა ისეთი ბიჭები, სულ სხვა ღირებულებებით რომ აფასებენ გოგონებს. ჩემს დაქალებს ისეთი ბიჭები მოსწონთ, ქალაქის ცენტრში რომ ცხოვრობენ, ბოლო მოდაზე რომ აცვიათ, კარგი მანქანები რომ ჰყავთ და ფულიანი მამიკოების შვილები რომ ჰქვიათ. მე კი ასეთი ტიპაჟები არ მიზიდავს, რადგან ვიცი, ფულს სულაც არ მოაქვს ბედნიერება.

***— რეზიკოს შესახებ მშობლებს სიმართლე როდის გაუმხილეთ?***

— ამ თემაზე მე და რეზიკოს ხშირად გვისაუბრია. მას ყოველთვის ჰქონდა სურვილი, ჩემი მშობლები გაეცნო, მაგრამ მე თავს ვიკავებდი. მამაჩემი წყნარი, მშვიდი და უბრალო ადამიანია, მაგრამ დედაჩემს თავისი კაპრიზები აქვს და მისი ხასიათი რომ ვიცი, ვგრძნობდი, რჩეულს დამიწუნებდა. ათასი მიზეზი მოვიდე, რომ რეზიკოსა და დედაჩემის შეხვედრა რაც შეიძლება დიდხანს გადამევადებინა, მაგრამ რეზიკო დამემუქრა, თუ შენი ნებით არ მიმიყვან შენს მშობლებთან, დაუკითხავად მოგადგებით სახლში და შენიანებს ყველაფერს მოვუყვებიო.

ამ შეხვედრისთვის დედაჩემი წინასწარ შევამზადე. არაფერი დამიმალავს, ვუთხარი, რომ რეზიკო სოფლელი იყო, რომ თბილისში ბინა არ ჰქონდა, მაგრამ ეს ჩემთვის არ იყო ღირებული და ამის გამო, თვითონაც არ უნდა შეეწუხებინა ნერვიულობით თავი. დედაჩემი გაგიჟდა და გადაირია, ჯერ მამაშენის სოფლელი ნათესავები არ მეყოფა, ახლა კიდევ შენი ქმრის ტეტია სოფლელ ნათესავებს რა გაუძლებს, სირცხვილით თავი სად გამოვყო, ვის ვუთხრა, რომ სოფლელი სიძე მყავსო. ბევრი ველაპარაკე, ავუხსენი, რომ უკვე შეგნებული მქონდა ჩვენი ურთიერთობის მომავალი და მზად ვიყავი რეზიკოსთან ერთად სოფელში მეცხოვრა, მაგრამ დედაჩემმა არაფრის გაგონება არ ისურვა. მითხრა, კატეგორიულად გიკრძალავ ასეთ ადამიანთან ურთიერთობას, თუ გინდა მთელი ცხოვრება უბედური იყო და ვირივით იშრომო, კი ბატონო, გაყევი მაგ შენს რეზიკოს და ჩემი დახმარების იმედი არ გქონდესო.

***— რა გადაწყვეტილება მიიღეთ?***

— რეზიკოს ათასგვარი მიზეზებით კიდევ რამდენიმე ხანი ჩემს მშობლებთან შეხვედრა როგორღაც გადავუვადე. დედაჩემს ვთხოვდი, ხმა არ ამოეღო და მაქსიმალური თავაზიანობა გამოეჩინა ჩვენი სახლში მოსვლის მომენტში. მერე კი მზად ვიყავი მისი ლექციები მომესმინა სოფლელთა უვარგის ხასიათსა და უზნეო ჩვევებთან დაკავშირებით.

***— როგორი აღმოჩნდა შეხვედრა?***

— იმაზე მშვიდი, ვიდრე წარმოვიდგენდი. დედაჩემი რეზიკოს გაღიმებული შეხვდა. მამაჩემსაც კმაყოფილება შევატყვე სახეზე. ძალიან მშვიდი და სასიამოვნო საღამო გამოგვივიდა. რეზიკომ ჩვენთან რამდენიმე საათი დაყო და დედაჩემის თითქმის ყველა შეკითხვას დაწვრილებით უპასუხა.

მისი წასვლის შემდეგ, მზად ვიყავი, რომ დედაჩემი თავის აზრებს ყველაზე უხამსი სიტყვებით გამოხატავდა, მაგრამ მან მხოლოდ ორი სიტყვა მითხრა, ის შენი შესაფერისი არ არის და მის ხელში საშინლად მეცოდებიო. თუმცა თავს იმშვიდებდა, ცოტა კარგად რომ დაფიქრდები და შენს სოფლელ შეყვარებულს სხვა ქალაქელ ლამაზ ვაჟკაცებს შეადარებ, მიხვდები, რომ სისულელეს აკეთებ და მთელ შენს ცხოვრებას იღუპავო.

ყველაზე მეტად მამაჩემის აზრი მაინტერესებდა. მას რომ რეზიკოზე ვკითხე, მითხრა, კარგი ადამიანი ჩანს, ალალი და გულმართალი, მასთან ცხოვრება რა გაგიჭირდება, რაც მთავარია, ზემოდან არ დაგიწყებს ყურებას და დამცირებას, მაგრამ დედაშენის დაყოლიება ძალიან გაგიჭირდებაო.

მამაჩემმა სიმართლე მითხრა. ბოლო პერიოდში დედაჩემი საშინლად მაკონტროლებს და მკაცრად მექცევა. არსად მიშვებს, სულ თან დამყვება. ერთ დღეს კი გამომიცხადა, ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამიჯდეს, იმ სოფლელს უნდა დაგაშოროოო. დახმარებისთვის მამაჩემს მივმართე, მაგრამ ისიც დედაჩემის მხარეს დადგა, წვალებით გაგზარდეთ, შენთვის არაფერი მოგვიკლია, გვინდოდა ბედნიერი ყოფილიყავი, შენ კი ვილაც სოფლელს გადაეკიდე და გგონია, რომ ბედნიერება მარტო სიყვარულშიაო.

ყველა მე ამიმხედრდა. ჩემს შეყვარებულს მარტო იმიტომ მიწუნებენ, რომ სოფლელია და ქალაქში არ ცხოვრობს. ნუთუ ქალაქში ცხოვრებაა მთავარი? მზად ვარ, ჩემს რეზიკოსთან ერთად ქოხშიც ვიცხოვრო. დედაჩემი კი ყველანაირად ცდილობს, რეზიკოს დამაშოროს. მასთან შეხვედრებსაც მიშლის და მეუბნება, სანამ ჩემს შესაფერის საქმროს არ გიპოვნი, ყველანაირ გათხოვებას და შეყვარებულის ყოლას გიკრძალავო. აღარ ვიცი, რა ვქნა, ჩემი შეყვარებული ჩვენი ოჯახის მთავარი პრობლემაა. ჩემი მშობლების გულისტკენაც არ მინდა, მაგრამ ისიც მაბრაზებს, რომ ჩემს პირად ცხოვრებაში უხეშად ერევიან და არ მაძლევენ უფლებას რეზიკოსთან ერთად ბედნეირად ვიცხოვრო.

**თიკო ნინიაშვილი**

## განცხადებები

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა, თვეში 3-5 სმ მომატებით 25 წლამდე, ძვლის აქტიური კვებავარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. ასევე გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა უკუჩვენების გარეშე, 100% შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი სალომე.

● ჰორმონალური პრობლემის მოწესრიგება, ციკლის დარღვევები, კლიმაქსური ფონის მოხსნა (ალები, ნევროზი, შიშები, უძილობა) ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე დაინფიცირებისგან. სიმსივნური პროცესის შეჩერება (იმუნიტეტის გაძლიერება), მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 234-02-38; 599-964-494 ექიმი სალომე.

● მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

## ორშაბათი 12 სექტემბერი

07.30 დოკ. ფილმი "სამყარო" 08.30 ან. ფილმი "ჯუმანჯი" 09.30 სათავგად. ფილმი **"დათვი სახელად ვინი"** 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.30 ქართ. ფილმი **"წკიპურტები"** 15.00 სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** 17.00 ან. ფილმი "ჯუმანჯი" 17.30 სილამაზის ფორმულა 18.00 მედ-ინფო 18.50 **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. მე-2 ჯგუფური ეტაპი. საქართველო- საბერძნეთი 21.00 სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** 23.45 საფეხბურთო მიმოხილვა 00.50 მხ. ფილმი **"უკანასკნელი სამურაი"** (12) (ტ. კრუზი) 03.30 მოამბე 03.50 ცხოვრება მშვენიერია 04.40 საფეხბურთო მიმოხილვა

08.00 დოკ. ფილმი "ზარბი" 09.00 ან. ფილმი "ფილმი ფუტკარზე" 10.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 11.30 დოკ. ფილმი "სამყარო" 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.00 სპექტაკლი **"ჭინჭრაქა"** 14.45, 17.45, 23.30 ბრიფინგის დროით 16.00, 19.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 20.00 დოკ. ფილმი 20.30 **ჭიდაობა**. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები 22.30 თავისუფალი ტრიბუნა 00.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.30 მხ. ფილმი **"თანამონაწილე"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"ცოდვილი"** 11.00 სერ. **"მიმნდობელი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 იღბლიანი ბორბალი (გან.) 17.00 სერ. **"ავრორა"** 18.45 სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** 19.45 სერ. **"სახლი მეზობლად"** 22.00 მელომანია 23.30 შუა დღე 02.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "ზარბი" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.20 ქრონიკა 09.15 ან ფილმი "სპანჯბობი" 09.40 სერ. **"ჰანა მონტანა"** 10.00 სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** 11.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) 16.00 სერ. **"მეტოქეები"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.40 სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 23.50 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 01.15 მხ. ფილმი **"სახიფათო დავალება"** (კ. როკი) (სუბტ.) 03.35 მხ. ფილმი **"ცეცხლოვანი ველი"** (15) (სუბტ.)

08.00 არხის პროფილაქტიკა 17.00-მდე 17.00 ტვ-მარკეტი 17.10 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"ელიზა 2"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.40 სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** 10.30 დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** 12.50, 19.35 სერ. **"შექსპირიადა"** 15.15 სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" 23.00 სახლი ბათუმში 00.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.10 მხ. ფილმი **"იყო შაშვი მგალობელი"** 12.30 კონცერტი – ელისო ვირსალაძე 15.25 სპექტაკლი **"სამანიშვილის დედინაცვალი"** 16.50 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.25 საუბრები შ. ნადირაშვილთან 18.15 100 ქართული ხალხური სიმღერა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფილმი **"ჩიორა"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 საქართველოს პატრიარქის მოგზაურობა ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიაში 22.20 დოკ. ფილმი "სამთავროს რესტავრაცია" 22.40 ერთსულოვანი ოჯახი 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "მაცხოვარი ლატალისა" 00.30 განთიადის სტუმარი

## სამშაბათი 13 სექტემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 დოკ. ფილმი "ვერა უონგი" 08.30 ან. ფილმი "ჯუმანჯი" 09.30 სათავგად. ფილმი **"დათვი სახელად ვინი"** 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 19.00, 20.00 მოამბე 12.30 საფეხბურთო მიმოხილვა 13.30 აღმოაჩინე საქართველო 14.00 ჩვენი ეზო 15.00 სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** 17.00 ან. ფილმი "ჯუმანჯი" 18.00 ჩვენი ფერმა 18.30 დამზადებულია საქართველოში 19.05 დოკ. ფილმი "უძველესი აღმოჩენები" 21.00 სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** 22.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 22.25 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი 00.35 მხ. ფილმი **"ყასაბის ცოლი"** (ვ) (დ. მური) 02.15 მოამბე 02.35 აუდიტორია 03.35 მხ. ფილმი **"უკანასკნელი სამურაი"**

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 19.30 თავისუფალი ტრიბუნა 20.30 **ჭიდაობა**. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები 22.30 დოკ. ფილმი 01.00 მხ. ფილმი **"ჯიბის ფული"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"ცოდვილი"** 11.00 სერ. **"მიმნდობელი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 სერ. **"მაშველები"** 17.00 სერ. **"ავრორა"** 18.45 სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** 19.45 სერ. **"სახლი მეზობლად"** 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 თქვენი შოუ 22.40 **ჩემპიონთა ლიგა**. ჩელსი- ლევერკუზენი 23.30 შუა დღე 02.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "ზარბი" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.50 ქრონიკა 09.15 ან ფილმი "სპანჯბობი" 09.40 სერ. **"ჰანა მონტანა"** 10.00 სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** 11.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 ღამის შოუ (გან.) 16.00 სერ. **"მეტოქეები"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.40 სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 23.50 ნანუკას შოუ 01.15 მხ. ფილმი **"ოგზგა"** (18) (რ. ფაინსი) (სუბტ.) 03.20 მხ. ფილმი **"სიბრმავე"** (18) (ჯ. მური) (სუბტ.)

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 11.00 ანიმაცია "არგაი" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. **"დაკარგული ქვეყანა"** 13.00 მხ. ფილმი 15.30 იმედის ფსონი (პირდ.) 16.20 გადაცემა "გუნდი" 17.10 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"ელიზა 2"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00, 23.40 სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** 10.30 დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" 10.40, 16.00 სახლი ბათუმში 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** 12.50, 19.35 სერ. **"შექსპირიადა"** 15.15 სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** 16.00 სახლი ბათუმში 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" 00.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

განთიადი 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.25 დოკ. ფილმი "სამთავროს რესტავრაცია" 10.50 დოკ. ფილმი "მაცხოვარი ლატალისა" 11.30 საქართველოს პატრიარქის მოგზაურობა ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიაში 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"ჩიორა"** 13.35 კონცერტი – ანჩისხატის მგალობელთა გუნდი 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 მხ. ფილმი **"ლოლიტა"** 16.40 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.05 ირაო 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.25 100 ქართული ხალხური სიმღერა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი **"შეხვედრა მთაში"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 სალვთისმეტყველო საუბრები 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 დროის ჩანაწერები 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 მოკლ. ფილმი **"ზიძინა"** 01.35 კონცერტი – გოლდბერგის ვარიაციები

## ოთხშაბათი 14 სექტემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 დოკ. ფილმი "უძველესი აღმოჩენები" 08.30 ან. ფილმი "ჯუმანჯი" 09.30 სათავგად. ფილმი **"უბრალოდ დესერტი"** 11.00 დოკ. ფილმი 11.20 **რაგბი**. მსოფლიო თასი. შოტლანდია-საქართველო 13.10 აუდიტორია 14.10 ქართული დოკუმენტალისტიკა 15.00 სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** 16.00, 19.00, 20.00 მოამბე 17.00 ან. ფილმი "ჯუმანჯი" 18.00 ჩვენი სამართალი 18.50 **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი 21.00 სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** 21.50 **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი 23.50 აივანი 00.20 მხ. ფილმი **"სერიული მკვლელი"** (15) (ჯ. ვუდსი) 02.00 მოამბე 02.20 ჩვენი ეზო 03.20 მხ. ფილმი **"ყასაბის ცოლი"**

08.00, 00.40 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 19.30 თავისუფალი ტრიბუნა 20.30 **ჭიდაობა**. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები 22.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი 01.40 მხ. ფილმი **"მაგარი ბიჭები არ ცეკვავენ"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"ცოდვილი"** 11.00 სერ. **"მიმნდობელი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 სერ. **"მაშველები"** 17.00 სერ. **"ავრორა"** 18.45 სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** 19.45 სერ. **"სახლი მეზობლად"** 22.00 იღბლიანი ბორბალი 22.40 **ჩემპიონთა ლიგა**. სითი-ნაპოლი 23.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "ზარბი" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.30 ქრონიკა 09.15 ან ფილმი "სპანჯბობი" 09.40 სერ. **"ჰანა მონტანა"** 10.00 სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** 11.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 მუს. ლიგა (გან.) 16.00 სერ. **"მეტოქეები"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.40 სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 23.50 თბილისი ლაივი 00.30 მხ. ფილმი **"საშიშაო ამბავი"** (პ. კრუსი) (სუბტ.) 02.30 მხ. ფილმი **"იტალიური ისტორია"** (15) (სუბტ.)

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 11.00 ანიმაცია "არგაი" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. **"დაკარგული ქვეყანა"** 13.00 მხ. ფილმი 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"ელიზა 2"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00, 23.40 სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** 10.00 დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** 12.50, 19.35 სერ. **"შექსპირიადა"** 15.15 სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** 16.00 დოკ. ფილმი "ისინი" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" 23.00 სცენა 00.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

განთიადი 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.20 სალვთისმეტყველო საუბრები 10.55 მგზავრები წუთისოფლისა 11.20 დროის ჩანაწერები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"შეხვედრა მთაში"** 13.45 კონცერტი– პაკო დე ლუსია 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.20 მხ. ფილმი **"საპაერო ხიდი"** 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 16.55 კვირიაკე 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.20 100 ქართული ხალხური სიმღერა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი **"საბუდარელი ჭაბუკი"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 გზა, რომლითაც ვიარე 22.20 ქართული ალბომი 22.40 დოკ. ფილმი "ყველაფერი ქორეოგრაფიაზე" 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 პერსპექტივა 01.00 კონცერტი – ანდრე რიე

## ხუთშაბათი 15 სექტემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 დოკ. ფილმი "რომი, იმპერიის აღმავლობა და დაცემა" 08.30 ან. ფილმი "ჯუმანჯი" 09.30 სათავგად. ფილმი **"უბრალოდ დესერტი"** 11.00 დოკ. ფილმი 11.20 **რაგბი**. მსოფლიო თასი. რუსეთი-აშშ 13.15 ქართული დოკუმენტალისტიკა 14.00 ცხოვრება მშვენიერია 15.00 სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** 16.00, 20.00 მოამბე 17.00 ან. ფილმი "ჯუმანჯი" 18.00 მედ-ინფო 18.30 ჩვენი ფერმა 18.50 **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი 21.00 სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** 21.50 **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი 23.50 თოქ-შოუ "არენა" 00.50 ავტოპილოტი 01.50 მხ. ფილმი **"სასიყვარულო წერილი"** (12) 03.25 მოამბე 03.45 არენა 04.45 მხ. ფილმი **"სერიული მკვლელი"**

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 19.30 თავისუფალი ტრიბუნა 20.30 **ჭიდაობა**. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები 22.30 დოკ. ფილმი 01.00 მხ. ფილმი **"ოჯახის სახელით"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"ცოდვილი"** 11.00 სერ. **"მიმნდობელი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 სერ. **"მაშველები"** 17.00 სერ. **"ავრორა"** 18.45 სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** 19.45 სერ. **"სახლი მეზობლად"** 22.00 პროფილი 23.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "ზარბი" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 09.15 ან ფილმი "სპანჯბობი" 09.40 სერ. **"ჰანა მონტანა"** 10.00 სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** 11.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 ბოიარის ციხესიმაგრე 15.00 წუთისოფელში 16.00 სერ. **"მეტოქეები"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.40 სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 23.50 მუს. ლიგა (გან.) 01.20 რემონტი 01.50 მხ. ფ. **"მელოტი ძიძა"** (ვ. დიზელი) (სუბტ.) 03.55 მხ. ფილმი **"უსხოები"** (12) (დ. ლუნდგრენი) (სუბტ.)

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 11.00 ანიმაცია "არგაი" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. **"დაკარგული ქვეყანა"** 13.00 მხ. ფილმი 15.30 პულსი 16.20 გუნდი 17.10 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"ელიზა 2"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00, 23.00 სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** 10.00 დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" 10.40 სცენა 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** 12.50, 19.35 სერ. **"შექსპირიადა"** 15.00 სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** 16.00 სცენა 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

განთიადი 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.30 პერსპექტივა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"საბუდარელი ჭაბუკი"** 13.30 კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის, ფელიქს ლლონტი 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 მხ. ფილმი **"ნუცას სკოლა"** 17.05 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.30 საქართველოს პატრიარქის მოგზაურობა ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიაში 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.15 100 ქართული ხალხური სიმღერა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი **"დიდედები და შვილიშვილები"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 მინათმოქმედი 21.40 გამოყენებითი ხელოვნება 22.20 დოკ. ფილმი "ვარდისფერი კაცი" 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "ქართული მხედრობა პოლონეთში" 00.55 განთიადის სტუმარი 01.15 მოკლ. ფილმი **"რა გაცინებს"** 02.00 ნიამორი

## პარასკევი 16 სექტემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 დოკ. ფილმი "დაკარგული კიდობნის ძიებაში" 08.00 ან. ფილმი "ჯუმანჯი" 08.30 საბ. ფილმი **"ნადირობა თაგვზე"** 11.00 სამოთხის ვაშლები 11.55 **რაგბი**. მსოფლიო თასი. ახ. ზელანდია- იაპონია 13.45 ავტოპილოტი 15.00 სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** 16.00, 20.00, 02.45 მოამბე 17.00 ან. ფილმი "ჯუმანჯი" 18.00 დამზადებულია საქართველოში 18.20 **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალი 21.00 სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** 21.50 **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალი 23.50 წითელი ზონა 00.50 მხ. ფილმი **"პეიზაჟი ნისლში"** (სუბტ.) 02.55 მოამბე 03.15 მხ. ფილმი **"სასიყვარულო წერილი"** (სუბტ.)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 19.30 თავისუფალი ტრიბუნა 20.30 **ჭიდაობა**. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები 22.30 დოკ. ფილმი 01.00 მხ. ფილმი **"თვალი თვალის წილ"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"ცოდვილი"** 11.00 სერ. **"მიმნდობელი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 სერ. **"მაშველები"** 17.00 სერ. **"ავრორა"** 18.45 სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** 19.45 სერ. **"სახლი მეზობლად"** 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 კომედი შოუ (გან.) 23.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "ზარბი" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.30 ქრონიკა 09.15 ან. ფილმი "სპანჯბობი" 09.40 სერ. **"ჰანა მონტანა"** 10.00 სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** 11.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 უცნობი საქართველო 15.10 ბოიარის ციხესიმაგრე 16.00 სერ. **"მეტოქეები"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.40 სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 23.50 კონცერტი 01.20 ფლეიბოი იმედზე 02.15 მხ. ფილმი **"როგორ მოვიპაროთ მილიონი"** (ო. ჰეპბერნი) 04.10 მხ. ფილმი **"განდგომილები"** (15) (სუბტ.)

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 11.00 ანიმაცია "არგაი" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. **"დაკარგული ქვეყანა"** 13.00 მხ. ფილმი 15.30 დოკ. ფილმი "ტაიმსლოუ-დრამა" 16.00 გუნდი 17.10 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"ელიზა 2"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** 10.00 დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** 13.00 სამედიცინო პროექტი 13.30, 19.35 სერ. **"დაუნების დედოფალი"** 15.15 სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

განთიადი 10.00, 19.00, 22.00, 00.15 სიახლენი 10.30 დოკ. ფილმი "ვარდისფერი კაცი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"დიდედები და შვილიშვილები"** 13.30 კონცერტი – ნუნუ გაბუნია 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 მხ. ფილმი **"ბესამე"** 17.00 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.25 ნიამორი 17.55 შვიდგზის ლოცვა 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.20 100 ქართული ხალხური სიმღერა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ. ფილმი **"კეთილი ადამიანები"** 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.20 ჩვენი ფონდი 22.35 დოკ. ფილმი "გადადექი ფაშა" 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმის გაგრძელება 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 კვირიაკე 01.55 დოკ. ფილმი "მოგზაურობა ფოლკლორში"

## შაბათი 17 სექტემბერი

07.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.25 **რაგბი**. მსოფლიო თასი: არგენტინა-რუმინეთი. 09.15 პლანეტა ბასტი ბუბუ 10.00 საბ. ფილმი **"ჩარეცხილი"** 12.00, 16.00, 20.00, 03.30 მოამბე 12.25 **რაგბი**. მსოფლიო თასი: ავსტრალია-ირლანდია 14.15 მხ. ფილმი **"ადამსების ოჯახის ღირსებები"** 16.15 კონცერტი, ანდრია ბოჩელი 17.30 ჩემპიონთა ლიგის დღიური 17.55 **ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი 21.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 22.00 კავკასუს ლაივი 23.00 მხ. ფილმი **"ავარია"** (15) (კ. რასელი) (სუბტ.) 01.40 მოამბე 02.00 წითელი ზონა 03.00 მხ. ფილმი **"პეიზაჟი ნისლში"** (სუბტ.) 05.05 მხ. ფილმი **"ზნედაცემული"** (12)

08.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 ბრიფინგის დროით 17.00 ბრიფინგის დროით 17.30 ჩვენი სამართალი 18.30 მხ. ფილმი **"ადამსების ოჯახის ღირსებები"** 20.00 დოკ. ფილმი 20.30 **ჭიდაობა**. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები 22.30 კონცერტი– სკოტ კინსის ჯგუფი 2009 23.45 წითელი ზონა 00.45 მხ. ფილმი **"პეიზაჟი ნისლში"**

08.00 კურიერი 08.30 სერ. 10.00 გუნდი 11.00 ეკი-ვოკი (გან.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 12.30 ქართ. ფილმი 13.30 თქვენი შოუ (გან.) 15.30 ბრავო (გან.) 18.30 სიცილის ზონა 18.45 სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** 19.45 სერ. **"სახლი მეზობლად"** 21.00 პ. ს. კურიერი 22.00 სერ. **"სამხრეთის დედოფალი"** 23.00 ბრავო (გან.) 01.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 03.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "პუმბა და ტიმონი" 08.30 მხ. ფილმი **"მიუზიკლი, სიყვარული, სპორტი"** 09.00 ქრონიკა 10.30 თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან. ფილმი "101 დალმატინელი" მე-9ს. 11.45 სერ. **"იასონი და არგონავტები"** 1-ლი ს. 12.35 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 14.30 რემონტი 15.00 ბათუმი ლაივი 16.00 სერ. **"მეტოქეები"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.40 სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** 20.30 სპეც. რეპორტაჟი 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 23.50 ყოფილი ცოლების კლუბი 01.15 ფლეიბოი იმედზე 01.45 მხ. ფილმი **"ნიმფა"** (15) (ს. სანდრელი) (სუბტ.) 03.55 სერ. **"საიდუმლო აგენტი"** 04.35 მხ. ფილმი **"ჩვევად ქცეული ქორწინება"** (სუბტ.)

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.20 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 11.00 ანიმაცია "არგაი" 11.30 პულსი 12.00 სერ. **"დაკარგული ქვეყანა"** 13.00 "იმედის ფსონი" პირდ. 14.10 მხ. ფილმი 17.15 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"ელიზა 2"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.00, 23.00 სერ. **"სოფია ცოტა მადროვე"** 09.30 ესტაფეტა 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30, 21.00 სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** 13.15 სერ. **"დაუნების დედოფალი"** 15.00 სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მუსიკა 18.00 დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" 19.00 ქართ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

ჩვენი ფონდი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.00, 12.10, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.05, 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 10.25 დოკ. ფილმი "გადადექი ფაშა" 10.50 კვირიაკე 12.15 მხ. ფილმი **"კეთილი ადამიანები"** 13.20 პერსპექტივა 14.30 საქართველოს პატრიარქის მოგზაურობა ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიაში 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.20 ოპერა **"ოტელო"** 18.05 სატ. არქივიდან "ძველი აფიშა" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 ქართული ალბომი 19.40 მხ. ფილმი **"ძნელი დასაწყისი"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კარაბადინი 22.20 თბილისის ტაძრები 22.30 "შარავანდედი" 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "საპოვნელა" 00.35 განთიადის კოლაჟი 01.30 დოკ. ფილმი "სცენის ოსტატები"

## კვირა 18 სექტემბერი

07.00 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" 08.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 09.55 **რაგბი**. მსოფლიო თასი: არგენტინა-რუმინეთი 11.45 დოკ. ფილმი 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.15 მხ. ფილმი **"ურჩხული და კოსმეტოლოგი"** 14.00 ჩვენი ფერმა 14.30 სი ბემოლი 15.30 მოგზაურთა დღიური 16.20 ჩვენი ეზო 17.15 ვაშინგტონი დღეს 17.45 ქართული დოკუმენტალისტიკა 18.20 **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. მესამე ადგილისთვის 21.00 ცხოვრება მშვენიერია 21.50 **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. ფინალი 00.00 აღმოაჩინე საქართველო 00.30 "კავკასუს ლაივი" 01.30 მხ. ფილმი **"დენის და ლორის დეგაბები"** (12) (სუბტ.) 03.50 მხ. ფილმი **"ავარია"** (15) 05.20 მოამბე 05.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი

08.00 დოკ. ფილმი 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 14.00 დოკ. ფილმი 15.00 პარლამენტის სხდომის დაიჯესტი 17.00 ისტორია 18.00 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 19.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 20.00 დოკ. ფილმი 20.30 **ჭიდაობა**. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები 22.30 კონცერტი: ჰ ირომი უეჰარა 00.10 მხ. ფილმი **"ოფიცერი და ჯენტლმენი"**

08.00 "კურიერი პ.ს." დაიჯესტი 08.30 სერ. 11.00 გუნდი 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 მხ. ფილმი 15.20 სერ. **"სიამაყე"** 16.30 კონცერტი 18.30 სიცილის ზონა 19.00 ეკი-ვოკი 20.00 ეთამაშე ვარსკვლავს 21.00 კურიერი პ. ს. 22.00 კომედი შოუ 23.00 კონცერტი 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 02.20 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "პუმბა და ტიმონი" 08.30 მხ. ფილმი **"ბაში-აჩუკი"** 09.00 ქრონიკა 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.05 ქრონიკა 11.15 ან. ფილმი "101 დალმატინელი" მე-10ს. 11.45 სერ. **"იასონი და არგონავტები"** 12.35 სერ. **"უკანასკნელი მოწმე"** 14.30 სერ. **"სოფიას სახლი"** მე-2 ს. 15.00 საბ. გადაცემა "თავდაყირა" 17.40 მხ. ფილმი **"დათა თუთაშხია"** მე-7ს. 19.05 იუმორინა 20.15 იმედის გმირები 20.30 მუსიკალური ლიგა 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 23.50 ღამის შოუ 01.00 მხ. ფილმი **"ტრანსპორტერი 3"** (ჯ. სტეტჰემი) (სუბტ.) 03.05 სერ. **"საიდუმლო აგენტი"** 03.45 მხ. ფილმი **"რა სურთ ქალებს"** (მ. გიბსონი) (სუბტ.)

08.00 მხ. ფილმი **"მუშკეტერი"** 09.45, 10.45, 13.55, 17.10 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 11.00 ანიმაცია "არგაი" 11.30 პულსი 12.00 სერ. **"დაკარგული ქვეყანა"** 13.00 "იმედის ფსონი" პირდ. 14.10 მხ. ფილმი 17.15 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი **"სიმონა"** 20.00 სერ. **"ელიზა 2"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.00, 23.00 სერ. **"სოფია ცოტა მადროვე"** 09.30 ფერისცვალება (გან.) 10.00 დილის ტალღა 12.00 ესტაფეტა 12.40, 21.00 სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** 13.00 დოკ. ფილმი 15.00 სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** 16.00 ქართ. ფილმი 18.00 დოკ. ფილმი 19.35 სერ. **"დაუნების დედოფალი"** 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

თბილისის ტაძრები 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.25 დოკ. ფილმი "სცენის ოსტატები" 11.35 ქართული ალბომი 12.15 მხ. ფილმი **"ძნელი დასაწყისი"** 13.30 ქართ. მულტფილმები 14.05 შარავანდედი 15.00, 18.00, 21.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 მხ. ფილმი **"დღე უკანასკნელი, დღე პირველი"** 17.20 სალვთისმეტყველო საუბრები 18.00 პატრიარქის ქადაგება 18.25 დროის ჩანაწერები 19.05 გზა, რომლითაც ვიარე 19.30 მხ. ფილმი **"პასტორალი"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კვირიაკე 21.45 დოკ. ფილმი "ზარის დაბადება" 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.05 პატრიარქის ქადაგება 00.35 განთიადის კოლაჟი 01.30 ოპერა "ოტელო"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ხელისუფლება ახალი ქართველის შექმნას ცდილობს

## რა განცხადება გააკეთა ბაქრა ემ ევროპაში

გულიკო ბალა ე

### ინტერვიუ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატ თემურ ქორიძესთან

*— ბატონო თემურ, როგორ აფასებთ ხელისუფლების თავისებურ დამოკიდებულებას ხელოვნებისა და კულტურის სფეროებისადმი?*

— უარყოფითად. იმიტომ კი არ ვაფასებ უარყოფითად, რომ ყველაფრის უარყოფითად შეფასება ჩვეულებრივ ამბად იქცა. უარყოფითად ვაფასებ, რადგან არსებულ ხელისუფლებას არა თუ არ აინტერესებს არავითარი კულტურულ-ისტორიული შინაარსი ქართველი ერისა, არამედ დღენიადაგ ესწრაფვის დააკნინოს მისი მნიშვნელობა, გამოაცალოს თავისი მეტაფიზიკური არსი და ხელი აალებინოს თავის ზნეობაზე, თვითმყოფადობაზე. პირველი საგანი იერიშისა არის სწორედ კულტურა. ის, რაც მკვიდრდება სცენაზე, ტელეეკრანებზე ფსევდოხელოვნების სახით, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და განკუთვნილია მხოლოდ ახალგაზრდობის გემოვნების დაკნინებისაკენ, მათში სერიოზული კულტურული მემკვიდრეობისადმი ინტერესის ჩაკვლისკენ, რაც აშკარად ცხადყოფს, რომ ხელისუფლება მიზანმიმართულად ეწევა ამ სამუშაოს. ეს არის ძალიან საძრახისი როლი. მათ სურთ შექმნან ახალი ადამიანი. ეს არ არის პირველი მცდელობა კაცობრიობის ისტორიაში. სხვათა შორის, მიხეილ სააკაშვილს არაერთხელ განუცხადებია, რომ საქართველოში მენტალური რევოლუცია უნდა მოვახდინოთო. მენტალური რევოლუცია ნიშნავს ადამიანის ცნობიერების მყისეულ შეცვლას, რაც საერთოდ არ ექვემდებარება საღ აზრს, რადგან ასეთი რამ არ ხდება. ადამიანის ცნობიერება არ ექვემდებარება ამგვარ სისტემურ შეტევებს. ასე რომ ყოფილიყო, ზვიად გამსახურდია დაიბადა და გაიზარდა საბჭოთა სისტემაში, კომუნისტებიც, რასაკვირველია, ესწრაფვოდნენ ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას. მას ერქვა კომუნიზმის მშენებელი ადამიანი...

— ***მახსოვს...***

— დიახ. მათ ეს ვერ შეძლეს, დავუშვათ, ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებით, რაც სრულიად გასაგებია — აქ ოჯახურმა გარემომ, განსაკუთრებით, კონსტანტინეს ფენომენმა ძალიან დიდი როლი ითამაშა, მაგრამ მოდით ვისაუბროთ იმ ადამიანებზე, იმ ასი ათასობით ქართველზე, რომელსაც დღევანდელ დღესთან შედარებით გარანტირებული ჰქონდა სოციალური დაცვა, უფასო განათლება, უფასო სამედიცინო მომსახურება, უფასო დასვენებაც კი. მას არ ჰქონდა დასაქმების პრობლემა და ძალზე იოლი იყო ასეთ პირობებში ადამიანი გადაქცეულიყო მექანიკურ დანამატად იმ ხელისუფლებისა და საბჭოთა იდეოლოგიისა, მაგრამ მიუხედავად 70-წლიანი ასეთი ზეწოლისა, მაინც ვერ მოხერხდა საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბება და როგორც კი ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნა საქართველოში, თითქოს უცებ ამოიფრქვა ვულკანივით ის ქვედადინებები, რომელიც არასოდეს კვდება. ნაცია უხრწნელობისკენ ისწრაფვის. ეს ცნობილი ფილოსოფიური სენტენციაა. იგი არ გაამარჯვებინებს თავის თავზე მისთვის მიუღებელ, მისთვის შეუფერებელ, გენეტიკურად მისთვის უცხო ფასეულობებს. კი, დროებით შესაძლებელია დაირღვეს კავშირი, ადამიანის ცნობიერებაში გამოჩნდეს ბზარები; სხვათა შორის, ისიც კი შეიძლება, მიიძინოს ერმა; თავის დროზე ვიქტორ ჰიუგო შენიშნავდა (რომელიც ოთხი რევოლუციის მომსწრე იყო და უყურებდა იმ საოცარ კატაკლიზმებს, იმ უცნაურ რყევებს საფრანგეთის პირობებში, თუ როგორ იცვლებოდა მონარქია რესპუბლიკით, როგორ იცვლებოდა რესპუბლიკით, დირექტორიით, იმპერიით და ა.შ. საოცარი რყევების მომსწრეა და ის საფრანგეთის შესახებ წერს: დიახ, ხალხსაც აქვს უფლება დაიძინოს, როგორც მნათობს, რომელიც ხანდახან ბნელდება, მაგრამ არასოდეს ხდება, რომ სამუდამო იყოს ეს დაბნელება მნათობისა, ის უთუოდ გაბრწყინდებაო. ეს თითქოს რომანტიკული განმარტებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჰიუგოს ნამდვილად ვერ დავაბრალებთ რომანტიკულობასა და რომანტიზმს, რადგან იგი უაღრესად დაკვირვებული მოაზროვნის თვალით და გონებით აფასებდა საფრანგეთის რევოლუციურ მოვლენებს. მე მგონი იშვიათად, რომელიმე ისტორიკოსს ისე შეეფასებინოს და ისე წარმოესახოს ის მოვლენები, რომელიც იმ პერიოდის საფრანგეთში ხდებოდა. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ თუ ვინმეს ჰგონია, უკვე მივაღწიეთ საწადელს, უკვე დავაკარგვინეთ ის სახე, რომელიც ხელისუფლებისთვის მიუღებელია და უკვე მოვახდინეთ ადამიანებში მენტალური რევოლუციაო, როცა ამაში დარწმუნდება ხელისუფლება, აი, სწორედ მაშინ დაემუქრება მას ის საშიშროება, რაც დაემართათ ბოლშევიკებს. გახსოვთ ალბათ, საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ ყველაზე დიდი გაკვირვება გორბაჩოვმა გამოხატა, ჩემთვის მოულოდნელი იყო ის ნაციონალური მიდრეკილებანი, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკებში გამოჩნდა, ჩვენ გვეგონა, ერთხელ და სამუდამოდ გავაერთიანეთ ეს ერებიო.



*— **არა მარტო სააკაშვილი საუბრობს მენტალური რევოლუციის აუცილებლობაზე, არამედ სხვებიც. პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, თუ არ ვცდები, ევროკავშირის ტრიბუნიდან ქადაგებდა, რომ თურმე საქართველოში პოლიტიკური პრობლემა კი არ დგას, არამედ უდიდესი მენტალური პრობლემაა და საჭიროა ქართველების მენტალიტეტის შეცვლა. რაზეც ისინი მუშაობენ.***

— დიახ, ეს არის გლობალისტური მსოფლმხედველობისა და გლობალისტური იდეოლოგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი. საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება სწორედ ამ მიმართულებით იწონებს თავს დასავლეთის წინაშე, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ თვით დასავლეთმა მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოიტირა თავისი თავი, როგორც იდეამ და როგორც კულტურულმა ფასეულობამ. მე შემიძლია ასეულობით ავტორი დავასახელო — ფილოსოფოსები, ხელოვნების წარმომადგენლები, კულტუროლოგები, რომლებიც ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყიში ამბობდნენ, რომ ევროპა, როგორც იდეა, მოკვდა. ნიცშესა და შოპენჰაუერზე არაფერი ვთქვათ და დავიწყოთ თუნდაც კარლ იასპერსიდან, კირკეგორიდან, ჰაიდეგერიდან და ა.შ. ისინი ძალიან სერიოზული ეჭვის თვალით უყურებდნენ უკვე ევროპის თვითღირებულებას. მაგალითად, იგივე კამიუს აბსურდის ფილოსოფია, გაუცხოების მისეული ხედვაა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ევროპამ ჯანსაღად გაიაზრა თავისი წყლული. ისე, როგორც ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. წარმოიდგინეთ თქვენ, ისე, როგორც ევროპელ მოაზროვნეებს მეოცე საუკუნის დასაწყისში ღრმად სწამდათ ევროპის მომავლისა და სწორედ იმიტომ საუბრობდნენ ევროპის დაისზე დასავლეთის ცივილიზაციის კრიზისზე, ადამიანის ცნობიერების რყევებზე, რომ მათ ძალიან კარგად იცოდნენ, ეს პროცესი გარკვეულწილად წარმოადგენდა ამასთანავე მომავლის განახლებისთვის ხიდს. მონტესკიე წერს, ზოგჯერ საჭიროა ჩვენს თავისუფლებას რიდე გადავაფაროთ ისე, როგორც ძველი ბერძნები აფარებდნენ თავიანთი ღმერთების ქანდაკებებსო. ზოგჯერ საჭიროა ადამიანმა შეიგრძნოს ავადმყოფობის სიმწვავე და ის იქნება შემდგომი სიცოცხლისუნარიანობის არნახული განვითარებისა და გაგრძელებისათვის ბიძგის მიმცემიო. სხვათა შორის, ასე იყო მე-19 საუკუნეში, როდესაც ძალიან მწარე-მწარე რეპლიკებს ესროდნენ ჩვენი დიდი მამები თანამემამულეებს. გავიხსენოთ თუნდაც ილიას „ბედნიერი ერი", აკაკის ცნობილი ლექსი „ვედრება", სადაც არის საშინელი სტრიქონები. გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ აკაკი ქართველ ერს ავადმყოფს უწოდებს, მაგრამ ერთი წუთით წარმოიდგინეთ, აკაკი წერეთელსა და ილია ჭავჭავაძეს საქართველოსა და ქართველი ერის მდგომარეობა მართლაც სულთმობრძავი, მომაკვდავის რეალური შეგრძნების შედეგად შეეფასებინათ. მომაკვდავს არავითარ შემთხვევაში არ ეუბნებიან, შენ მომაკვდავი და ავადმყოფი ხარო. პირიქით ესაუბრებიან. ეს ჩვენი გუმანი იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანი რაც შეიძლება განარიდონ სიკვდილზე ფიქრს. ასე იყო მე-19 საუკუნეში. თუკი ვინმეს სწამდა საქართველოს, ქართული სულიერების მომავლისა, სწორედ ამ კრიტიციზმით გამსჭვალული დიდი მამების ხელოვნებაში უნდა ვეძიოთ და მათ მოღვაწეობაში უნდა ვეძებოთ. უკვე საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ გლობალიზმი თავისი ფართო მასშტაბის დამანგრეველი ზეგავლენის გამო, რეგრესად იქცა კაცობრიობის კულტურის განვითარებისთვის. კი ბატონო, გლობალიზმს გარკვეულად დადებითი ტენდენციებიც აქვს ნამდვილად ტექნოლოგიების განვითარებისა და კომინიკაციების თვალსაზრისით, ინფორმატიკის საყოველთაობის თვალსაზრისით, მაგრამ არის სფეროები უინტიმურესი მომენტების მსგავსად, ადამიანის პირადი ინტიმური შეგრძნებების მსგავსად, სადაც არამც და არამც არ შეიძლება გაერიოს უცხო სხეული იმიტომ, რომ დამანგრეველია. რა თქმა უნდა, წარუმატებელი ცდაა, შემოიტანონ და დაამკვიდრონ ფსვდოხელოვნების ტენდენციები. დღევანდელ საქართველოში უფართოესად აქვს კარი გახსნილი მასობრივ კულტურას — სუბკულურას, მდარე კულტურას. ის არ არის სრულფასოვან კულტურად მიჩნეული დასავლეთშიც კი.

*— **ბატონო თემურ, თქვენ ამბობთ, რომ ზოგჯერ საჭიროა, ადამიანმა თავისი ავადმყოფობის სიმწვავე შეიგრძნოსო. არა მგონია საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ და სააკაშვილმა თავისი ავადმყოფობის სიმწვავე შეიგრძნონ. ისინი თავიანთი ქმედებებით აღტაცებული არიან. ახალი სპექტაკლები, გადამეტებული კონცერტები, შოუები, ქანდაკებები, მშენებლობების ეს ახალი სტილი, პოსტმოდერნული აფეთქება არ არის?***

— ეს არის ფსევდომოდერნი. ეს არ არის პოსტმოდერნიზმი. პოსტმოდერნიზმის ეპოქა წავიდა. ჩვენ ეს არ გაგვივლია. მაინცდამაინც დიდი რყევები არ გამოუწვევია ჩვენს ხელოვნებაში. ჩვენთან ეს უფრო მეტად ჩვენს ხელოვნებაში გამომჟღავნდა. გარკვეულწილად, მუსიკაშიც და ა.შ., მაგრამ რაიმე სერიოზული რყევები ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში ამას არ გამოუწვევია. როდესაც მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი ქართველ ერს რეგლამენტირებულად სთავაზობს, მხოლოდ და მხოლოდ ამ მიმართულების ფსევდოხელოვნებას (ეს არის ფსევდოხელოვნება), ის, რა თქმა უნდა, ამკვიდრებს ფსევდოხელოვნების ტენდენციებს. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ფიქრობენ, რომ ეს არის ერთ-ერთი საშუალება და ერთ-ერთი გზა მენტალური რევოლუციის მოხდენისა. ავიღოთ თუნდაც „ქეთო და კოტე". ჯერ ერთი, „ქეთო და კოტე" არც არასოდეს ყოფილა სერიოზული ნაწარმოები. ის არ ითვლება შედევრად და დიდ მხატვრულ ღირებულებად მიჩნეული არასოდეს ყოფილა. არც მაშინ, როდესაც ის სიკო დოლიძემ გადაიღო. საერთოდ, ხანუმას თემა სერიოზული თემა არ არის. ეს საზოგადოების მდაბიო ფენების სანახაობა იყო და მდარე გემოვნების ნიმუში გახლდათ. წარმოიდგინეთ, ამით რენეიკის გაკეთება, თანაც ასე პომპეზურად მისი წარმოდგენა ხალხის წინაშე და ამის ჩვენება, როგორც ხელოვნებისა, ეს ნიშნავს იმას, რომ გართობის სტილი, ბალაგანური სტილი, კარნავალური სტილი, რომელიც ევროპამ უკვე დაივიწყა, რადგან დაინახა, რომ საზოგადოებისთვის ეს არაფრის მომტანი არ არის — ევროპამ დაინახა, როგორი ადამიანი გაიზარდა ამ გარემოში. ყოველნაირად ცდილობენ, გაერიდონ ასეთ სტილს. ვერ ნახავთ ვერც ერთ სერიოზულ კულტურულ დაწესებულებაში ასეთი წარმოდგენის დადგმასა და რეკლამირებას. ასეთ ბალაგანში პრეზიდენტი რომ გამოჩნდეს, რასაკვირველია, ის უმალ დაცინვის ობიექტად იქცევა და მასზე საშინელი წარმოდგენა ექნებათ.

## სამგლოვიარო განცხადებები

### აჩიკო თაბუკაშვილის გახსენება



ყველაზე ხანმოკლე და ბოლო დაბადების დღე 2010 წლის 14 სექტემბერი იყო — 27 წელი შეგისრულდა. მეორე დღეს შენმა ტრაგიკულად დაღუპვამ თავზარი დაგვცა, გაუბედურდა ბედნიერი ოჯახი. გვარიშვილობით, კაიკაცობით ცნობილი, ყოველმხრივ გამორჩეული ახალგაზრდა, რომელსაც გიხაროდა ყველას სიკეთე, წარმატება, სამუდამოდ დაშორდი ნათესავებს, მეგობრებს, მეზობლებს და უდროოდ გახდი იმ სამყაროს მკვიდრი მაშინ, როცა ახალ ცხოვრებას იწყებდი — მოკლე დროში საქორწინო გვირგვინი უნდა დაგედგა...

ნათქვამია, კარგ ფესვზე კარგი ყლორტები ამოდისო, მაგრამ განგებამ გაგვწირა და ფესვს ყველაზე ლამაზი ყლორტი მოტეხა.

ძალიან ენატრები თვალცრემლიან და გულმკვდარ მშობლებს, დაღონებულ ძმას, რძალს, შენთვის უსაყვარლეს ძმისშვილებს.

მოგვენატრა როხროხა ხმა, მშვენიერი ვაჟკაცური აღნაგობისა და ცეკვის დახვეწილი ილეთების ხილვა. იმედად სურათიდან შენი მომღიმარი სახე დაგვრჩა.

სამწუხაროდ, წარსულს ვერ დავაბრუნებთ, მაგრამ ტკბილი მოგონებებით უკვდავყოფთ შენს ნათელ ხსოვნას. იუბილარის დაუსწრებლად პირველად აღვნიშნავთ დაბადების დღეს შენს საფლავზე, რომელსაც არასდროს მოაკლდება ყვავილები და წმინდა სანთლები, სულს კი — ღვთიური მადლი.

ნათელში გვიმყოფოს უფალმა შენი კეთილი სული.

**თემურ, ნათელა, დიტო შარიქა ეები**

ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის" სარედაქციო კოლეგია იუწყება, რომ გარდაიცვალა პაატა გუგუშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის, გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიჟა ხურციძის შვილი

**ლევან ხურციძე**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ახალი თევზისგან მომზადებული იაპონური კერძი; 2. ქალაქი რაჭაში; 3. ტბა საქართველოს სამხრეთში; 4. მუსიკალური გამის მეშვიდე ბგერა; 5. ბიზნესი, სავაჭრო საქმიანობა; 6. ბრიტანული ლუდხანა; 7. საკერავი მანქანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 10. მტვერსასრუტის გამომგონებელი ინგლისელი ინჟინერი; 11. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 12. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი; 13. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა; 16. ქართული ხალხური ცეკვა; 18. ქუჩის ძველი ქართული სახელწოდება; 19. მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 21. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 24. ქოქოსის კაკლის გული, რომლისგანაც ღებულობენ მაღალხარისხოვან ზეთს.

**თარაზულად:** 1. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად რაჭაში; 3. ხევისბერი ფშავსა და ხევსურეთში; 8. ნავთობპროდუქტების მწარმოებელი აზერბაიჯანული კომპანია; 9. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 14. ჰუნების წინამძღოლი; 15. თაღლითი ბანქოს თამაშში; 17. მანძილის საზომი ერთეული აშშ-ში; 20. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ბაკურიანის ნაკრძალში; 22. ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი ინგლისში; 23. ლათინური ანბანის ბოლოდან მეორე ასო; 25. სახოტბო ლექსი; 26. მწვერვალი კავკასიონზე; 27. ლობიოს მსგავსი ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 28. ბავშვთა დაავადების შემსწავლელი მედიცინის დარგი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ზღვა; 2. ომი; 3. ბურჭულაძე; 4. ლალია; 5. ვიშლაკი; 8. ნეფე; 9. გინიოლი; 10. ფარავანი; 12. უჯარმა; 13. მუაში; 15. ატენი.

**თარაზულად:** 1. ზარნაშო; 6. გურჯაანი; 7. ვენტა; 10. ფიჭვი; 11. ეფელი; 13. მზისა; 14. „სააბი"; 16. რემა; 17. ეტიკეტი; 18. უწყისი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. შოვი; 2. ექო; 3. კოტირება; 4. ჭა; 5. ფუფუნება; 6. ვერა; 7. დიკენსი; 10. ლარი; 11. „მუხამბაზი"; 12. ფოტოლიზი; 13. კომო; 16. უჯარმა; 18. სიცილია; 19. ხვიჩია; 21. კრივი; 24. ზუბრი.

**თარაზულად:** 1. „შაჰნამე"; 3. კაჭიჭი; 8. ბუშელი; 9. ვალი; 14. პრადო; 15. „როგანი"; 17. ტუშე; 20. ბამაკო; 22. ბრაზი; 23. ვალიზა; 25. უხა; 26. „რიცი"; 27. ჩილე; 28. ბრაზავილი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების 10 სექტემბერი გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,641

ევრო — 2,3815

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

**ამინდის პროგნოზი 10 სექტემბრისთვის**

აღმოსავლეთ საქართველო, ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 2§-32, ღამით — 14-16

დასავლეთ საქართველო, ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 25-31, ღამით — 1§-17

სამხრეთ საქართველო, ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 2§-39, ღამით — 7-14




# ბრიუს უილისი — კერკეტი მსახიობი



**უოლტერ ბრიუს უილისი — ცნობილი ამერიკელი მსახიობი, პროდიუსერი, მუსიკოსი. ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი. ცნობილი უამრავი ფილმით, რომელთაგან გამოირჩევა კერკეტი კაკალი (1988), არმაგედონი (1998), მეხუთე ელემენტი (1997) და სხვა.**

ბრიუს უილისი 1955 წლის 19 მარტს დაიბადა მაშინდელი დასავლეთ გერმანიის ქალაქ იდარობერშტაინში — ამერიკელისა და გერმანელის ოჯახში. მამამისი, დევიდ უილისი თავისუფალი დაქირავებული მოსამსახურე იყო ამერიკის სამხედრო ნაწილში. ოთხშვილიან ოჯახში ბრიუსი იყო ყველაზე უფ-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# შოთა არველაძე: „ჩვენ შეგვიძლია რუსეთს წლების განმავლობაში ვეომოთ“

თურქული „კაისერიპორის“ მთავარმა მწვრთნელის და წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელის შოთა არველაძის განცხადებით, საქართველოს რუსეთის არ ეშინია და შეუძლია, ამ ქვეყნას წლების განმავლობაში ეომოს.

არველაძემ ეს განცხადება „აზერისპორტთან“ საუბარში გააკეთა.

— რუსეთს სურს, რომ ჩვენ



მისი გვეშინოდეს. რაც შეეხება თურქეთს, ეს ქვეყანა ჩვენს მიმართ პატივისცემას იჩენს. აი, სადაა განსხვავება ამ ორ ქვეყანას შორის - თურქეთი ადამიანური ქვეყანაა. მინდა გითხრათ, რომ ქართველებს რუსეთის არ გვეშინია, ჩვენ შეგვიძლია მათ წლების განმავლობაში ვეომოთ. ერთ ანდაზას გეტყვით: სიკვდილამდე ცხოვრების გემოს ვერ გაიგებ. ყაზახები და აზერბაიჯანელები თურქების ნათესავები არიან და თურქეთი მათ გაჭირვების დროს მარტო არ ტოვებს. რუსეთი კი საქართველოს არასდროს დახმარებია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენც მათსავით მართლმადიდებლები ვართ, — განაცხადა არველაძემ.

**მედიანიუსი**

# ბენზემას ყოფილი საცოლის მამა აშანტაჟებდა



საფრანგეთის პოლიციამ დააკავა ადამიანი, რომელიც მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელ ქარიმ ბენზემას დიდი ხნის მანძილზე აშანტაჟებდა.

საქმე ისაა, რომ ეს ადამიანი ფეხბურთელს ფულს სძალავდა. ბოროტმოქმედი ემუქრებოდა ბენზემას, რომ მის ფოტოებს გამოაქვეყნებდა, რომელშიც ფრანგი თავის ყოფილ საცოლესთან ერთად არის.

გაზაფხულის შემდეგ შანტაჟმა უფრო ინტენსიური სახე მიიღო, თუმცა საფრანგეთის პოლიცია უკვე საქმის კურსში იყო, ამ საქმეზე მუშაობდა და თაღლითის დაჭერას ცდილობდა.

საბოლოოდ სამართალდამცველებმა მოახერხეს თაღლითის ვინაობის გარკვევა და მისი აყვანის ოპერაცია დაგეგმეს. ოპერაციაში ასევე მონაწილეობდა ფეხბურთელის ადვოკატი სილვიენ კორმიე, რომელსაც ბოროტმოქმედისთვის ფული უნდა გადაეცა.

შეხვედრა ქალაქ ლიონის ერთ-ერთ სასტუმროში შედგა. პოლიციელები სასტუმროს თანამშრომლების ფორმაში იყვნენ გადაცმულები და თაღლითიც იქვე დააკავეს.

საინტერესოა, რომ ბოროტმოქმედი ბენზემას ყოფილი საცოლის მამა ყოფილა.

# კლაუდია შიფერთან სულები დასახლდნენ



სუპერმოდელმა კლაუდია შიფერმა მეუღლესთან მეთიუ ვონთან და სამ შვილთან ერთად დროებით დატოვა თავისი რვა მილიონ დოლარად შეფასებული სახლი ლონდონის გარეუბანში. ამის მიზეზი კი ის გარემოება გახლდათ, რომ ბინაში მოჩვენებები ცხოვრობენ. როგორც ვარსკვლავს მის მიერ გამოძახებულმა ეკზორცისტებმა განუცხადეს, სახლში ბინა დაიდო აჩრდილმა, რომელსაც პენელოპა ჰქვია. მოჩვენებებთან ბრძოლის ბრიგადამ სულები განდევნა და შიფერის ოჯახი შინ დაბრუნდა. უნდა აღინიშნოს, რომ მოჩვენებები მომღერალ ლედი გაგას ბინასაც სტუმრობენ. მასაც არაერთხელ მოუხდა ეკზორცისტების გამოძახება, რათა მათ სპეციალური აპარატის მეშვეობით მისი ბინა სულებისგან გაეთავისუფლებინათ.

**ათბ-ნიუსი**

## ასტროპროგნოზი

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**10 სექტემბერი — წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, საწადელს მაინც მიაღწევთ. **ლომი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **ქალწული** — ახალი პროექტი გაამართლებს, გახარებული ხართ. **სასწორი** — გზიდან ფულს გიგზავნიან, პრობლემები არ გექნებათ. **ღრიანკალი** — ჰარმონიული დღეა, ყველაფერი გამოგდით ხელიდან. **მშვილდოსანი** — გადაიხალისეთ გარდერობი, საქმიანი შეხვედრა გელით. **თხის რქა** — წარმატებული გზის შემდეგ დასვენება და ჩაფიქრება გჭირდებათ. **მერწყული** — საყიდლებზე წასვლა სწორედ რომ დროულია, განტვირთვა აუცილებელია. **თევზები** — არ არის საჭირო ზედმეტი კრიტიკა, თავისუფლად იმოქმედეთ.

**11 სექტემბერი — ეს დღე მშვიდად გაატარეთ**

**ვერძი** — სახლში სიახლეა, შეიძლება რემონტი წამოიწყოთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, ყველაფერს მოასწრებთ. **კირჩხიბი** — ახალ მეგობრებს შეიძენთ, ისინი დაგეხმარებიან. **ლომი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — მიიღეთ ხილი და ბოსტნეული, არ გადაიტვირთოთ. **თხის რქა** — თქვენი საქმე კარგად მიდის. **მერწყული** — მოერიდეთ უცხო პირებს, ფრთხილად იყავით. **თევზები** — გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის საჩუქარი ჩამოაქვს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. სპორტული რადიო საქართველოში; 2. ტბა აშშ-კანადის საზღვარზე; 3. ნიდერლანდების დედოფალი; 4. ფრანგი მწერალი ნობელის პრემიის ლაურეატი; 5. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად რაჭაში; 8. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 9. პატიმრობა განსაკუთრებით მკაცრ პირობებში; 10. იაპონიის ჰიმნი; 12. დარიშხანის საბადო რაჭაში; 13. საფეხბურთო სკოლა თბილისში; 15. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი.

**თარაზულად:** 1. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 6. კამერული მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 7. ძვირფასთვლებიანი ქალის სამკაული; 10. თანამედროვე ქართველი თეატრალური რეჟისორი; 11. ღვინის პატივსაცემი საახალწლო რიტუალი ძველად საქართველოში; 13. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 14. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 16. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. მდინარე პალესტინაში; 18. ქალაქური სიმღერების შემსრულებელი ქართველი საესტრადო მომღერალი ქალი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**



## იუმორი



* * *

— გამარჯობა. მე კი მეგონა, მოკვდი.

— საიდან მოიტანე?

— გუშინ ვახოს შევხვდი, შენზე მხოლოდ კარგი ილაპარაკა...

* * *

ტიპი მთელი დღე ნაპირზე ანკესით ხელში ზის, ერთი თევზიც ვერ დაიჭირა.

— რომ არ ვიცოდე, რომ თევზაობა ნერვებს ამშვიდებს, ალბათ, ვინმეს მოვკლავდი...

* * *

— ძვირფასო, გინდა, დაბადების დღისთვის ქურქს გაჩუქებ.

— არ მინდა.

— იქნებ, წითელი „იაგუარი“ გინდა?

— გმადლობ, არ მინდა.

— ან იქნებ, ბრილიანტის კოლიე, 100 ათას დოლარად.

— არ მინდა.

— აბა, რა გინდა?

— განქორწინება.

— მაგდენი ფული სად მაქვს...

* * *

სამი ქალი საუბრობს:

— ქმარმა ფერადი ტელევიზორი მიყიდა, კარგია, ვზივარ სახლში და ყველაფერს ვუყურებ.

— მე კი ვიდეოფლეიერი მიყიდა, არსად წასვლა არ გჭირდება, დაჯექი და გაერთე...

— შენ რა გიყიდა? — ეკითხებიან მესამეს.

— არაფერიც არ მიყიდა. მითხრა, რომ ჩემთან ერთად კინოში და თეატრში წასვლა ჯერ კიდევ შეიძლება...

## ტესტი

# როგორ აფასებთ საკუთარ თავს



1. ხართ თუ არა თქვენი საქმის პროფესიონალი?
ა. დიახ. ბ. დარწმუნებული არ ვარ. გ. არ ვიცი

2. თუ მაღალი ანაზღაურების, ოღონდ რთული სამუშაო შემოგთავაზეს, დათანხმდებით?
ა. ხელფასს გააჩია. ბ. დიახ. გ. უარს იტყვით

3. ადამიანი, რომელიც გაინტერესებთ, თქვენს გრძნობას არ პასუხობს. როგორ მოიქცევით?
ა. დავივიწყებ. ბ. შევეცდები მის ყურადღების მოპოვებას. გ. ძნელი სათქმელია.

4. ოფისში ბიზნეს-პარტნიორები გეწვივნენ, შეფი კი არ ჩანს. როგორ მოიქცევით.
ა. მოლაპარაკებას დაიწყებთ. ბ. დაცდას შესთავაზებთ. გ. საუბარს გაუბამთ.

5. შეიტყვეთ, რომ მეუღლე გღალატობთ. შეგიძლიათ აპატიოთ ღალატი?
არა. ბ. დიახ. გ. ძნელი სათქმელია.

6. მაღაზიაში საყიდლებიდან ბრუნდებით და შეფი დაინახეთ. როგორ მოიქცევით?
ა. მიესალმებით. ბ. დაიმალებით. გ. გაჩერდებით და გამოელაპარაკებით.

7. ხშირად თუ სტუმრობთ ექიმთან?
ა. როდესაც რამე მაწუხებს. ბ. მუდმივად. გ. დროდადრო.

**პასუხები**

*პასუხები შეაფასეთ ა. 1 — ქულა ბ. 2 — ქულა. გ. 3 — ქულა.*

**7-11 ქულა:** დარწმუნებული ხართ საკუთარ ძალებში. რეალისტურად აფასებთ ყფელაფერს. ადამიანები თქვენში ძლიერ პიროვნებას ხედავენ და გენდობიან.

**12-16 ქულა:** საკუთარ თავს სათანადოდ ვერ აფასებთ. თქვენთვის უფრო ადვილია სხვისი პოციზია დაიკავოთ, ვიდრე საკუთარი დაიცვათ.

**17-21 ქულა:** საკუთარ თავს კრიტიკულად აფასებთ, მეტი თავდაჯერებულობა არ გაწყენდათ, თუმცა, გარკვეულ შედეგებს მაინც აღწევთ.